პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

ოთხშაბათი, 15 სექტემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 210 (1755)

დ ღ ი უ რ ი

- გერმანიის მუშათა დელეგაცია ეწვია პროფინტერნს.
- საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის დაიდო ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ.
- მუსოლინიმ სამსახურიდან დაითხოვა პოლიციის დიდი მოხელეები.
- ფაშისტებმა დაარბიეს იტალიის კომპარტიის ცენტრალური გაზეთის და „ავანტი"-ს რედაქციები.
- მაღაროს მეპატრონეებმა უარი განაცხადეს სამთა კონფერენციის მოწვევაზე.
- კარახანი გაემგზავრა შანხაიში.

კოლხელშეკრულებათა გადასინჯვის წინ

ახალ სამეურნეო წლის მოლოდინში უკვე დაიწყო კამპანია კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასასინჯავად. კოლექტიურ ხელშეკრულებებს, რომელნიც განსაზღვრავენ მუშების ხელფასს და საერთოდ შრომის პირობებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მუშების მდგომარეობისა და მრეწველობის ბედისათვის. ამიტომ ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ძირითადი პირობა, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა იქნას დაცული, ესაა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა კოლხელშეკრულებათა გამომუშავება-განხილვაში. კოლხელშეკრულებათა საკითხები უშუალოდ ეხებიან მუშათა მასების სასიცოცხლო ინტერესებს და მათი გადაჭრა შეუძლებელია სამეურნეო ორგანოთა ხელმძღვანელების მყუდრო კაბინეტებში, არც მარტო ამ ხელმძღვანელების და პროფორგანიზაციების წარმომადგენელთა მოლაპარაკებით.

ამ მოლაპარაკებას წინ უნდა უძღოდეს მუშათა საერთო კრებებზე კოლხელშეკრულებათა შინაარსის საჯაროდ და საფუძვლიანად გარჩევა. მასების მიერ კოლხელშეკრულებათა პროექტების მხოლოდ ყოველმხრივი აწონ-დაწონვის და მოწონების შემდეგ შეიძლება ისინი ხელმოწერილ იქნან. მხოლოდ ასეთი წესი უზრუნველყოფს კოლხელშეკრულებათა ცხოველმყოფელობას და მათ მუშებისათვის გასაგებს და მისაღებს გახდის. ამ მხრივ, ე. ი. კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიაში მასების ჩაბმის მხრივ, საკმაო გამოცდილება და მიღწევები გვაქვს უკანასკნელ წლებში. ეს მიღწევები ეხლა უფრო უნდა გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ. ამას მოითხოვს მუშათა კლასის გაზრდილი აქტივობა და ინტერესები სოციალისტურ მრეწველობის განვითარებისა, რომელიც ძალიან შეფერხდება, თუ მუშათა მასებმა მრეწველობასთან შრომის პირობების საკითხებში არ დაამყარეს შეგნებული დამოკიდებულება.

დასახულ ამოცანის გადაჭრა უდიდეს მოვალეობას აკისრებს პირველ-ყოვლისა პროფორგანიზაციებს, აგრეთვე სამეურნეო ორგანოებსაც. კოლხელშეკრულებათა კამპანიის მაგალითზე მოხდება იმის საუკეთესო შემოწმება, თუ რამდენად ახლოს დგანან პროფორგანოები ერთი მხრივ მათი ამომრჩევ მასებთან, მეორე მხრივ—ჩვენი სოციალისტურ მრეწველობასთან.

პროფორგანოებმა უწინარეს ყოვლისა დაწვრილებით უნდა შეისწავლონ ხელფასის დონე და ფირმები ამა თუ იმ წარმოებაში. ამასთან საჭიროა უკანასკნელის ფინანსიურ შესაძლებლობათა გათვალისწინება, რომ შესაძლებელი გახდეს ამასთან შეფარდებით დასაბუთებულ, რეალურ მოთხოვნილების წამოყენება, რომელთა შესრულებას აიტანს წარმოება, ისე, რომ მისი განვითარება არ შეფერხდეს. თავის-თავად ცხადია, რომ ამავე დროს ანგარიში უნდა გაეწიოს არა მარტო აღებულ საწარმოს მდგომარეობას, არამედ მრეწველობის იმ დარგის მდგომარეობასაც, რომელსაც ის ეკუთვნის, და საერთოდ მთელი ქვეყნის სამეურნეო ვითარებას.

ამას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ხელფასის საკითხის მიზანშეწონილად გადაჭრისათვის, არამედ იმ მხრივაც, რომ მუშათა მასა ამ გზით უფრო ახლოს გაეცნობა მრეწველობის განსაზღვრული დარგის და სახელმწიფოს ეკონომიკის მდგომარეობას და ამით მშენებლობის შეგნებული მონაწილე გახდება. ამიტომ, სახელშეკრულებო კამპანიას შედეგად უნდა მოჰყვეს ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის, პერსპექტივების და ამოცანების უფრო ღრმად შეთვისება მასების მიერ.

ამის შემდეგ უფრო გაადვილდება კოლხელშეკრულებათა საკითხების მოწესრიგება. როგორ დგანან ეს საკითხები, რას უნდა მიექცეს აქ მთავარი ყურადღება? ამ დარგში საერთო დირექტივები უკვე მოცემულია საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ. როგორც ჩვენს გაზეთში რამოდენიმეჯერ უკვე იყო აღნიშნული, განზრახულია ხელფასის **ნაწილობრივ** მომატება. მომატება უნდა შეეხოს ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ დარგების მუშა-მოსამსახურეთ, ამასთან აუცილებლადაა ცნობილი თვით წარმოების შიგნით შენელებულ იქნას სხვადასხვა კატეგორიის მუშებს შორის ამ მხრივ არსებული, ხშირად მეტად თვალსაჩინო განსხვავება. ამ ზოგად დირექტივების მიხედვით კონკრეტულად უნდა გადაიჭრეს ხელფასის საკითხები ამ თუ იმ წარმოებაში, უკანასკნელში არსებულ ხელფასის დონის და **ქვეყნის სამეურნეო შესაძლებლობათა** ფინანსიურ რესურსების სწორი გათვალისწინების ნიადაგზე.

მუშაობა ამ დარგში მეტად დიდია შესასრულებელი. ამ საქმეს პროფორგანიზაციებმა ამ თავითვე უნდა მოჰკიდონ ხელი. მაგრამ აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის განხორციელება, კოლხელშეკრულებათა კამპანიის წარმატებით ჩატარება მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ სამეურნეო ორგანოები ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდებიან მას და პროფკავშირებს დაეხმარებიან ამაში. სამეურნეო ორგანოები დამზადებული და შემოწმებული მასალებით უნდა შეხვდენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა საკითხებს. მათ ამ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყონ ერთი ჭეშმარიტება, სახელდობრ ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივ მრეწველობის და მუშათა კლასის ინტერესები ერთნაირია და აქ შეუძლებელია ლაპარაკი მათ შორის რაიმე კლასობრივ წინააღმდეგობის არსებობაზე. ამ დებულების შეგნება უზრუნველყოფს პროფკავშირების და სამეურნეო ორგანოების შეთანხმებას კოლხელშეკრულებათა დადების დროს. ძირ-ფესვიანად უნდა იქნეს აღმოფხვრილი წარმოების ადმინისტრაციის მხრით ყოველგვარი ბიუროკრატიზმი, კოლხელშეკრულების დამტკიცების უსაფუძვლოდ გაჭიანურება, რასაც წინედ ზოგან ადგილი ჰქონდა.

კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქა-იქ შემჩნეულია მომჭირნეობის რეჟიმის დამახინჯება, მომჭირნეობს გამოჩენის ცდა მუშათა მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე. პარტია და ხელისუფლება სასტიკად ებრძვის ასეთ გადახრას. სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ მომჭირნეობის ლოზუნგის დამახინჯებამ თავი არ იჩინოს მომავალ სახელშეკრულებო კამპანიის დროს.

ეს ეხება როგორც ხელფასის საკითხის, ისე საერთოდ მუშათა შრომის დაცვის პირობებს. სხვათა შორის, აქ ყურადღებას იქცევს წარმოებებში სანიტარიულ-ტეხნიკურ პირობების გაჯანსაღების აუცილებლობა. ამ მხრივ ბევრგან ყველაფერი ვერ არის რიგზე. მართალია, შრომის კანონმდებლობით ამ დარგში უზრუნველყოფილია მუშების ინტერესები. მართალია, რომ შრომის ინსპექცია სახელმწიფოებრივი წესით ღებულობს ზომებს წარმოებებში შრომის სანიტარულ-ტეხნიკურ მოთხოვნათა დასაცავად. მაგრამ ამავე დროს, აუცილებელია შეტანილ იქნეს კოლექტიურ ხელშეკრულებებში ამ მხრივ ამა თუ იმ წარმოებაში არსებულ ნაკლულევანებათა აცილების მოთხოვნა.

უდავოა, რომ შრომის ჯანსაღი პირობების შექმნა მეტად შეუწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების აწევას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, რაც ჯერ კიდევ ვერ დგას სასურველ დონეზე. ამიტომ, ვიმეორებთ, ამ გარემოებამ უნდა ჰპოვოს გამოხატულება კოლხელშეკრულებებშიც. ამავე დროს კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშებ შორის ფართე აგიტაციის წარმოება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ყველასათვის ცხადი უნდა შეიქნეს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება.

როგორც ვხედავთ, კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის წარმატებით ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ახალი სამეურნეო წელი კარზეა მომდგარი. დრო არ ითმენს. საჭიროა ეხლავე შევუდგეთ მოსამზადებელ მუშაობას ამ დარგში ჩვენს წინაშე წამოჭრილ ამოცანების გადაჭრისათვის.

◆

უცხოეთის შეიარაღებული ძალები ჩინეთში

საფრანგეთმა და პორტუგალიამ ჯარები გაგზავნეს ჩინეთის წყლებზე

ჩან-ძო-ლინის ზურგს უკან გამოჩნდა მეორე გო-სუნ-ლინი

სპარსეთის ქურთისტანში გრძელდება აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ

უკანასკნელი ცნობების მიხედვით მაროკოში ესპანეთ-საფრანგეთის ჯარები უტევენ აჯანყებულ რიფებს

ბრძოლა ჩინეთში

მეორე გო-სუნ-ლინი

ხარბინი, 13 სექტემბერი. იაპონიის სააგენტო „ტოხო" ავრცელებს მუკდენიდან მიღებულ ცნობებს ასეთი სათაურით: „**მეორე გო-სუნ-ლინის გამოჩენა**". გენერალი გო-სუნ-ლინი იყო ჩან-ძო-ლინის მომხრე, შემდეგ აუჯანყდა მას და დასჯილ იქნა ჩან-ძო-ლინის მიერ 1295 წ. დეკემბერში) „სახალხო არმიის წინააღმდეგ უკანასკნელი სამხედრო კამპანიის დროს, ნათქვამია ცნობაში, მუკდენის ჯარებს შორის გამოჩნდა, როგორც ახალი გავლენიანი ძალა, განსაკუთრებული კავალერიის რაზმი მუ-ჩუნ-ლინის უფროსობით, 10.000 კაცის რაოდენობით. **ამ რაზმმა, რომელიც ამჟამად კალგანში იმყოფება, მოაწყო შეთქმულება და აუჯანყდა ჩან-ძო-ლინს.** ამ უკანასკნელმა 6 სექტემბერს უბრძანა თავის შვილს ჩან-სუე-ლინს რაზმის განიარაღება და შეთქმულების ლიკვიდაცია. 9 სექტემბერს ჩან-სუე-ლიანმა გაგზავნა პეკინიდან რაზმი ხუან-ლო-ჩუნის ხელმძღვანელობით და უბრძანა მას ალყა შემოერტყა კალგანისათვის და განეიარაღებია მუ-ჩუნ-ლინის ჯარები".

უკანასკნელი ცნობების მიხედვით კალგანის რაიონში სწარმოებს ბრძოლა მუ-ჩუნ-ლინის და ხუან-ლი-ჩუნის ჯარებს შორის.

სააგენტო იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინი მეტად შეშფოთებულია ამ აჯანყებით და განზრახული აქვს თავის ჯარებში მოაწყოს წმენდა ყველა „საეჭვო ელემენტების" და აგრეთვე განაიარაღოს ზოგიერთი რაზმები, რომლებიც პეკინის და ტიან-ცზინის ახლოს არიან დაბანაკებული.

მე-40 მსროლელი ბრიგადის უფროსი **ჩან-შონ-ჩუნი**, რომელიც წინად იყო დაჭრილი, და აგრეთვე მო-ჩუნ-ლინის ჯარების შემადგენლობაში შემავალ ერთ-ერთ ბრიგადის უფროსი, დახვრეტილია.

პროფკავშირთა ხმა

შანხაი, 13 სექტემბერი. **შანხაის პროფკავშირთა საბჭომ მიმართა კანტონის არმიის მთავარსარდალს ჩან-კაი-შის დეპეშით, რომელშიც შანხაის მუშათა სახელით მოითხოვს სამხედრო კამპანიის გაგრძელებას ჩინეთის მილიტარისტების საბოლოო დამარცხებამდე.**

შერეული სასამართლო

შანხაი, 13 სექტემბერი. შანხაის შერეულმა სასამართლომ დაადგინა გადასცეს ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებას 8 ახალგაზრდა პირი, რომლებიც დაატუსაღეს შანხაიში ბოქსიორის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის წლისთავზე 7 სექტემბერს მოწყობილ დემონსტრაციის დროს და აგრეთვე კანტონის არმიის გენერალი, რომელიც დაპატიმრებულ იქნა უცხოელთა კვარტალის ტერიტორიაზე შანხაიში, და რომელსაც ბრალს დებენ იმაში, რომ ის თითქოს სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდა.

შერეულ სასამართლოს ამ დადგენილებამ გამოიწვია აღშფოთება ადგილობრივ ჩინურ წრეებში.

დიპლომატების საუბარი

პარიზი, 14 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამერიკის ელჩმა ტოკიოში ესაუბრა იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს ჩინეთის ამბების შესახებ.

სვატოუს ნავთსადგურში

კანტონი, 13 სექტემბერი. როგორც უკვე ცნობა იყო, სვატოუს (ნავთსადგური გუან-დუნის პროვინციაში) საგაფიცვო კომიტეტის საქონლის ინსპექციის განყოფილებამ დაადგინა დაუბრუნოს ინგლის-ამერიკის თამბაქოს კომპანიას მისი კუთვნილი კონფისკაციაქმნილი თამბაქო. ამასთანავე საგაფიცვო კომიტეტმა გამოაქვეყნა განკარგულება საგაფიცვო პიკეტების საყურადღებოდ განაგრძონ მოსული საქონლის გასინჯვა იმ მიზნით, რომ არ გაუშვან კონდრაბანდა და არ განმეორდეს ამერიკის ფლაგის ქვეშ ინგლისის საქონლის შემოზიდვა.

კარახანის გამგზავრება

პეკინი, 13 სექტემბერი. **11 სექტემბერს კარახანი ტიან-ცზინიდან შანხაიში გაემგზავრა.**

საფრანგეთის გემები

ბერლინი, 14 სექტემბერი. როგორც კანტონიდან იუწყებიან, **საფრანგეთის სამხედრო გემი „ვიჟილონს არგუს" ჩავიდა კანტონში.** სამხედრო გემი „ალდოლი" სდგას ხანკოუში საფრანგეთის ინტერესების დასაცავად.

2000 მოკლული

პარიზი, 14 სექტემბერი. ვან-სიანთან მომხდარ ინციდენტის დროს, **ბრიტანეთის იარაღებიდან გასროლილ ტყვიებით მოკლულ იქნა 2.000 ჩინელი.**

პორტუგალიის პოზიცია

პარიზი, 14 სექტემბერი. ლისაბონიდან იუწყებიან, რომ **კოლონიების მინისტრმა გადასწყვიტა გაგზავნოს მაკაოში 3.000 ქვეითი და არტილერიის ჯარისკაცი.**

შენიშვნა: მაკაო—კუნძული, მდებარე მდინარე სი-კიანგზე, კანტონის ახლოს.

კანტონის მოთხოვნილება

ლონდონი, 14 სექტემბერი. კანტონის მთავრობამ მიმართა ბრიტანეთის გენერალურ კონსულს განცხადებით, რომლითაც ღებულობს ვალდებულებას, რომ **ჩინეთის პოლიცია დაიცავს მდინარეს, ბრიტანეთის გემთსაშენს და ხელს შეუშლის ჩინეთის პიკეტების ნაოსნობაში ჩარევას.** ამ დაპირებასთან დაკავშირებით ბრიტანეთის საზღვაო ძალებმა, რომლებმაც ამას წინედ მიიღეს ზომები საპიკეტო გემების მუდმივ თავდასხმის შესაწყვეტად, უკანვე გაიწვიეს სამხედრო გემები გემთსაშენებიდან. ამასთანავე ისინი იტოვებენ თავისუფალი მოქმედების უფლებას იმ შემთხვევაში, თუ კანტონის ხელისუფლება დაარღვევს თავის ვალდებულებას და აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ არ განახლდა სათანადო ვადაში.

იაპონიის პოზიცია

ბერლინი, 14 სექტემბერი. ტოკიოდან იუწყებიან, რომ **ვიცე-ადმირალი ხარაში დაინიშნა ჩინეთის წყლებში მყოფ იაპონიის ფლოტის უფროსად.** ამასთანავე განმარტავენ, რომ ეს დანიშვნა არ მოასწავებს ჩინეთის საქმეებში ჩარევას.

გომინდანის პარტიაში

კანტონი, 13 სექტემბერი. **გომინდანის პარტიის პოლიტბიურომ დაადგინა მოიწვიოს 1 ოქტომბერს პარტიის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლების თანადასწრებით.**

◆

რაზე ოცნებობდნენ, რისთვის იბრძოდნენ

(„პრავდა"-ს მოწინავე)

რამოდენიმე დღის წინედ „უდიდესი მოვლენა" მოხდა. გერმანია ოფიციალურად მიიღეს ერთა ლიგის შემადგენლობაში. მართალია, დღესასწაული საკმაოდ უფერული გამოვიდა. მართალია, გერმანელები, ლიგის თვით უერთგულესი მომხრენიც კი გაშრენ მოლოდინითა და მოუთმენლობით. მართალია, გერმანიის წილება ლიგაში ამ შემოდგომაზე მხოლოდ მცირეოდენ ანელებს იმ შეურაცყოფას, რომელიც მიაყენეს გერმანიას გაზაფხულზე, როცა იგი უხეშად და მოურიდებლად, წინააღმდეგ ყოველგვარ დეკლარაციებისა, გააგდეს ერთა ლიგის შესავალ კარებიდან. მართალია, გერმანიის ლიგაში მიღებას თან სდევდა ერთა ლიგის შემადგენლობის გაგალება, ეგრედ-წოდებულ „ნახევრად მუდმივი ადგილებით".

მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. გერმანია მიღებულია ლიგაში. მოხარულნი კი გერმანია ამ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტით, იმ ფაქტით, რომ იგი „დაბოლოს" მიღებულ იქნა ერთა ლიგაში?

თუ მსჯელობას ვიქონიებთ არა იმის მიხედვით, როგორ აფასებენ ამ „მოვლენას" გერმანიის მუშათა და გლეხთა მასები, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორ აფასებს ამას ბურჟუაზიული პრესა, დავინახავთ, რომ დიდ სიხარულს არც ისინი განიცდიან. თავ-დაჭერილობა, სიფრთხილე, სკეპტიციზმის ჩანგები, — ასეთია გერმანიის პრესის მნიშვნელოვანი ნაწილის გაბატონებული ტონი. განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პრესა, რომლის ცენტრალურმა ორგანომ „ფორვერტსმა" ნამდვილი ოსანა უგალობა „ახალი ერის" დასაწყისს.

პათეტიური აღტაცებით თავბრუდასხმული „ფორვერტსი" აცნობებს ყველა მომაკვდავთ, რომ გერმანიის მიღება ლიგაში „უდიდესი მოვლენაა" კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც თავისი მნიშვნელობით აღემატება ისეთ მოვლენებსაც კი, როგორიც მსოფლიო ომია", და რომ დაბოლოს დადგა ის მომენტი, რომელზედაც ჩვენ, სოციალისტები ვოცნებობდით, რომლისათვის ვიბრძოდით და ვიტანჯებოდით ყოველ საათში".

მოყვანილი სიტყვებიდან მკითხველი ხედავს, თუ რამდენად დაქვეითდა გერმანიის ეხლანდელი „სოციალისტები" „ოცნებაც" კი. ამ სიტყვებში მკითხველს შეუძლია დაინახოს სრული დაცემა გერმანიის სოციალ-დემოკრატებისა, რომელნიც ბურჟუაზიული გერმანიის იმპერიალისტურ ლიგაში შესვლას უწოდებენ „უდიდეს მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში". ამ სიტყვებიდან მკითხველს შეუძლია დაასკვნას, თუ რამდენად ცრუ და პირმოთნეა „მოზეიმე" სოციალ-დემოკრატიული ისაია მაშინ, როცა საკითხი ეხება ბურჟუაზიულ მთავრობებს შორის დადებულ შეთანხმებათა შექებას ან გამართლებას.

ინგლისის ბურჟუაზიის იდეური დამცველი, ამჟამად საქმიანობას ჩამოშორებული ლოიდ-ჯორჯი ამ „უდიდეს მოვლენას ისტორიაში" სხვაგვარად აფასებს, ვიდრე „სოციალისტური" „ფორვერტსი".

იმ მომენტში, როცა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, ლოიდ-ჯორჯი „ნეიე ციურხერ ცეიტუნგში" შემდეგს სწერდა:

„მარტიდან დაწყებული ინტრიგები იქვის ღრუბლებით ფარავენ სექტემბრის მოლაპარაკების შედეგებს. რომ ყველაფერი კარგად ჩატარდეს, მაინც აღარ იქნება ის აღტაცება, რომლითაც ჩვენ ვესალმებოდით ლოკარნოს პოლიტიკას. გაბატონებული იქნება პირადი ინტრიგების ატმოსფერა და არა ძმობის სული".

განა ღირს იმის მტკიცება, რომ ჟენევის „მოვლენის" შეფასებაში ინგლისის ლიბერალიზმის ძველ მელიას — ლოიდ-ჯორჯს უფრო მეტი პოლიტიკური რეალიზმი ახასიათებს, ვიდრე გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოს. კიდევ მეტი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთელი აღტაცება, „გუნდრუკის კმევა" თვით „ფორვერტსის" მხრივაც კი უმეტეს წილად ბუტაფორულია. ძალიან საეჭვოა, რომ თვით „ფორვერტსის" რედაქციას მართლა სწამდეს ეს „უდიდესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში". მაგრამ „ფორვერტსის" როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გერმანიის მშრომელი მასები დააჯეროს მოჩვენებით „უდიდეს მოვლენაში".

გერმანიის ლიგაში შესვლის ფაქტი გამოყენებულია და კიდევ გამოიყენებენ მასებში ორგვარი ილიუზიების გავრცელებისათვის.

პირველი ილიუზია, რომელსაც გუნდრუკს უკმევენ ნაციონალისტური წრეები, არის „დიდი გერმანიის" აღდგენის შესაძლებლობა ლიგის საშუალებით. იმედი აქვთ მოკავშირეთა წინაშე დამსახურებისა, ვერსალით წართმეულ უფლებათა დაბრუნებისა, კოლონიების მოპოვებისა, „ევროპის კონცერტის" სისტემაში ღირსეული ადგილის დაჭერისა და კვლავ „მძლავრ" სახელმწიფოდ გადაქცევისა.

ცხადია, რასაკვირველია, რომ ეს ილიუზია, არის ილიუზია და მეტი არაფერი. დღემდე ერთა ლიგა სრულიადაც არ იყო ის იარაღი, რომელსაც უნდა აღემაღლებია გერმანიის „ეროვნული სიდიადე", იგი იყო იარაღი გერმანიის სისტემატიური დაჯაბნისა, დამცირებისა. თვით ფაქტს, გერმანიის მიღებისა ლიგაში, სდევს ახალი დამცირება გერმანიისათვის: რჩება ოკუპაცია და სხ. საერთოდ რომ ვსთქვათ, განა შეიძლება დავიწყება ერთი წუთითაც კი, რომ „ეროვნული სიდიადე" თანამედროვე საზოგადოებაში იქმნება არა ხელშეკრულებებით, დეკლარაციებით და ფორმალური ადგილებით ლიგაში, არამედ ძალისა, დოლარებისა დრედნოუტებისა და ჰაეროპლანების საშუალებით? გერმანიის პოლიტიკოსები მალე დარწმუნდებიან იმაში, რომ აქლემი უფრო გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე გერმანია გახდება ერთა ლიგაში „გაძვრომით" დიდ სახელმწიფოდ.

მეორე ილიუზია, რომლითაც თავის თავს უფრო ინუგეშებენ სოციალ - დემოკრატების ბელადები, ვიდრე მასებს ანუგეშებენ, არის იდეა იმისა, რომ ერთა ლიგის საშუალებით „გაერთიანდება ევროპის დემოკრატია". ერთა ლიგის გზა—დემოკრატიის გამარჯვების გზაა— ასეთია სოციალ - დემოკრატების მსჯელობა. ამაზე ამყარებენ სოციალ - დემოკრატიის სხვადასხვა ჯგუფები სოციალ - დემოკრატების პოლიტიკას ერთა ლიგის საკითხის შესახებ. ერთნი, „ფორვერტსის" მსგავსად, უკვე არსებულ ლიგას აცხადებენ დალოცვილ დემოკრატიულ დაწესებულებად, და მასში შესვლას სთვლიან „უდიდეს მოვლენად კაცობრიობის ისტორიაში" და სხ. სხვანი, უფრო „მემარცხენენი" უფრო „ეშმაკურად" და ოსტატურად" მსჯელობენ. ისინი იმედს ამყარებენ მომავალ, ვითომცა ერთა ლიგის დემოკრატიზაციაზე. ერთა ლიგა ჯერ კიდევ „სავსებით არაა" დემოკრატიული, (მუსოლინი, ზარბაზნები, ჰაეროპლანები, გენერალური სამხედრო შტაბები და სხვა წვრილმანნი ლიგაში „ჯერ კიდევ" აქვს ასეთი თუ ისეთი მნიშვნელობა) მაგრამ ლიგა დემოკრატიული გახდება მომავალში.

არაფერია იმაზე ყალბი, პირმოთნე, ვიდრე არის სოციალ-დემოკრატიული თეორია ლიგის დემოკრატიზაციის შესახებ. არის ათასგვარი საშუალება იმის დასამტკიცებლად, რომ ლიგის „დემოკრატიზმს" როგორც ეხლანდელს, ისე მომავალისას, ისეთივე ფასი აქვს, როგორი ფასიც აქვს ბურჟუაზიულ დემოკრატიას საზოგადოდ. მაგრამ ყველაზე უფრო კარგად და ნათლად გამოაშკარავდება ერთა ლიგის დემოკრატიზაციის თეორიის მთელი ვაჟხანალობა, თუ მას შევხედავთ განიარაღების „პრობლემის" მხრივ. თუ კი ერთა ლიგა არის ერთა კავშირი, თუ კი იგი მტკიცდება თუ მასში შედიან სულ ახალი და ახალი ერები, მაშინ განიარაღების ტენდენციამ უფრო და უფრო უნდა იჩინოს თავი. მაგრამ ხდება სწორედ პირიქით. მართალია ერთა ლიგა იჩენს, ღვთის მადლით კიდევ გამოაჩენს, მხოლოდ ლაპარაკის ტენდენციას განიარაღების შესახებ. მაგრამ სამაგიეროდ ამ ლაყბობის დროს ერთა ლიგაში შემავალი „ერები" ანხორციელებენ გაცოფებული შეიარაღების ტენდენციას და ემზადებიან იმ მომენტისათვის, როცა „კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს" ერთა ოჯახის წევრები ურთი ერთის ხოცვა - ჟლეტა დაიწყებენ.

იგივე მოხუცი ლოიდ-ჯორჯი, იმავე ჩვენ მიერ მოყვანილ წერილში საკმაოდ სად მოსაზრებას გამოსთქვამს ერთა ლიგისა და „განიარაღების" შესახებ: „მომავალი დამოკიდებული იქნება არა ლიგის დადგენილებათა და ლოკარნოს პაქტისაგან, არამედ განიარაღების კამპანიისაგან. მშვიდობიანობის ანგელოზი, რომელიც დატვირთულია ზარბაზნებითა, აეროპლანებითა, კრეისერებითა და წყალ-ქვეშა ნავებით, აუცილებლად უნდა წაიქცეს ერთა ლიგის ერთ მრავალ დადგენილებათაგანს. განიარაღების პრობლემა საეჭვოა რომ განხილულ იქმნას ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე. ის ქვეყნები, რომლებსაც დიდი არმიები ჰყავთ, ყოველ საშუალებას იხმარენ, რომ განიარაღების კომისიას გამოამუშავებინონ პროექტი, რომელიც ქაღალდზე მშვენიერი რამ იქნება ეხლანდელი არმიის შემადგენლობის სასტიკი შემცირების თვალსაზრისით, ნამდვილად კი დარჩებიან ძლიერი სამხედრო საქმეში კარგად გაწვრთნილი რეზერვები, რომელნიც საშუალებას მისცემენ სახელმწიფოებს, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ბრძოლის ველზე გაგზავნონ უფრო ძლიერი ჯარები, ვიდრე მსოფლიო ომის დროს.

სანამ კიდევ არსებობს ეს შესაძლებლობა, ყველა ეს პაქტები და ხელშეკრულებები, როგორადაც არ უნდა იყოს მით დატვირთული ჟენევის აკლდამა, მშვიდობიანობის მხოლოდ უძლურ იარაღს წარმოადგენენ".

ნამდვილი დემოკრატიის, ნამდვილი განიარაღების და მშვიდობიანობის მოლოდინი ერთა ლიგისგან სრული უაზრობაა.

ათასჯერ გვითქვამს ჩვენ, რომ ერთა ლიგა არ არის მშვიდობიანობის იარაღი, პირიქით ის არის ინტრიგების იარაღი მშვიდობიანობის დროს და ახალ ომების მზადების იარაღი. გერმანიის მშრომელი მასები ჩქარა დარწმუნდებიან იმაში, თუ რაოდენ მცირე ღირებულების აღმოჩნდა, რაოდენ მცირე სარგებლობას მოუტანს მათ ის, „რისთვისაც იბრძოლეს, რაზეც ოცნებობდნენ" და რის შესახებაც ამდენ სიცრუეს ლაპარაკობდენ სოციალ-დემოკრატიული ლიდერები.

გერმანიის იმ პოლიტიკოსებს კი, რომლებსაც სწყურიათ „გერმანიის საერთაშორისო ძლიერების აღდგენა ლიგის საშუალებით" იმედები გაუცრუვდებათ. არა ერთ და ორ მძიმე წუთებს, მწარე განცდებს და დამცირებას გადაიტანენ ისინი, სანამ დარწმუნდებიან, რომ ერთა ლიგა გერმანიისთვის არის მხოლოდ გაცრუებულ იმედების ლიგა.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 14 სექტემბერი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთა ლიგის სესიაზე

სესიის გასტროლები

ბერლინი, 14 სექტემბ. „ფოსიშე ცაიტუნგის" ცნობით, ჟენევაში იხილავენ საკითხს ერთა ლიგის სესიის საბჭოს შტრეზემანის თავმჯდომარეობით ბერლინში მოწვევის შესახებ.

საბჭოს არჩევნები

პარიზი, 14 სექტემბ. **ერთა ლიგის საბჭოს არჩევნები მოხდება ხუთშაბათს, ხოლო საბჭოს პირველი სხდომა—პარასკევს.**

საკითხის გართულება

ბერლინი, 13 სექტემბერი. **ერთა ლიგიდან ესპანეთის გამოსვლასთან დაკავშირებით, გართულდა საკითხი საბჭოს შემადგენლობის გაფართოების შესახებ.**

ლიგის იურიდიულმა კომისიამ გამოჰყო ცალკე სარედაქციო კომისია საბჭოს შემადგენლობის გადამხალისებელ კომისიის გადაწყვეტილებათა ხელახლა ჩამოსაყალიბებლად. ამის გამო კავშირის არამუდმივ ადგილებზე არჩევა მოხდება მხოლოდ ამ კვირის ბოლოში.

„შემარიგებელი პოლიტიკა"

ბერლინი, 14 სექტემბ. საფრანგეთის მთავრობამ მიულოცა ბრიანს მისი უკანასკნელი სიტყვის გამო და წინადადება მისცა განაგრძოს შემარიგებელი პოლიტიკა.

იარაღით ვაჭრობის საკითხი

ლონდონი, 14 სექტემბ. ერთა ლიგის მესამე კომისიამ მიიღო რეზოლიუცია, რომლის მიხედვით უნდა გაგრძელდეს იარაღით ვაჭრობის გამოკვლევა ისე, რომ განსაკუთრებული კონფერენცია უნდა იქნას მოწვეული ამ საკითხისათვის, თუ კი განიარაღების კონფერენცია ერთა ლიგის მეექვსე პლენუმის განმავლობაში არ იქნება მოწვეული მომავალ სექტემბერში.

ქალთა პოლიცია

ლონდონი, 14 სექტემბ. ერთა ლიგის მეხუთე კომისიაში თეთრი მონებით ვაჭრობის საკითხის განხილვის დროს გერმანიის დელეგატმა, რეიხსტაგის წევრმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მრჩეველმა დოქტორმა გერტრუდა ბაუმერმა აღნიშნა, რომ **გერმანიის მთავრობა აღტაცებულია ბრიტანეთის პოლიციელ ქალთა მუშაობით კელნში და გადასწყვიტა, რომ გერმანიაში შემოღებულ იქმნას ქალთა პოლიცია.**

ლოკარნოს რეგისტრაცია

ლონდონი, 14 სექტემბ. **დღეს ერთა ლიგის სამდივნოში ჩემბერლენის, ბრიანის, შტრეზემანის, შალოის, დე-ბრუკერის, ზალესკის და ბენეშის მიერ რეგისტრაციაში გატარებულია ლოკარნოს ხელშეკრულებათა რატიფიკაცია.**

◆

მუსოლინიზე თავდასხმის შემდეგ

პოლიციის წმენდა

ლონდონი, 14 სექტემბ. რომიდან იუწყებიან, რომ **პოლიციის გენერალური დირექტორი და რომის პოლიციის უფროსი დაითხოვეს სამსახურიდან.**

ლუჩეტტი, რომელმაც მუსოლინს ყუმბარა ესროლა, უარყოფს, რომ მას ყავს თანამონაწილენი. პოლიციას არ სჯერა ამ განცხადების. დაპატიმრებულთა შორის არის ერთი ანარხისტიც.

ბრიანის განცხადება

ბორდო, 14 სექტემბ. თანახმად ჟენევიდან მიღებული ცნობისა, ბრიანმა იტალიის წარმომადგენელს განუცხადა, რომ საფრანგეთი დიდ სტუმართმოყვარეობას იჩენს 800.000 იტალიელის მიმართ, მაგრამ ის მიიღებს ზომებს, თუ რომ იტალიის ზოგიერთი წრეები ბოროტად გამოიყენებენ ამ სტუმართმოყვარეობას. ამასთანავე ბრიანმა აღნიშნა, რომ ლუჩეტტის თავდასხმაში დამნაშავეა იტალიის პოლიცია, ვინაიდან ლუჩეტტი იტალიაში ჩავიდა უპასპორტოდ.

◆

არეულობა ინდოეთში

ლონდონი, 14 სექტემბ. ალლახაბადიდან მიღებული ცნობების თანახმად, გუშინ, ინდოელების პროცესიის გავლის დროს მოხდა არეულობა. მოკლულია 2, დაჭრილია 21 კაცი. პოლიციამ სწრაფად შესწყვიტა არეულობა.

◆

ბრძოლა ხელფასისათვის რურში

ბერლინი, 13 სექტემბერი. გერმანიის სამთა მადნო მუშათა პროფკავშირების რეფორმისტულმა ბელადებმა, მიაღწიეს რა რურის სამთა მადნო მუშებისათვის ხელფასის 4 პრო.-ით გადიდების შესახებ სამედიატორო გადაწყვეტილების სავალდებულოთ გამოცხადებას, როგორც ეტყობა, გადასწყვიტეს, რომ საკითხი საბოლოოდ გამორკვეულია, მაგრამ, მწარმოებლები არ თანხმდებიან ამით ბრძოლის შეწყვეტაზე.

ბურჟუაზიული პრესის აზრით, საჭიროა ანგარიში გაუწიოთ მრეწველთა ახალ შემოტევას. ჰოლანდიის საბირჟო გაზეთი **„ამსტერდამშე კრედიტ მატჰაცი"** აცხადებს, რომ ბელგიის მაღაროებმა რამდენიმე თვის განმავლობაში შესძლეს ბანკების წინაშე—თავის დავალიანებების — 250 მილიონ ფრანკის დაფარვა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ გერმანულ მაღაროების შემოსავლიანობა საერთო ჯამით ხუთჯერ აღემატება ბელგიის მაღაროების შემოსავლიანობას, მაშინ ცხადი ხდება, რომ **რურის მრეწველებს სურთ გამოიყენონ ინგლისის და გერმანიის სამთა მადნო მუშათა ხარჯზე აღებული შემოგება ახალ იერიშების მისატანად გერმანულ მუშებზე.**

მუშებს შორის სულ უფრო და უფრო იზრდება უკმაყოფილება რეფორმისტულ პროფკავშირების „ბრძოლის მეთოდებით", რომლებიც სისტემატიურად თანხმდებიან სამედიატორო გადაწყვეტილებებზე, ერიდებიან რა ნამდვილ ბრძოლას სამუშაო ხელფასისათვის და ამნაირად **ამაგრებენ მაღაროს მეპატრონეების პოზიციას.** ეერინგენში სამთა მადნო მუშებმა ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც უარყოფს სამედიატორო გადაწყვეტილებებს და აცხადებს, რომ **მუშები დაბეჯითებით მოითხოვენ თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სამუშაო ხელფასის 25 პროც.-ით აწევის შესახებ და, აგრეთვე უნდობლობას უცხადებენ სამთამადნო მუშათა კავშირის რურის ორგანიზაციის პრეზიდიუმს, რომელიც დასთანხმდა სამედიატორო გადაწყვეტილებაზე სადელეგატო კონფერენციის სანქციის გარეშე.**

◆

უმუშევრობა გერმანიაში

ბერლინი, 13 სექტემბერი. ცნობების მიხედვით, 15 თებერვლისათვის გერმანიაში დახმარებას ღებულობდა 2.059.000 უმუშევარი. უკანასკნელად მიღებულ ცნობებით, დახმარების მიმღებ უმუშევართა რიცხვი შემცირდა 160.400 კაცამდე. ამ რიცხვის შემცირების მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ **დახმარების მიმღები უმუშევრები 50 კვირის გასვლის შემდეგ ჰკარგავენ დახმარების მიღების უფლებას.**

◆

მოწოდება გერმანიის მშრომელთადმი

ბერლინი, 13 სექტემბერი. „როტე ფანე" აქვეყნებს მოწოდებას გერმანიის მშრომელთადმი, რომელშიც **მოუწოდებს მათ ხელი შეუწყონ მშრომელთა კონგრესის მოწვევას.**

მოწოდება იძლევა მომავალ კონგრესისათვის პლატფორმის სახით წამოყენებულ ლოზუნგების დაწვრილებით განმარტებას, **და მოუწოდებს ყველა მშრომელთ გაერთიანდნენ საარსებო მოთხოვნილებებისათვის ბრძოლაში. მოწოდება აყენებს დამოუკიდებელ სოციალისტურ გერმანიისათვის ბრძოლისა და საბჭოთა კავშირთან და დაჩაგრულ ხალხებთან დაკავშირების ლოზუნგს.** მოწოდებას ხელს აწერენ კომპარტიის, ლედებურის სოციალისტური კავშირის, ქრისტიანულ - სოციალისტური პარტიის ბერლინ - ბრანდენბურგის ორგანიზაციის, წვრილ მეურნეობათა კავშირის, ომის მსხვერპლთა საერთაშორისო კავშირის, საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტის, რემედასის, წითელი ფრონტოვიკების, ქალთა წითელი კავშირის და ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წარმომადგენლები.

◆

ოკუპაცია ქმნილ ოლქებში

ბერლინი, 13 სექტემბერი. **„კელნიშე ცეიტუნგის"**. ცნობებით, გერმანიისა და რეინის კომისიაში მონაწილე სახელმწიფოებს (საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ინგლისი, იაპონია) შორის მიღწეულია შეთანხმება გერმანიის ოკუპაციაქმნილ ოლქების განთავისუფლების საკითხში.

◆

აჯანყება სპარსეთში

თეირანი, 14 სექტემბერი. გადმოგვცემენ, რომ **ქურთ-აჯანყებულებმა რამდენიმეთ დაახევინეს უკან მთავრობის ჯარებს, რომლებიც გამაგრდნენ სოუჯ-ბულაღში, ურმიის ტბის სამხრეთით.**

თეირანში ხმა გავრცელდა, რომ აჯანყებულთა მეთაური პრინცი სალარ-ედდოვლე გაიქცა.

გადმოგვცემენ, აგრეთვე, რომ **ხუზისტანის ტომებს ირაქიდან იარაღს აწვდიან ინგლისელები.** ირაქის მხრიდან გახშირდა თავდასხმები ხუზისტანზე. ადგილობრივი სპარსული გარნიზონები მთავრობის ერთგული არიან.

სპარსეთის კაბინეტის კრიზისი

თეჰერანი, 13 სექტემბერი. **მუსტოუფი, მიუხედავათ შახის წინააღმდეგობისა, ხელახლად გადადგა.** მეჯლისის უმრავლესობამ მუსტოუფის ნდობა გამოუცხადა და მოითხოვა მისი კაბინეტის რეორგანიზაცია. მუსტოუფის ახალი თხოვნა გადადგომის შესახებ მოწმობს იმას, რომ ის თანახმა არ არის კაბინეტის რეორგანიზაციაზე.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ავღანისტანი

ქაბული, 13 სექტემბერი. საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანის შუა დადებულ ხელშეკრულების გამო ნეიტრალიტეტისა და ურთიერთ ხელშეუხებლობის შესახებ, საკ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ჰქონდა საუბარი საგარეო საქმეთა მინისტრ—**მახმუდ თარზსა**, სამხედრო მინისტრ—**მუხამედ ვალი - ხანსა** და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ავღანისტანში — **სტარკთან.** საგარეო საქმეთა მინისტრმა, **მახმუდ თარზიმ** განაცხადა: „დადებული ხელშეკრულება არის შემდეგი ნაბიჯი, რომელიც ამტკიცებს საბჭოთა კავშირისა და ავღანისტანის მეგობრობას და ურთიერთ დაახლოვებას. ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებს სურთ მშვიდობიანობა, რასაც ამტკიცებენ ხელშეკრულების დადებით, რომელმაც სავსებით დამაკმაყოფილა.

სამხედრო მინისტრმა **მუხამედ ვალი-ხანმა** განაცხადა: „ხელშეკრულება უფრო განამტკიცებს ურთიერთ მეგობრულ დამოკიდებულებას ორივე ქვეყნის შორის: ის დიდ როლს ითამაშებს ამ ორი ქვეყნის დაახლოვების საქმეში. ხელშეკრულება მოწმობს კარგ დამოკიდებულებას ამ ორ ქვეყნის შორის პოლიტიკის დარგში. მე იმედი მაქვს, რომ იგივე შედეგს მივაღწევთ ეკონომიკის საქმეშიც. სრული სამხედრო უშიშროება შუა აზიაში აძლიერებს როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ურთიერთ დამოკიდებულებას. დიდი ხნის წრფელი სურვილი, რომ შუა აზიაში შექმნილიყო სრული სიმშვიდე და უშიშროება, რომელსაც გამოსთქვამდენ ავღანისტანი და საბჭოთა კავშირი, ხორციელდება ამ ხელშეკრულების დადებით. მე მახარებს მისი დადება".

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა — **სტარკმა** განაცხადა: „**ამ ორი ქვეყნის მომავალი მეგობრული დაახლოვება მშვიდობიან აღმშენებლობის ნიადაგზე—აი საერთო დედა აზრი დადებულ ხელშეკრულებისა.** ხელშეკრულება სრული სიცხადით გვიჩვენებს, რომ **როგორც საბჭოთა კავშირი, ისე ავღანისტანი გულწრფელად მიისწრაფიან მშვიდობიან თანაცხოვრებისაკენ თავის მეზობლებთან.** მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელშეკრულება მიგვიყვანს იმ მიზნების განხორციელებამდე, რისთვის ის იყო დადებული, სახელდობრ—შუა აზიაში მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ და ხელშეკრულების დამდებ ორივე სახელმწიფოს შემდეგი დაახლოვებისაკენ სამეურნეო და კულტურულ მუშაობაში მათი თანამშრომლობის ნიადაგზე".

ფინეთი

ჰელსინგფორსი, 13 სექტემბერი. ბიუჯეტის განხილვის დროს გამოვიდა სეიმის საგარეო კომისიის თავმჯდომარე, პროგრესისტი—პროფესორი ვენოლლა და შეეხო საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო მოლაპარაკების დაწყებას. **ვენოლლამ მოიწონა ფინეთის მთავრობის თანხმობა ბალტიის სახელმწიფოებმა დამოუკიდებლათ მოლაპარაკება აწარმოოს საბჭოთა კავშირთან, რადგან მისი სიტყვით, მათთან თანამშრომლობა ხელს არ უნდა უშლიდეს წესიერ დამოკიდებულებას აღმოსავლეთ მეზობელთან.**

◆

საბჭოთა პავილიონი მილანში

მოსკოვი, 14 სექტემბ. გზათა სახალხო კომისარიატმა მილანიდან მიიღო ცნობები, რომ ადგილობრივ ტრანსპორტის ცენტრალურ მმართველობის მიერ **მთავარ საგამოფენო შენობაში მოწყობილი საბჭოთა კავშირის პავილიონი გაიხსნა 4 სექტემბერს. პავილიონი დიდის ყურადღებით სარგებლობს.** საბჭოთა კავშირის დელეგაციის ჩამოსვლა აღნიშნა იტალიის მთელმა პრესამ. გზათა სახალხო კომისარიატის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს საგზაო საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც მილანში უნდა გაიხსნას.

◆

„ბაქოს ნავთის ს-ბის" ყალბი აქციები

პარიზი, 13 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება; ვარშავის პოლიციამ ამას წინად შეატყობინა პარიზის პოლიციას, **რომ ვარშავის ბირჟაზე იყიდება „ბაქოს ნავთის საზოგადოების" ყალბი აქციების დიდი რაოდენობა. პოლონეთის** პოლიციის ცნობაში აღნიშნული იყო, რომ ასეთი აქციები 100.000 დოლარის რაოდენობით იყო ბრუნვაში.

როგორც სჩანს, ბოროტგანმზრახველებს, რომლებიც ყალბ აქციებს ამზადებდენ, ჰქონიათ საუკეთესო იარაღები და კარგად ყოფილან გაცნობილი ფასიანი ქაღალდების მდგომარეობასთან ევროპის ბაზრებზე. დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა პარიზელმა ბანკირმა ერთ-ერთ თავის კლიენტის ანგარიშზე გაჰყიდა „ბაქოს ნავთის საზოგადოების" აქციები. ეს აქციები აღმოჩნდა ყალბი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ბანკის კლიენტისათვის ეს აქციები მიუყიდია პოლონეთის ქვეშევრდომს **სპირლენს**, რომელმაც განაცხადა, რომ მან აქციები მიიღო პოლონელ ვაჭარ **ლაზარე ბინშტოკისაგან,** რომელსაც ხე-ტყის სავაჭრო აქვს ვარშავაში. შემდეგ სპირლენმა განაცხადა, რომ ბინშტოკი და სამი მისი თანამემამულე ამას წინად ჩამოვიდენ პარიზში. პოლიციამ დაატუსაღა სპირლენის ცოლი და ბინშტოკი. ბინშტოკი გამოტყდა, რომ მან მიჰყიდა სპირლენს აქციები თითეული 1.000 ფრანკათ.

◆

გერმანიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 14 სექტემბ. **13 სექტემბერს შესდგა გერმანიის მუშათა დელეგაციის გამოსათხოვარი სხდომა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლების თანდასწრებით.** დელეგაციის წევრებმა წამოაყენეს მთელი რიგი პროფესიონალური და საყოფაცხოვრებო ხასიათის შეკითხვები. ამომწურავი ახსნა - განმარტება წამოყენებულ კითხვებზე მისცეს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა **მელნიჩანსკიმ და იაგლომ.** დასასრულ დელეგატებმა მოისურვეს გაეგოთ, რატომ არ დაუშვეს საბჭოთა კავშირში გაზეთ „ფორვერტსის" კორესპონდენტი. მელნიჩანსკიმ ამის შესახებ აღნიშნა, რომ **ეს გაზეთი ყოველ დღიურად ავსებს თავის ფურცლებს ათასნაირი ჭორებით საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებზე** და ამიტომ ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება ამ გაზეთის წარმომადგენელს არ დაუშვებდა მუშურ გლეხურ რესპუბლიკაში. დელეგაციის წევრები გამოეთხოვენ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს, მადლობა გადაუხადეს ვრცელი ინფორმაციისათვის და აღუთქვეს, რომ ამ ცნობებს გაუზიარებენ გერმანიის მშრომელთა მასებს. გამგზავრების წინ გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ **კერბერმა,** პროფესიით ფოსტა-ტელეგრაფის მოხელემ, ინახულა ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის საოლქო სამმართველო. მოსკოვის ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკებმა ჩააბარეს დელეგაციას ბერლინისა და გამბურგის ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკებზე გადასაცემათ მისალმების სიგელი და ორი დროშა.

◆

შვეიცარიის პოლიცია „სადარაჯოზე"

ბერლინი, 13 სექტემბერი. უცხოელებზე თვალყურის მდევნელმა შვეიცარიის პოლიციის ცენტრალურმა სამმართველომ მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის უკანასკნელი სესიის დაწყებამდე შეიტანა წინადადება, რომ უცხოელ დელეგატებს და, კერძოთ, ავსტრიელებს შვეიცარიაში შემოსვლის პირობათ ჩამოერთვას საჯარო კრებებზე გამოუსვლელობა. **შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ განაცხადა პროტესტი შვეიცარიის პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ.**

◆

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

მოსკოვი, 13 სექტემბერი. 12 სექტემბერს გერმანიის მუშათა დელეგაციამ ინახულა პროფინტერნი და საუბარი ჰქონდა ამხ. **ლოზოვსკისთან.** ლოზოვსკიმ დაახასიათა ის უაღრესად მძიმე პირობები, რომელიც წინ ელობება მუშათა კლასის მთლიანობის განხორციელებას. ამჟამად ორგანიზაციებში გაერთიანებულ მუშათა რიცხვი უდრის 37 მილიონს. ეს შრომის არმია, რომ მთლიანი იყოს, ის შესაფერის წინააღმდეგობას გაუწევდა კაპიტალიზმს. საუბედუროდ ეს ასე არ არის. პროლეტარიატი დაქსაქსულია. მთლიანი ინტერნაციონალის შექმნის იდეას პრაქტიკაში წინ ელობება შემდეგი დაბრკოლებანი: ევროპის არისტოკრატიზმი, რომელსაც თავს ევლება ევროპის მუშათა მოძრაობის ბელადები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ ჩინეთის, ინდონეზიის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების მშრომელთა მასების ინტერესებს, სოციალ-დემოკრატიული აპარატის ბიუროკრატიული კონსერვატიზმი (რეფორმისტული ბელადები აყენებენ თავის-თავს პირველ ადგილზე, ამყარებენ თავისებურ ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს პროლეტარული ცენტრალიზმის ნაცვლად) და დაბოლოს სოციალ-დემოკრატიული ბელადების კოალიციონური პოლიტიკა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ისინი ხელს აფარებენ ბურჟუაზიულ მთავრობათა მოქმედებას, რადგან ისინი მათთან ერთად მოღვაწეობენ.

დაბოლოს ლოზოვსკიმ სთქვა: შესაძლებელია თუ არა, რომ ჩვენ რევოლიუციონურმა კავშირებმა, ვიაროთ სოციალ - დემოკრატიულ პარტიასთან ერთად და გავხდეთ რეფორმისტები მთლიან ინტერნაციონალში? შესაძლებელია თუ არა გაერთიანება დღევანდელ ბრძოლის პირობებში, რომელიც სწარმოებს პროლეტარიატის საარსებო ინტერესების რვა საათის სამუშაო დღისა და არსებული ხელფასის შენარჩუნების გულისათვის?

პროფინტერნს არა ერთხელ მიუმართავს ამსტერდამის ინტერნაციონალისათვის და წინადადება მიუცია მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ პროპორციონალური წარმომადგენლობის საფუძველზე და იმ პირობით, რომ რევოლიუციონურ პროფკავშირთა წარმომადგენლებს საშუალება ქონებოდა დაეცვათ თავის იდეა ინტერნაციონალის შიგნით.

იტალიის, ინდოეთის და საფრანგეთის წარმომადგენლების მისალმების შემდეგ, გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა:

გერმანიის მეორე დელეგაცია მიემგზავრება საბჭოთა კავშირიდან სრული დარწმუნებული საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიერ დაწყებული საქმის სინამდვილეში.

გერმანიის მუშათა დელეგაციას იმედი აქვს, რომ საბჭოთა კავშირში მათი ყოფნა საგრძნობლად წასწევს წინ საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეს. კლასობრივი მთლიანობა განხორციელებული მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებისა, ვინაიდან თვით ბურჟუაზია ერეკება მუშათა კლასს ამ გზაზე.

ღამის ცნობები

გერმანიისა და საფრანგეთის თანამშრომლობა

ბერლინი, 14 სექტემბერი. ბრიანმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პრესის სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ იგი შტრეზემანთან ერთად განიხილავს საფრანგეთსა და გერმანიის თანამშრომლობის შესაძლებლობას. ბრიანმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკების დროს შეეხებიან აგრეთვე რეინის ოლქის განთავისუფლებას საოკუპაციო ჯარებისაგან, და აგრეთვე ვერსალის ხელშეკრულების პუნქტებს განიარაღების შესახებ.

შემდეგ ბრიანმა სთქვა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების დადება განამტკიცებს ეკონომიურ ურთიერთობას ორთავე ქვეყნის შორის. უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიისა და საფრანგეთის მრეწველობის ცალკე დარგების უკვე მიღწეულ შეთანხმებას და იმ ახალ შეთანხმებებს, რომლებიც ეხლა მზადდება.

საბჭოთა კავშირის სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს ახალი წევრები

მოსკოვი, 14 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად დაინიშნენ: ტალაკონცევი, განცევი, დოლგოვი, შტერნი, მოჟლაუკი, ავანესოვი და ლეპსე. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო დამტკიცებულია 85 კაცის შემადგენლობით.

ბრძოლა გამარჯვებამდის

ლონდონი, 14 სექტემბერი. დღეს შესდგა მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელმაც განიხილა არსებული მდგომარეობა. გადაწყდა წინადადება მიეცეს ყველა რაიონების მაღაროს მუშებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ მაღაროს მეპატრონეების ცდას, რომელიც მუშების დამარცხებისაკენ არის მიმართული.

მთავრობა მოქმედობს

ლონდონი, 14 სექტემბერი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ მთავრობას განზრახული აქვს, შექმნილ ჩიხიდან თავის დახაღწევად, მაღაროს მეპატრონეთა სარაიონო ასოციაციების წარმომადგენელთა მოწვევა სანახშირო მრეწველობის მდგომარეობის განხილველად. ეს ნაბიჯი გადადგმული იქნება ბოლდუინის ექს-ლე-ბენიდან დაბრუნების შემდეგ, ხვალ საღამოს.

იტალია - საფრანგეთის ურთიერთობა მწვავდება

ბერლინი, 14 სექტემბერი. „ფოსიშე ცეიტუნგი"-ს ცნობით, საფრანგეთ - იტალიის ურთიერთობა კიდევ მეტად გამწვავდა. „მატენ"-ის ცნობით, ბრიანმა განუცხადა იტალიის წარმომადგენელს გრანდის, რომ საფრანგეთში 800.000 მეტი იტალიელი ცხოვრობს. საფრანგეთის მთავრობას არ შეუძლია გამოიკვლიოს თვითეული მათგანის პოლიტიკური რწმენა.

წითელი არმიის ახალი კადრები

მოსკოვი, 14 სექტემბერი. დღეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში შევლენ რამოდენიმე ათასი ახალგაზრდა კომანდირი და 1.000-ზე მეტი უფროსი კომანდირი. ამის გამო ამხ. ვოროშილოვი სწერს:

„მუშურ - გლეხურმა წითელმა არმიამ" უნდა უზრუნველყოს აღმშენებლობის უდიდესი ამოცანების გადაწყვეტა; მან ღირსეული პასუხი უნდა გასცეს მრავალრიცხოვან მტრებს.

სამხედრო - რევოლიუციონური საბჭო ესალმება ახალ კომანდირებს და ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ ისინი იქნებიან ჩვენი სამხედრო აღმშენებლობის აქტიური მუშაკები".

საგამომძიებლო კომისია

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. ამერიკის შრომის ფედერაციის აღმასკომმა დანიშნა საგამომძიებლო კომისია, ავეჯეულობის მუშათა უკანასკნელ გაფიცვის გამო.

გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ მემარცხენე ფრთის ბელადები, მათ შორის „უორკერს ასრტი"-ს წევრებიც.

ბრძოლა ხულიგნობასთან

ოდესა, 14 სექტემბერი. საკავშირო კომკავშირის ოდესის საოლქო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომელიც მოითხოვს სასტიკი ზომების მიღებას ხულიგნების წინააღმდეგ მათი სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

ყვითლების პროფკავშირებში

ბერლინი, 13 სექტემბერი. იტყობინებიან, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივნის — უდეგესტის ოსლოში ყოფნის დროს, მისი მონაწილეობით გაიმართება პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. რომელზედაც გადაწყვიტეს მოკლე ხანში ნორვეგიის პროფკავშირები შეუერთონ ამსტერდამის ინტერნაციონალს.

ომი მაროკოში

პარიზი, 14 სექტემბ. რაბატიდან მიღებული ცნობის თანახმად, ესპანეთის რაზმს კაპაზში ალყა შემოარტყეს აჯანყებულებმა. საფრანგეთის რაზმი მზადაა ახლო მომავალში მიეშველოს ესპანელებს.

მასლოვის და რუტ ფიშერის გამორიცხვის გამო

ბერლინი, 14 სექტემბერი. მასლოვი და რუტ ფიშერი გერმანიის კომპარტიიდან გამორიცხვის შემდეგ პარტიის წევრებს შორის ავრცელებდენ დაბეჭდილ მოწოდებას „რუსეთის საკითხის შესახებ", რომლითაც უკანა რიცხვით სოლიდარობას უცხადებენ საკ. კომპარტიის ოპოზიციას; ისინი აგროვებდენ ხელისმომწერებს ამ მოწოდებაზე. მას შემდეგ, რაც გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოააშკარავა მასლოვისა და რუტ ფიშერის წინანდელი მოლაპარაკებანი საერთო პროგრამის გამოსამუშავებლად, მათ შესწყვიტეს მოლაპარაკება კორშთან და შეეცადენ ვებერის ჯგუფების მიმხრობას.

მასლოვისა და რუტ ფიშერის მოწოდებას ხელი მოაწერეს მათი მომხრეების გარდა, რეიხსტაგისა და ლანდტაგის ზოგიერთმა დეპუტატმა, რომელნიც გადაყენებული იყვნენ თანამდებობიდან პარტიული ორგანიზაციების მდივნების მიერ; ხელი მოაწერეს აგრეთვე პარტიის შეცდომაში შეყვანილმა წევრებმა, ვებერმა და ეგრედწოდებული „ვედდინგის ოპოზიციის" (ბერლინის ერთი რაიონთაგანი) ზოგიერთმა სხვა ბელადებმა.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო, „როტე ფანე" უპირისპირებს რა მასლოვისა და რუტ ფიშერის მოწოდების ციტატებს კაუცკის განცხადებას ამტკიცებს, რომ მათ შორის არსებობს სრული ერთსულოვნება ანტიბოლშევიზმის მიმართ; გაზეთი ამ მოწოდებას ახასიათებს ისე, როგორც პარტიის განხეთქილების ტენდენციას. იგი აღნიშნავს, რომ მრავალი მათგანი, რომლებმაც ხელი მოაწერეს მოწოდებას, ამას უყურებდენ, როგორც ისეთ განცხადებას, რომელიც არ შორდება შინა-პარტიული დისკუსიის ფარგლებს და არ ატარებს ანტიპარტიულ ხასიათს, მაგრამ როცა წინააღმდეგში დარწმუნდენ, უკან წაიღეს თავიანთი ხელმოწერა.

შემდეგ გაზეთი მოუწოდებს ვებერის ჯგუფს, რომ ღირსეული პასუხი გასცეს ამ გამთიშავ ცდებს.

„თუ ურბანსს და შოლემს, სწერს გაზეთი, სურთ მასლოვისა და კორშის გზით სიარული, ამაში ხელს ვერავინ შეუშლის. პარტია, რომელმაც კომინტერნის აღმასკომის ღია წერილის გამოქვეყნების შემდეგ 1925 წელში დიდ წარმატებებს მიაღწია, რომელმაც მიუხედავათ უმუშევრობისა შეიძინა 20.000 ახალი წევრი და 40.000 ხელის მომწერი თავის ორგანოებზე, რომელსაც ხელში უპირავს უდავო ხელმძღვანელობა უმუშევართა მოძრაობისა და რომელიც მიდის წინ ყოველ დარგში, უფრო ნამსხვრევებად აქცევს რენეგატების ჯგუფს, ვიდრე ნებას მისცემს, რომ გათიშვა შეიტანოს პარტიის რიგებში".

კონსერვატორების მადა

ლონდონი, 13 სექტემბ. კონსერვატორული პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა, განიხილა რა 6 ოქტომბერს სკარბოროში მოსაწვევ პარტიის წლიურ კონფერენციის დღის წესრიგი, გამოსთქვა აზრი, რომ მთავრობას მოსთხოვოს კანონმდებლობის შეცვლა ისე, რომ შეკვეცილ იქნას პროფკავშირების უფლებები და მოქმედების ასპარეზი.

ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ საჭიროა დაცულ იქნას ფარული ხმის მიცემა პროფკავშირთა წევრებისათვის მაშინ, როდესაც უნდა გადაწყდეს საკითხი სურთ თუ არა მუშებს ამა თუ იმ გაფიცვის დაწყება.

აღმასკომმა განიხილა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ „დაუშვებელია საბჭოთა აგენტებს მიეცეს უფლება ინგლისში აწარმოონ წითელი პროპაგანდა".

მაღაროს მეპატრონეთა ჯიუტობა

ლონდონი, 14 სექტემბ. დღეს შესდგა კაბინეტის სანახშირო კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება მაღაროების მეპატრონეთა წერილი სამივე მხარეთა მოსაწვევ კონფერენციაში მათი მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ. საერთო აზრით, მაღაროების მეპატრონეები, უარყოფენ რა სანახშირო ასოციაციას, როგორც ორგანოს, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას ეროვნულ ბაზისზე, ანგარიშს უწევენ დროს, როგორც ისეთ ფაქტორს, რომელიც აიძულებს მემაღაროეებს დაუბრუნდენ სამუშაოს რაიონებში ადგილობრივ წამოყენებულ პირობების მიხედვით. ამჟამად სამუშაოს დაუბრუნდა დაახლოვებით 6.000 მემაღაროე, რაც შეადგენს მთელი ქვეყნის მემაღაროეთა 6 პროც.

უორვიკშირის სანახშირო ასოციაცია არის ერთად-ერთი მაღაროების მეპატრონეთა 24 ასოციაციიდან, რომელმაც მხარი დაუჭირა ეროვნულ მასშტაბში მოლაპარაკების წარმოებას.

გემი „ლოტოსი"

ანგორა, 13 სექტემბერი. აღნიშნავს რა, რომ საფრანგეთის პრესაში ზოგიერთი ფრანგული წრეები განაგრძობენ აგიტაციას გემ „ლოტოსის" კაპიტანის დაპატიმრების საკითხის გარშემო, თუმცა ეს საკითხი განსახილველად გადაეცა ჰააგის ტრიბუნალს, ოფიციოზი „ხაკიმიეთ მილიე" იძლევა კითხვას: ხომ არ წარმოადგენს ეს ფაქტი რაიმე სისტემის ანარეკლს და ხომ არ უნდა ვხედავდეთ ამაში საფრანგეთის თვალსაზრისის შეცვლას?

გაზეთი აცხადებს, რომ ოსმალეთის მიმართ ვერც ერთი პოლიტიკა ვერ გამოიღებს დამაკმაყოფილებელ ნაყოფს, გარდა თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთ ნდობაზე დაფუძნებული სამეგობრო მოლაპარაკების პოლიტიკისა.

სოციალისტების დევნა პოლონეთში

პარიზი, 13 სექტემბერი. საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ პოლონეთის მთავრობას მიმართა საპროტესტო დეპეშით იმ ძალადობის წინააღმდეგ, როგორითაც ეპყრობიან პოლონეთის დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიას. დეპეშა მოითხოვს პოლონეთის დამოუკიდებელ სოციალისტური პარტიის დაპატიმრებულ წევრების განთავისუფლებას.

შენიშვნა: 6 სექტემბერს ვარშავის პოლიციამ დაბეჭდა დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის ბინა, რასაც მოჰყვა პარტიის მთელ რიგ წევრების დაპატიმრება. დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია წარმოადგენს მემარცხენე პეპეესელების ცალკე ჯგუფს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ბალტიის ფლოტი

კრონშტადტი, 14 სექტემ. ბალტიის ფლოტის მოგზაურობა წარმატებით ტარდება. ფლოტი დაიყო რამდენიმე ნაწილათ, რომლებიც აწარმოებენ ერთმანეთთან „ომს". „ომში" მონაწილეობას იღებენ სამხედრო - საზღვაო იარაღის ყველა სახეები..

საამშენებლო მრეწველობის ორგანიზაცია

მოსკოვი, 14 სექტემბ. საბჭოთა კავშირის სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს მუდმივმა თათბირმა აღმშენებლობის შესახებ, პრინციპიალურათ მიზანშეწონილათ სცნო სინდიკატის შექმნა საამშენებლო მრეწველობის მოსაწყობათ.

ტეხნიკური კანტროლი ფაბრიკა-ქარხნებში

მოსკოვი, 14 სექტემბ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბრძანებით, ყველა საუწყებო წარმოებებს წინადადება მიეცათ ფაბრიკა-ქარხნებში აუცილებლათ შემოიღონ შინა ტეხნიკური კანტროლი. საკანტროლო ორგანოები უშუალოთ უნდა ემორჩილებოდენ წარმოებათა მმართველობებს და დამოუკიდებელი უნდა იყვენ საამქრო ადმინისტრაციისაგან. საკონტროლო ორგანოები სრული პასუხისმგებელი არიან პროდუქციის ხარისხისა და დაწუნებულის სწორაღრიცხვისათვის.

პარტიის წევრების აღრიცხვა

მოსკოვი, 14 სექტემბ. საკავშირო კომუნისტურ პარტიის (ბ) ცეკას სასტატისტიკო განყოფილებამ დაამუშავა აღრიცხვის ახალი ფორმის პროექტები პარტიის პირად შემადგენლობის და მუშა და გლეხ ქალთა შორის საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის სტატისტიკურ ანგარიშისთვის.

ამ პროექტებით, კომუნისტების აღრიცხვა უჯრედებში და სამაზრო კომიტეტებში იწარმოებს მხოლოთ ბარათების მიხედვით. განზრახულია კომუნისტების პირადი საქმის გაუქმება. საღრიცხვო ბარათებს მიეცემა საბუთის ხასიათი. მეორე ორგანიზაციაში გადასვლის დროს, საღრიცხვო ბარათი მას პირადათ მიეცემა ხელში, პარტულ კომიტეტში გადასაცემად.

კომუნისტების აღრიცხვის ახალი სისტემის შემოღება განზრახულია მოახლოებულ პარტიულ აღწერის დროს.

მბეჭდავთა ყრილობა

მოსკოვი, 14 სექტემ. ბეჭვდით მუშაკთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა 20 ნოემბრისთვის დანიშნა მბეჭდავების საკავშირო ყრილობა.

ხულიგნობა ლენინგრადში

ლენინგრადი, 14 სექტემბ. უკანასკნელ ნახევარი წლის განმავლობაში ლენინგრადსა და მის გუბერნიაში აღრიცხული იყო ხულიგნობის 12000 შემთხვევა.

უკრაინა

ინგლისელ მეზღვაურთა პროტესტი

ოდესა, 14 სექტემბ. ინგლისელ მეზღვაურებმა, რომელნიც ხომალდების ორ ჯგუფათ დგანან ნავთსადგურში, გამოიტანეს რეზოლიუცია საბჭოთა დელეგაციის ინგლისის პროფკავშირთა კონფერენციაზე არ დაშვების წინააღმდეგ.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მატყლი

ბაქო, 14 სექტემბერი. შინაგან ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, მატყლის მთავარი დამამზადებლების აზერიტიფიკატისა და კეიბირლიგის მიერ **1926—27 წელში დამზადებული იქნება 58.000 ფუთი მატყლი 840,000 მანეთად ღირებული.** ამ რაოდენობიდან შემოდგომის მატყლი იქნება დამზადებული 24,000 ფუთი, გაზაფხულის კი—30,000 „შპანკა" — 4,000 ფუთი. ყველა ეს მატყლი გადაეცემა სააქციონერო საზოგადოებას „მატყლს".

საქონლის შემოტანა

ბაქო, 14 სექტემბერი. საბჭოთა აზერბეიჯანის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ თავის სხდომაზე აზერბეიჯანში საქონლის შემოტანის საკითხის შესახებ—გამოარკვია შემდეგი რაოდენობის მოთხოვნილება: პურის—8.200.000 ფუთი. რომლიდანაც ორი მილიონის შემოტანა გათვალისწინებული იყო გეგმის მიხედვით; შაქრის — 1.200.000 ფუთი. აქ მხედველობაში მიღებულია მოთხოვნილების თანდათანობითი ზრდა.

სომხეთი

112 წლის მოხუცი ქალი

ქვემო-ახტები, 14 სექტემბერი. გარდაიცვალა ქვემო-ახტების მცხოვრები 112 წლის ქალი შირინ გასპარიანი, რომლის უნცროსი შვილი 68 წლის არის.

რძის გასაღება

ერევანი, 14 სექტემბერი. სომხეთის სასოფლო - სამეურნეო ბანკმა კარაქის და ყველის ცენტრალურ დაწესებულებას მისცა 40.000 მანეთის კრედიტი, ლორის - ბამბაკის რაიონიდან ახალი რძის შესატანათ თბილისში და ერევანში.

საბჭოთა კავშირის ფინანსიური მდგომარეობა

(საუბარი საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრთან მ. გ. ბრონსკისთან)

ჩვენი ვალიუტა და პურის დამზადება.—უდეფიციტო ბიუჯეტი.—შინა-ვაჭრობა.—ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომ. კოლეგიის წევრი ამხ. ბრონსკი, რომელმაც ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

ფინანსთა კომისარიატის ეხლანდელი მორიგი ამოცანაა საშემოდგომო კონიუნქტურის საკითხის მოგვარება, რაც მჭიდროთ დაკავშირებულია ჩვენი ვალიუტის სიმტკიცესთან და ჩერვონეცის სყიდვითი უნარიანობის გაძლიერებასთან. ამ საკითხების შესაფერისად გადაჭრა თავის მხრივ დამოკიდებულია იმ მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ამოცანების ჩქარი ტემპით ცხოვრებაში გატარებაზე, რომლებიც დასახული იყო სრულიად საკავშირო ცაკის წარსულ სესიაზე. აქ, ამ შემთხვევაში, საკითხი წამოიჭრება პურის დამზადების, მისი რეალიზაციის და ფასების შესახებ. ამ სფეროში ჩვენ უკვე გვაქვს დიდი მიღწევები წარსულ წელთან შედარებით.

წარსული წლის შემოდგომის თვეებში ადგილი ჰქონდა ფასების აწევას, რის გამო დაეცა ჩერვონეცის სყიდვითი უნარიანობა. ეს გარემოება გავლენას ახდენდა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასზე და მიუხედავათ ხელფასის ზრდისა, უკანასკნელმა მაინც ვერ შესძლო საქონლის ფასებს გათანასწორებოდა. ამით აიხსნება ის გარემოება, თუ რატომაა საჭირო თვალყურის დევნება ქვეყნის შინა ბაზარზე ფასების მოძრაობისა და მთელ რიგ ღონისძიებათა მიღება საბითუმო - საწვრილმანო ფასების დასაწევად და ჩერვონეცის სყიდვითი უნარიანობის გასადიდებლად.

უნდა ითქვას, რომ ეხლა ამ მიმართულებით საგრძნობი მიღწევები გვაქვს. მართალია. საბითუმო - საწვრილმანო ფასები კლებულობდა; ფასების დაკლება მოხდა არა იმ რაოდენობით, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, მაგრამ ფასების დაკლების ფაქტი არის საუკეთესო დამამტკიცებელი იმისა, რომ ჩვენ შევსძელით ამ მხრივ სწორი გზის გამოძებნა. თავის მხრივ, შინავაჭრობის კომისარიატმა მისწერა დამამზადებელ ორგანოებს, რათა არ იჩქარონ პურის დამზადება პირველ კვარტალში, რომ ამით თავი დავაღწიოთ აჟიოტაჟს პურის ბაზარზე.

ეს დასახული ღონისძიებანი სრული საწინდარია იმისა, რომ თანდათანობით საქონელზე დაწეული იქნება ფასები, რაიც რასაკვირველია, კარგს გავლენას იქონიებს პურის დამზადების კამპანიაზე და ექსპორტზე.

აგვისტოს თვის ცნობებით, საქონლის ნაკლებობას ადგილი არა ჰქონია. ბაზარზე საკმაო მოიპოვება საქონლის მარაგი.

აჟიოტაჟის აღმოფხვრით და პურის დამზადების პერიოდში ფასების დაკლებით ჩვენ შევსძლებთ ვალიუტის გამაგრებას და ავსწევთ მის სყიდვითი უნარიანობას.

მიმდინარე წელს საგრძნობლად შემცირდა ფულების ემისია (ჩერვონცების გამოშვება). ასე მაგალითად: წარსული წლის ივლისში ჩვენ გამოუშვით 69 მილიონი, მიმდინარე წელს კი—24 მილიონი. ეს ციფრები ფრიად საგულისხმოა და ამტკიცებს ჩვენს სიფრთხილეს ამ სფეროში.

ალსანიშნავია რომ გასულ წელს პურის დამზადების პერიოდში აიწია უცხოეთის ვალიუტის კურსმა. ამჟამად კი საქონლის შემოტანის შემცირების საშუალებით ასეთ ანორმალობას ბოლო მოუღეთ. არის იმედები, რომ მიმდინარე წელს, პურის დამზადების პერიოდში, ვალიუტის სპეკულიაციას ადგილი არ ექნება და უცხოეთის ვალიუტა არ გადააცილებს დაწესებულ პარიტეტს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია,—საკითხი ჩვენი ბიუჯეტის შესახებ. ჩვენ გვეშინოდა, რომ ჩვენი ბიუჯეტის ცხოვრებაში გატარებას, რომელიც 4 მილიარდზე მეტს აღემატება სარეზერვო ფონდიდან ერთად—უდეფიციტოთ ვერ შევსძლებდით. უდეფიციტო ბიუჯეტის მისაღებად მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი. საგასავლო ხარჯების ნაწილი, მოიხსნა და გადატანილია მომავალ საბიუჯეტო წლისათვის. პირველი ათი თვის განმავლობაში ჩვენ შევკრიბეთ 87,3 პროცენტი პირდაპირი გადასახადი. მოიკოჭლებს საქმე არა პირდაპირი გადასახადების დარგში. აქციზმა ჩვენ შეცდომაში შეგვიყვანა. ათი თვის განმავლობაში ჩვენ შევსძელით ნავარაუდევი თანხის მხოლოდ 63 პროცენტის შეკრება. საბაჟო შემოსავალმა მოგვცა 90 პროცენტი.

საერთოდ ყველა საშემოსავლო გადასახადები 70 პროცენტით უკვე შეკრებილია. ამ რიგათ უდეფიციტო ბიუჯეტი უზრუნველყოფილია.

გადავიდეთ ჩვენი ეკონომიკის მესამე საჭირო ფაქტორზე შინა-ვაჭრობის საკითხზე. როგორც შინა-ვაჭრობის კომისარიატის მოხსენებიდან შრომის და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე გამოირკვა საშინაო ვაჭრობის საერთო ბალანსი იქნება ნაკლები, ვინემ ეს გათვალისწინებული იყო გეგმით. თუმცა უკანასკნელ თვეებში გვქონდა აქტიური ბალანსი, მაგრამ წინანდელი თვეების პასივობის გამო დიდი შრომით შევსძელით დაგვეყვანა ის უდეფიციტოთ. რაც შეეხება 100 მილიონიან სარეზერვო ფონდს, ის სამწუხაროდ ამ წელში არ გვექნება. ამ ფონდის შექმნის საქმე ჩვენ უნდა გადავდოთ მომავალ წლამდე.

როგორც ვიცით, ეხლა სწარმოებს მომავალი წლის ბიუჯეტების შედგენა. ამ ბიუჯეტების შედგენის დროს მთავარია თანხის გადადება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. ეხლა ჩვენ ვარკვევთ საკითხს რა რაოდენობის თანხის გადადება შეიძლება ამ საქმისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რამდენი კრედიტებიდან.

საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრებს მრეწველობისათვის საჭირო თანხაში ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვერ ეთანხმება. საგეგმო კომისიას ნავარაუდევი აქვს რომ მრეწველობისათვის საჭირო ყველა დამატებითი საშუალებანი ედრება 1040 მილიონს და ამ თანხიდან შეიძლება გამოყოფილ იქნას კაპიტალური საჭიროებისათვის 845 მილიონი. ფინანსთა კომისარიატი აცხადებს, რომ 750 მილიონზე მეტის მიღება არ მოხერხდება. კომისარიატი აღნიშნავს რომ ასეთი გაძლიერებული ხარჯები არ შეეფერება ქვეყნის მატერიალურ რესურსებს. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მიმდინარე წლის გამოცდილება. ჩვენ დავინახეთ, რომ ს. მ. უ. საბჭოს პირველ დაწყებითი გეგმის განხორციელება არ მოხერხდა, რადგან ჩვენს ქვეყანაში არ აღმოჩნდა საკმაო რაოდენობის მასალა რამაც გამოიწვია ფასების აწევა, როგორც მაგალითად; საამშენებლო მასალაზე.

დასახულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებით ჩვენ შევსძლებთ ჩვენი მრეწველობის წინ წაწევას.

შვებულ წითელ არმიელებს

ამხანაგებო, კავკასიის წითელდროშოვან არმიის შვებულ - წითელარმიელნო! თქვენ წილად გვხდათ საპატიო მოვალეობა ემსახუროთ წითელი არმიის სიძლიერის განმტკიცების საქმეს ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, — აღმოსავლეთის ამ წინა კარებში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ამ საპასუხისმგებლო ნაწილში.

თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, იცით, რომ წითელი არმია წარმოადგენს არა მარტო წითელარმიელთა პოლიტიკურ და პრაქტიკულ მოსამზადებელ სკოლას სამხედრო ხელოვნებისთვის, არამედ სოციალიზმის მშენებლობისათვის, ხალხის საქმის სამსახურისთვის და თქვენ, 1924 წ. გაწვეული, რომლებმაც ორი წლის განმავლობაში, გაიარეთ ასეთი სკოლა, თამამად შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენ მიერ შეძენილი ცოდნა მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თქვენ, როგორც მუშებისა და გლეხების შვილნი, მთელ თქვენს უნარს და მთელ თქვენს გამოცდილებას მუშურ - გლეხური სახელმწიფოს აყვავების საქმეს, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საქმეს მოახმართ. მსახურობდით რა წითელარმიის რიგებში, თქვენ იყავით საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სხვადასხვა ტომების ძმური თანამშრომლობისა და სოლიდარობის განსახიერება.

ის მტკიცე მშვიდობიანობა, რომელიც ჩვენ გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების დაარსების შემდეგ ამიერ-კავკასიაში, სადაც წინედ მეფისა და მენშევიკური მთავრობების პოლიტიკის წყალობით ერთა შორის საუკუნოების განმავლობაში განუწყვეტლივ შუღლი არსებობდა, — არის საბჭოთა ხელისუფლების და მისი შეიარაღებული ძალის—კავკასიის წითელდროშოვან არმიის სწორი პოლიტიკის შედეგი.

ამხანაგებო, შვებულ - წითელარმიელნო! თქვენ იცით, რომ ჩვენ სოციალისტურ სამშობლოს ჰყავს უამრავი მტრები, რომლებიც შურით უცქერიან ჩვენს მიღწევებს ყველა დარგებში და ყოველნაირად ცდილობენ ჩვენს განადგურებას, მაგრამ არც ერთი გარეშე მტერი ჩვენთვის საშიში არაა, თუ ჩვენ მტკიცედ და ურყევად ვიდგომებით ჩვენს სადარაჯოზე და ერთგულად ვემსახურებით სოციალიზმის მშენებლობის საქმეს როგორც ქალაქში, ისე სოფლად. საჭიროა მთელი ძალების მოკრება, რათა მთელი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც თქვენ მიიღეთ ორი წლის განმავლობაში წითელ არმიაში სამსახურის დროს, არ დაიკარგოს ფუჭად, არამედ გამოიყენოთ სავსებით ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ამხანაგებო, შვებულ - წითელარმიელნო! მუშურ - გლეხურ ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ თქვენ, გლეხებისა და მუშების შვილნი, სახლში დაბრუნებისას იქნებით საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთგული და საიმედო გამტარებლები, მტკიცედ იდგომებით ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე, ყველგან და ყოველთვის სადაც არ უნდა იყოთ, გეხსომებათ მუშების და გლეხების მსოფლიო ბელადის — **ლენინის** დიდი ანდერძი დაჩაგრულ კაცობრიობის მონობიდან განთავისუფლებისა, მშრომელთა ექსპლოატაციის მოსპობისა და სოციალიზმის განხორციელების შესახებ!

გაუმარჯოს დიად ძლევამოსილ მუშურ - გლეხურ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს — კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე — **ფ. მახარაძე.**

საქართველოს ცაკის მდივანი—**ს. თოდრია.**

საწარმოო ძალების შესწავლა

საბჭოთა კავშირის სახელმწ. საგეგმო კომისიასთან არსებულმა ყრილობების ბიურომ, რომელსაც მიზნად აქვს საწარმოო ძალთა შესწავლა, შემდეგი შეკითხვით მიმართა საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას: როგორ მდგომარეობაში არის საქართველოს საწარმოო ძალთა შესწავლა.

საქ. სახელმწ. საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო, რომ საქართველოში შეიქმნას საქართველოს საწარმოო ძალთა შემსწავლელი ასოციაცია. ასოციაციის მიზანი უნდა იყოს—მეცნიერულ-გამოკვლევითი მუშაობის დაკავშირება გეგმიან-სამეურნეო მუშაობასთან.

საქ. სახელმწ. საგეგმო კომისია აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომელნიც ასოციაციის შესწავლის საგნად უნდა გახდენ. მრეწველობის დარგში სხვა საკითხებს შორის ასოციაციამ უნდა შეისწავლოს შემდეგი საკითხები: როგორი- ძალის ენერგია უფრო რენტაბელურია და სადაა საზღვარი ენერგიის სახეობათა რენტაბელობისა; ნახშირის ამოღების რაციონალიზაცია; სამთამადნო სიმდიდრეთა გამოყენება და სხ.

ვაჭრობა უცხოეთთან

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ ივლისის განმავლობაში გაზიდა სხვადასხვა ხე-ტყის მასალები უცხოეთში. ამ თვის განმავლობაში გაზიდულია 345.783 კილოგრამი მუხის ლამფები და 206.359 კილოგრამი კაკლის ძელები. ამას გარდა, გაიგზავნა აგრეთვე 136.886 ცალი ფირფიცარი. ივლისში გაიგზავნა კიდევ ნოხები 820 ცალი და სხვადასხვა ბეწვეულობა 2.600 ცალის რაოდენობით.

1-დან 15 აგვისტომდე ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ საფრანგეთში გაზიდა 19.600 მანეთის საქონელი, მათ შორის 12.000 მანეთის ღირებულების კაკლის ფირფიცრები. ამერიკაში გაიგზავნა 7.000 მანეთის თევზი. გერმანიისა და ამერიკაში, ამას გარდა, აგვისტოს შუა რიცხვებში გაიგზავნა 32.500 მანეთის საქონელი. ივლისის განმავლობაში კარგათ მიმდინარეობდა ჩვენი მასალების ექსპორტის საქმე საფრანგეთის ბაზარზე. ამ ხნის განმავლობაში სავაჭრო ამხანაგობას გაუგზავნია 5.852 კილოგრამი კაკლის ძელები და სხვადასხვა ხე-ტყის მასალები. სავაჭრო დამოკიდებულება ამერიკასთან მიმდინარეობდა დიდი წარმატებით.

ივლისის განმავლობაში ამხანაგობამ გაზიდა ამერიკაში 6.100 კილ. კაკლის ძელები, 567.430 კილოგრამი მუხის ლამფები და 12.687 ცალი კაკლის ფირფიცარი.

მიმდინარე სექტ. თვეში გაიგზავნება დიდძალი საექსპორტო საქონელი გერმანიაში.

საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და პერსპექტივები

I

მრეწველობის ზოგადი მიმოხილვა

იმისდამიუხედავად, რომ საქართველოს დიდი ენერგეტიული რესურსები აქვს (ქვანახშირი და თეთრი ნახშირი), მრავალი ტყეები და მნიშვნელოვანი და მრავალნაირი სასარგებლო მადნები, ის მაინც, უწინარეს ყოვლისა, აგრარული ქვეყანაა და მის მრეწველობას სასოფლო მეურნეობასთან შედარებით უმნიშვნელო ადგილი უჭირავს სახალხო მეურნეობის სისტემაში.

სტატისტიკის ცნობებით, საქართველოს მთელი მრეწველობის, ცენზიანის, წვრილი ქალაქურის და ქალაქურ-ხელოსნურის 1924—25 წლის განმავლობაში 52.365.000 ჩერვონ. მანეთში გამოიხატა.

სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია კი იმავე დროის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული ბალანსის მიხედვით 239.084.000 ჩერვონ. მანეთს უდრიდა.

ამ ცნობების თანახმად ურთიერთობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის განისაზღვრება როგორც 1:4½.

მართალია მრეწველობის საერთო პროდუქციის განსაზღვრის დროს ნაანგარიშევი არ იყო შინამრეწველობისა და სასოფლო სახელოსნო მრეწველობის პროდუქცია. მაგრამ ზემოთმოყვანილი ურთიერთობა შეიძლება ისე, ურთიერთობათ ვსცნოთ, რომელიც სწორათ გამოხატავს საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების ხვედრითი წონას.

სასოფლო მეურნეობის განვითარების საერთო ტემპი 24—25 და 25—26 წლებისთვის, 23—24 წლებთან შედარებით შემდეგნაირად ისახება:

1923—24 წ.	100%
1924—25 წ.	138%
1925—26 წ.	152%

თუ ამ ციფრებს მრეწველობის საერთო პროდუქციის დინამიკის ცნობებს შევადარებთ უკანასკნელ წლებში, შემდეგ სურათს მივიღებთ:

1923—24 წ.	35.800.000—100%
1924—25 წ.	52.365.000—146%
1925—26 წ.	78.600.000—219%

(ცნობები როგორც სასოფლო მეურნეობათა, ისე მრეწველობის შესახებ აღნიშნული სამი წლისთვის ამოღებულია ს. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრებისთვის მიძღვნილ განმარტების წერილიდან).

თავის თავად ცხადია, რომ ამ ცნობებს მხოლოდ შედარებითი ზედმიწევნობის ხასიათი აქვთ. მაგრამ ისინი გამოდგებიან ეკონომიური ცხოვრების ძირითადი დინამიური პროცესების თეორეტიული ანალიზისთვის და მათ მიერ გამოაშკარავებული ძირითადი ტენდენცია ჩვენი მეურნეობის განვითარებისა არის ის, რომ ჩვენში მრეწველობის განვითარება უფრო ჩქარის ტემპით ხდება, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება.

ზემოთ აღნიშნული ტენდენციის არსებობის დამტკიცებას წარმოადგენს შემდეგი ცნობები სამუშაო ძალის ზრდის დინამიკაზე საქართველოს მრეწველობაში.

საქართველოს პროფსაბჭოების ბიუროს ცნობებით, მუშების რიცხვი იყო.

1921 წლის 1 ოქტომბერს	— 16,645
1923 წლის „ „ „	— 15,435
1924 წლის „ „ „	— 21,295
1925 წლის „ „ „	— 29,705
1926 წლის „ „ „	— 31,700

მრეწველობაში ჩაბმულ მუშების რიცხვი 1923 წლიდან 1926 წლამდე გაიზარდა 16,645-დან 31,700-დე, ე. ი. თითქმის გაორკეცდა.

ამრიგათ, განვითარების ძირითადი ტენდენციის მხრივ ჩვენი სახალხო მეურნეობა ერთნაირ პირობებში იმყოფება საერთო საკავშირო სახალხო მეურნეობასთან, სადაც ისევე, როგორც ჩვენში მრეწველობის განვითარება ჩქარის ნაბიჯით უსწრებს წინ სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპს.

სახელმწიფოებრივი და კერძო მრეწველობის ხვედრითი წონის გამორკვევის დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ზედმიწევნით დამუშავებული სტატისტიკური ცნობები არ მოგვეპოვება.

მიმდინარე სამრეწველო სტატისტიკის მიხედვით კი საქართველოს მთელი ცენზიანი მრეწველობის მდგომარეობა 24—25 წლებისთვის შემდეგნაირად გვეხატება:

	მომქმედ ქარხნების რიცხვი	მუშების რიცხვი	საერთო პროდუქ. (ჩერვ. ათას მან.)
1) სახელმწიფოებრივი	149	9.424	28.359
მათ შორის უმაღ. მეურნეობის საბჭოს	49	4.806	14.305
2) კოოპერატიული	20	624	3.070
3) კერძო	37	3.019	5.376
მათ რიცხვში მარგ.	21	2.787	4.243
მთელი ცენზიანი მრეწველობა	206	13.067	36.865

სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქცია 24—25 წლებში უდრის 28.359 ათას ჩერვ. მანეთს, ე. ი. 77 პროცენტს მთელი ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქციისა.

კერძო მრეწველობის საერთო პროდუქცია წარმოადგენს 5.376 ათას მანეთს ანუ 14 პროც.; ხოლო თუ შავიქვის მრეწველობას გამოვაკლებთ — კერძო მრეწველობის ხვედრი მხოლოდ 3 პროც. იქნება.

თითქმის იმავე შედეგებს მივიღებთ, თუ ანალიზს გაუკეთებთ წარმოებათა და მუშათა რიცხვს.

ამრიგად, სახელმწიფოებრივი მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს მთელ ცენზიან მრეწველობაში 24—25 წლებში 77 პროც. უდრიდა, ხოლო კერძოსი, შავიქვის მრეწველობასთან ერთად, 14 პროც., შავიქვის მრეწველობის გამოკლებით 3 პროც.

1924—25 წლების ცნობების შედარება 25—26 წლების პირველ ნახევართან შემდეგ სურათს იძლევა:

მრეწველობის დარგში	1924—25 წ.			1925 – 25 (ნახევარი)		
	ქარხ. რიცხვი	მუშების რიცხვი	საერთო პროდუქ.	ქარხნ. რიცხვი	მუშების რიცხვი	საერთო პროდ. (ათას ჩ. მ.)
1. სახელმწიფოებრივი	149	9.424	28.359	155	10.375	20,121,7
2. კერძო						
ა) სამთამად. შავი ქვის	21	2.787	4.243	22	4.440	2,908,2
ბ) სილიკატის	1	18	18,7	1	18	9,2
გ) ლითონის	2	32	131,5	1	14	9.7
დ) ტყავის	3	41	356,3	3	55	376,1
ე) თამბაქოს	5	50	209,7	1	11	28,5
ვ) ზეთის სახდელი	—	—	—	1	13	17,7
ზ) სპირტ-კონიაკის	1	17	282,9	2	27	338,0
ი) დანარჩენი გემო-კვების	1	25	107,0	2	7	32,4
თ) ხის მრეწველობის	1	45	11,8	—	—	—
კ) ქაღალდის (გილზის)	2	4	15,0	2	4	4,5
სულ კერძო	37	3019	5375,9	35	4590	3725,1
კერძო შავი ქვის მრეწველობის გამოკლებით	16	232	1132,9	13	150	816,9

ამ ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კერძო ცენზიანი მრეწველობა, შავიქვის გამოკლებით, 25-26 წლებში 24-25 წლებთან შედარებით შემცირდა, როგორც სამრეწველო დაწესებულებების, ისე მუშების რიცხვის მხრივ; მუშების რიცხვი 82 შემცირდა, ქარხნების რიცხვი 3. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა კერძო მრეწველობის თითქმის ყველა დარგებში 25-26 წლებში ვხედავთ საერთო პროდუქციის მნიშვნელოვან შემცირებას, ტყავისა და სპირტ-კონიაკის მრეწველობა საგრძნობ ზრდას გვიჩვენებს.

აქედან სჩანს, რომ კერძო ცენზიანი მრეწველობა, თავისი უმნიშვნელო ხვედრითი წონის მიუხედავათ, ზოგიერთ დარგში თავისუფლად უძლებს სახელმწიფო მრეწველობის კონკურენციას.

ტყავის მრეწველობაში ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას საერთო საქონლის შიმშილით ტყავის პროდუქტებზე და აგრეთვე იმით, რომ სალიმიტო ფასების გაუქმებასთან ერთად გაუქმებულ იქნა ვალდებულება, რომ მთელი ტყავი ტყავტრესტს გადასცემოდა.

ხოლო კონვენციური ფასების დაწესებამ ნედლ ტყავზე საკმაო დიდი უპირატესობანი შეჰქმნა კერძო მეტყავეებისთვის, რომელნიც თავისუფალნი არიან ამ კონვენციური ფასებისაგან.

მაგრამ ამ ორი დარგის გვერდით არიან სხვა დარგები, რომელთაც ვერ გაუძლეს სახელმწიფო მრეწველობის კონკურენციას და თითქოს დაიღუპნენ; ასეთია, მაგალითად, თამბაქოს მრეწველობა, სადაც 5 ფაბრიკიდან, რომელიც 24—25 წელში იყო, 25—26 წელში მხოლოდ ერთი ღა დარჩა.

ამ პერიოდში სახელმწიფო მრეწველობის ზრდა შემდეგს სურათს იძლევა: საერთო პროდუქცია 24—25 წლიდან თითქმის 42% გაიზარდა. მუშების რიცხვი 9.424-დან 10.305-დე ავიდა.

ამრიგად, სახელმწიფო მრეწველობას საქართველოს ცენზიან მრეწველობაში უეჭველად გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს.

ამასთანავე უსარგებლო არ იქნება ზოგიერთი შედარებითი ცნობების მოყვანა, რომელიც წვრილ საქალაქო, სახელოსნო და შინამრეწველურ წარმოებას ეკუთვნის.

ფინინსპექციის მასალებიდან ამოღებული ცნობები 24—25 წლის პირველი ნახევრისთვის გვიჩვენებს, რომ 24—25 წლის პირველ ნახევარში საქართველოში (32 ქალაქში), რესპუბლიკების გამოკლებით, იყო 5811 სახელოსნო, ხოლო ამ რესპუბლიკებითურთ 7028: 25—26 წელს (პირველ ნახევარში) წინასწარი ანგარიშით ჩვენ გვაქვს (რესპუბლიკების გამოკლებით) უკვე 8260 სახელოსნო; ამრიგად წვრილ წარმოებათა და სახელოსნოების რიცხვმა წარსული წლიდან 42 პროც. მოიმატა.

მთელი კერძო მრეწველობის, ცენზიანის, წვრილის და ხელოსნურის, (შინამრეწველობის გამოკლებით) საერთო პროდუქციამ 24—25 წელში მიაღწია 20.937.000 ჩერვონულ მანეთს.

ამას თუ მივუმატებთ შინა-მრეწველობის პროდუქციას, რომელიც დღემდე აღურიცხველი იყო, მაგრამ, რომლის რაოდენობაც მასში დასაქმებული მ.-ხელის რაოდენობის მიხედვით (19.143) მნიშვნელოვანი უნდა იყოს, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მომხმარებლის მთელი მოთხოვნილების 55%-ს, აკმაყოფილებს კერძო მრეწველობა.

რესპუბლიკის მსხვილ სახელმწიფო მრეწველობაში საქ. ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობას უჭირავს მეტად საპატიო ადგილი.

ამ მრეწველობაში შედის სახელმწიფო მრეწველობის ყველა მთავარი დარგები.

საქ. ს. მ. უ. საბჭოს მთელი მრეწველობა გაერთიანებული და თავმოყრილი 10-მდე ტრესტში, რომელთაგან მთავარი არიან: თამბაქოს, ტყავეულობის, ქვანახშირის („გრუზუგოლტოპი") სატყეო, სპირტ-კონიაკის, ზეთის სახდელი—საპნის ტრესტები და სხვა.

ეხლახან მოწყობილ იქნა კიდევ აბრეშუმის ტრესტის („შელკო-ტრესტი"): რომლის ოპერაციები შეტანილი იქნება ს. მ. უ. ს. უწყებაში მომავალ სამეურნეო წლიდან.

მიმდინარე სამრეწველო სტატისტიკის ცნობებით 1924—25 წელში მთელი სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქცია უდრიდა—28.359.000 ჩერვონულ მანეთს. ამ ჯამიდან 14.305.000 მანეთი, ანუ 50,4% მოდის ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობაზე.

აღსანიშნავია, რომ საქ. ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობას, რომლის საერთო პროდუქცია მთელი სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის 50% შეადგენს, მთელ სახელმწიფო სამრეწველო მომქმედ 149 დაწესებულებიდან განვლილ პერიოდში ეკუთვნოდა მხოლოდ 49 დაწესებულება, ამასთან ერთად ამ 49 დაწესებულებაში დასაქმებული იყო 288 კაცით მეტი, ვიდრე სახელმწიფო მრეწველობის ყველა დანარჩენ დაწესებულებებში საერთოდ.

მთელი სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქციას 1925—26 წლის პირველი ნახევრისათვის მიმდინარე სამრეწველო სტატისტიკა განსაზღვრავს 20.121.600 ჩერვონ. მანეთით.

ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობის საერთო პროდუქცია კი ს. მ. უ. ს. სტატისტიკურ განყოფილების ცნობებით უდრის—10.090.318 ჩერვონ. მანეთს.

ეს ცნობები მოწმობენ იმას, რომ ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობის ხვედრითი წონა საქ. მთელს სახელმწიფო მრეწველობაში 50 პროცენტზე თუ მეტი არა, ნაკლები არ არის.

საქ. ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობის განვითარების საერთო ტემპი უკანასკნელი წლების განმავლობაში შემდეგი სახით წარმოგვიდგება (ომის წინადროინდელი შეფასებით).

წლები	საერთო პროდუქცია	%%
1922—23	4.498.000	100
1923—24	4.823.000	107
1924—25	8.980.000	199
1925—26	12.230.000	271

ცნობები 22—23, 23—24 და 24—25 წლებისათვის ამოღებულია საქ. ს. მ. უ. ს. სტატისტიკური განყოფილების მასალებიდან, ხოლო ცნობები 1925—26 წლისათვის საქ. ს. მ. უ. ს. მრეწველობის საკონტროლო ციფრებიდან, რომელიც დამუშავებულია საქ. ს. მ. უ. ს. საწარმოო - საგეგმო განყოფილების ხელმძღვანელობით.

ეს ცნობები მჭერმეტყველურად მოწმობენ იმ სწრაფი ტემპის შესახებ, რომლითაც ვითარდება ამ უკანასკნელ წლებში საქ. ს. მ. უ. ს. მრეწველობა. განვითარების ტემპის სისწრაფის და საერთო პროდუქციის ზრდის მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია 24—25 წელი.

ასეთი წარმატება შედეგი არის სახალხო მეურნეობის პროგრესიული გაჯანსაღების და აღორძინების, რომელსაც ადგილი აქვს უკანასკნელ წლებში მთელს კავშირში და რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინო შეიქნა სწორედ 24—25 წელში.

მაგრამ საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ რამდენად—მრეწველობა მიუახლოვდება იმ „აღდგენის" პერიოდის დასასრულს, რომელშიაც იგი ამჟამად იმყოფება, იმდენად შენელდება მისი განვითარების ტემპი, რადგან არც მოწყობილობის მდგომარეობა და არც საბრუნავი კაპიტალის რაოდენობა საშუალებას არ იძლევა პროდუქციის ძლიერი განვითარებისათვის.

ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში საერთო პროდუქციის ზრდის დაპირდაპირება ამავე პერიოდში ს. მ. უ. ს. მრეწველობაში დასაქმებულ მუშა-ხელის რაოდენობის ზრდასთან შემდეგ სურათს იძლევა:

1925—26 წელშ ს. მ. უ. ს. მრეწველობაში მუშათა საერთო რიცხვი 1924—25 წელთან შედარებით 4.806-დან—6.130-მდე გადიდებულა, ე. ი. 26%-ით, მაშინ, როცა ამავე პერიოდში (საერთო პროდუქციას მოუმატია 71-%-ით).

საერთო პროდუქციის ზრდისგან მუშა-ხელის ზრდის ასეთი ჩამორჩენა ორივე ამ პერიოდისათვის წარმოების პროცესის თითქმის ერთგვარ ტეხნიკურ პირობებში, შეიძლება აიხსნას შრომის ნაყოფიერების გადიდებით—მუშა - ხელის უფრო რაციონალური გამოყენებით.

მართლაც, მიმდინარე წელს მთელ რიგ ტრესტებში შემჩნეულია შრომის ნაყოფიერების ასე თუ ისე საგრძნობი გადიდება გასულ წელთან შედარებით.

მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, მაგ. ტყავის მრეწველობაში, მიმდინარე წელს აღნიშნულია შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი გადიდება ხელფასის ზრდასთან შედარებით.

ცნობები შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ზრდის დინამიკის შესახებ მოყვანილია ქვევით იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ცალკე ტრესტების მდგომარეობას.

საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე ს. მ. უ. საბჭოს ზოგიერთი, თუმც ნაკლებ მნიშვნელოვანი მიღწევები წარმოების მექანიზაციის და რაციონალიზაციის დარგში.

დასასრულ, რაც უმთავრესია, საქართველოს სახელმწიფო მრეწველობამ ახალი მშენებლობის დარგში საკმაოდ ინტენსიური მუშაობის შემდეგ შეიძინა თანამედროვე ტიპის მოწყობილობით აღჭურვილი წარმოება, რომლის შესახებაც საუბარი გვექნება ქვემოთ ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით.

ამ მიღწევებთან ერთად აუცილებელი ხდება აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლოვანებანი ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის ცხოვრებაში. პირველ რიგში კი აღსანიშნავია ჩვენი ლითონის მრეწველობის მძიმე მდგომარეობა.

ერთი ძლიერი ტრესტთაგანის—საპონ-ზეთის ტრესტის ფინანსიური მდგომარეობა მიმდინარე წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუარესდა წინანდელთან შედარებით.

ჩვენი მრეწველობის ერთს მთავარ ნაკლოვანებათ ჩაითვლება საგრძნობი მიღწევების უქონლობა პროდუქციის გაუმჯობესების და სამრეწველო ნაწარმოებებზე ფასების დაკლების დარგებში.

ასეთი უარყოფითი მოვლენება, რომელნიც ინდივიდუალური და ნაწილობრივი არიან, აღმოფხვრილი იქნებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განკურნებული იქნება ჩვენი მრეწველობის უფრო საერთო, არსებით „მტკივანი ადგილები", რომელთა შესახებაც საჭიროა შევჩერდეთ, თუნდაც ძალიან მოკლეთ.

როგორც აღნიშნული იყო ზევით, ს. მ. უ. ს. და საერთოდ საქართველოს მთელი მრეწველობის განვითარება ხდებოდა უკანასკნელ დრომდე ძველი ტეხნიკური მოწყობილობის ბაზისზე.

მრეწველობის განვითარების იმავე ტემპის დაცვის მიზნით, რომელიც ამჟამად უკვე მიღწეულია, საჭიროა ეხლავე პრაქტიკულად გადაიჭრას საკითხი ამ ძველი ტეხნიკური მოწყობილობის ახალი გაუმჯობესებული მანქანებით შეცვლის შესახებ.

კერძოთ მიღებული უნდა იქნეს კონკრეტიული ზომები, რომ ს. მ. უ. ს. წარმოებები თბილისსა და მის რაიონში სათანადოთ გადაკეთებულ იქნენ ზაჰესის ენერგიის მისაღებად. საამისოდ საჭირო იქნება საგრძნობი თანხები, რომელსაც ვერავითარის გზით ვერ მოგვცემს თვით მრეწველობა თავისი საშუალებებით.

ჩვენი მრეწველობის ძირითადი კაპიტალი იმპერიალისტური ომს შემდეგ ერთხელაც არ ყოფილა განახლებული და ამიტომ შესამჩნევად გაცვდა და გაუვარგისდა.

საქ. ს. მ. უ. ს. საწარმოო - საგეგმო განყოფილების ცნობებით მოწყობილობის და აპარატურის საშუალო გაცვეთილობა ცალკე ტრესტების მიხედვით ასეთია:

ტყავტრესტი	20—25 პროც.
პოლიგრაფტრესტი	50—60 პროც.
თამბაქოს ტრესტი	25—30 პროც.
საქ. სახელ. სპირტი	20—30 პროც.
საპონ-ზეთი	30—40 პროც.

წმინდა ფიზიკური გაცვეთის გარდა აუცილებელია აღინიშნოს, მორალური გაცვეთაც, ე. ი. ჩვენ გვაქვს დაძველებული მანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებს აქვთ იმდენად დაძველებული კონსტრუქციის მანქანები, რომ მრავალი მათგანი სამუზეუმო იშვიათობას წარმოადგენს, როგორც მაგ., ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ზოგიერთი მანქანები.

ამის გამო ჩვენი წარმოება მრავალ ადგილას ატარებს ნახევრად—შინა-მრეწველობითი ხასიათს.

არა მხოლოდ აღდგენა, არამედ ეხლა არსებული მრეწველობის ძირითადი კაპიტალის სრული სისტემატიური განახლება სამრეწველო ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევების საფუძველზე,—აი, ერთი ძირითადი პრობლემათაგანი, რომელსაც აყენებს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების მთელი მსვლელობა.

თავის თავად გასაგებია, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საკუთარი რესურსებით შეუძლებელია არსებულ სამრეწველო წარმოებათა აღდგენისა და მით უფრო განახლების საკითხის გადაწყვეტა, ვინაიდან ეს მოითხოვს მნიშვნელოვან ხარჯებს, რომელიც სავსებით აღემატება ჩვენი საამორტიზაციო კაპიტალისა და ჩვენი დანაგროვის რაოდენობას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთელი მრეწველობის საამორტიზაციო კაპიტალის საერთო რაოდენობა დასკვნითი ბალანსის მიხედვით 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის უდრიდა 1.376.383 მან. ის თანხა კი, რომელიც აუცილებელია არსებული მრეწველობის აღსადგენად, როგორც ეს სჩანს საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და რესპუბლიკების: აფხაზეთის, სამხრეთ - ოსეთის და აჭარისტანის 1925—30 წ. ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმიდან, უდრის 8.280.000 მან.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ მთელი ზემოხსენებული საამორტიზაციო კაპიტალი ფაქტიურად ტრესტების ბრუნვაშია და მისი იქიდან გამოტანა შესაძლოა მხოლოდ მრეწველობის საბრუნავი თანხების სათანადო მომატებით.

ტეხნიკურ მოწყობილობის მეტად გაცვეთის გარდა, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მრეწველობის, ისე როგორც საქართველოს მთელი მრეწველობის ერთი მეტად მტკივნეული ადგილთაგანია, როგორც საკუთარ, ისე ნასესხი საბრუნებელი თანხის დიდი ნაკლებობა და როგორც ამის შედეგი, ტრესტების უმრავლესობის ფინანსიური მდგომარეობის მუდმივი სიმწვავე.

ცხადია, ასეთ პირობებში მრეწველობას მეტი გზა არ ქონდა, რომ არ გამოეყენებია სხვისგან ნასესხები თანხები, უმთავრესად ყოველი სახის მოკლევადიანი საბანკო კრედიტი, რომლის მიმართ დავალიანება მთელს მრეწველობაში აღწევს 1926 წ. 1 აპრილისთვის მეტად მსხვილ ჯამს — 2.716.700 მანეთს.

ეს გარემოება განსაზღვრულ იერს აძლევს ჩვენს სამრეწველო წარმოებათა მოქმედებას მით, რომ შესაძლებლობას უსპობს თავისუფლად გამოიყენოს აქტიური საშუალებები, რომ არაფერი არა ვსთქვათ იმ დიდ პროცენტზე, რომელსაც იხდის ჩვენი მრეწველობა საბანკო კრედიტისათვის და რომელიც საგრძნობლად აძვირებს ნაწარმოების თვითღირებულებას.

რაც მთავარია,—მრეწველობა ხშირად განიცდის ხშირ ცვალებადობაში მყოფ საკრედიტო ბაზრის კონიუნქტურის გავლენას და იძულებული ხდება თავიანთი საწარმოო პროგრამა შეცვლის და გადასინჯვის საშუალებით შეუფარდოს კრედიტების დროგამოშვებით შემცირებას და გაფართოებას.

საკუთარ საბრუნავ საშუალებათა შესავსებად სხვისი,—ნასესხები თანხების მოზიდვა—მრეწველობის ცხოვრებაში ნორმალური მოვლენაა, მაგრამ ამ თუ იმ წარმოებების და მთელი ტრესტების ფინანსიური სიმტკიცის თვალსაზრისით —უცხო თანხების მოზიდვა დასაშვებია მხოლოდ საკუთარი და ნასესხები თანხების ნორმალური შეფარდების ფარგლებში.

ჩვენი ადგილობრივი მრეწველობის ავადმყოფ ადგილებს შორის არის კიდევ ერთი საკითხი: მიწოდება ნედლეულისა და საიმპორტო ხასიათის დამხმარე მასალისა ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი დარგისათვის.

მართალია, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მრეწველობის ძირითადი დარგებს: თამბაქოს, სპირტ-კონიაკისა, საფეიქრო (მაუდის საქმე), სამთო-ქიმიური, აბრეშუმის და სხ., აქვთ საკმაოდ დიდი რაოდენობის ადგილობრივი ნედლეუ-

წითელი მეთაურების მორიგი გამოშვება

ახალი მეთაურები

დღეს ამიერ-კავკასიის სამხედრო სასწავლებლები უშვებენ წითელ არმიის რამოდენიმე ასეულ მეთაურებს და პოლიტმუშაკებს. ჩვენი წითელი არმია ღებულობს ხელმძღვანელების ახალ ძლიერ კადრს.

წითელ არმიის ბრძოლის უნარიანობის განვითარებას განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, რადგან ჩვენი მტრები ისევ ატარებენ გულში ოცნებას მშრომელთა ქვეყნების დამონების შესახებ. ისინი გვიწყობენ ჩვენ ყოველგვარ შეფერხებას პროვოკაციული მიზნით, რათა ჩაგვითრიონ ომში, რომლის წინააღმდეგ ჩვენ ყოველ ზომას ვიღებთ. ჩვენ მოწყურებული ვართ მშვიდობიანობას; ჩვენი ქვეყანა სამეურნეო მშენებლობაშია ჩაბმული და თვითეულ ზედმეტ დღეს ჩვენი მშვიდობიანი შრომისას მივყევართ სოციალიზმისაკენ.

აი, ამისთვის არის საჭირო მთელი ჩვენი ძალების დაგროვება, რათა გაგრძელდეს ეს დროული წონასწორობა. დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს. თითეული ახალი დღე ამაღლებს ჩვენ ქვეყანას არა მარტო შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბით.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გამაგრება მიდის არა მარტო კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა გაღრმავების ხაზით, არამედ მსოფლიო რევოლიუციის განვითარების გზით. ინგლისის გაფიცვა და მუშათა კლასის მემარცხენეობა იმავე ინგლისში და კონტინენტზე; გაძლიერება რევოლიუციონურ მოძრაობის რამოდენიმე ხნით შეჩერების შემდეგ, ჩინეთში და ყველა კოლონიალურ ქვეყნებში; მსოფლიო მუშათა კლასის სიმპატიის ზრდა ს. ს. რ. კ.-დმი ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია.

შორეულ აღმოსავლეთში გამოჩენილი უდიდესი რეაქციონერი და დიდი გზის ბანდიტი ჩან-ძო-ლინი თავის მეპატრონეთა წაქეზებით სცდის ჩვენს მოთმინებას. შესაძლებელია, რომ ის შეეცდება გასინჯოს ჩვენი სიმტკიცე ხიშტით. ამასვე ცდილობს პანი პილსუდსკი. ამიტომ ჩვენ გვმართებს ფხიზლობა და შორსმჭვრეტელობა; უნდა ვასწავლოთ წითელარმიელებს შაშხანას უფრო კარგათ ხმარება და უნდა უჩვენოთ, თუ ჩვენ ამას გვაიძულებენ, —რომ ჩვენი ხიშტები მოქმედებენ არა ნაკლებათ, ვიდრე ჩვენი მოწინააღმდეგეთა ხიშტები.

სანამ ეს არ არის, ჩვენი ახალგაზრდა მეთაურების პოლიტმუშაკებისათვის საჭიროა იმუშაონ წითელარმიელების შეგნება - განვითარებისა და ბრძოლის უნარიანობის გამაგრებისათვის. ეს იქნება მშვიდობიანობის საუკეთესო გარანტია. მწარე ცდებმა ჩვენ გვასწავლა „პატივი ვსცეთ“ ჩვენ მოწინააღმდეგეთა ლოზუნგს: **„გსურს ზავი, ემზადე ომისათვის“**. რას იზამ, „მგლებთან ცხოვრება, მგლურათ ღმუილი“. ჩვენ გვაიძულებენ, — გავაკეთებთ ყოველივეს, რათა არ გავამართლოთ ქრისტიანული მორალი—„თუ მარჯვენა ლოყაზე გცემონ, მარცხენა მიუშვირეო“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალგაზრდა მეთაურები და პოლიტმუშაკები გააკეთებენ ყველა იმას, რასაც მოითხოვს მისგან პროლეტარული სახელმწიფო.

ამ საერთო ამოცანების შეთვისებისა და შესრულების საქმეს არ ჩამორჩება **ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლიდან გამოშვებული მეთაურები.** საზოგადო - პოლიტიკურ საგნების შეთვისება, სამხედრო ცოდნა, (რომელმაც შესანიშნავი შედეგები მოგვცა მანევრებზე) და ზოგიერთი საბრძოლო გამოცდილებანი, (ჩაქრობა მენშევიკების აგვისტოს ავანტიურისა) ამტკიცებენ იმას, რომ ისინი გაამართლებენ იმ იმედებს, რომელსაც ამყარებს მათზე ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

იყავით სამაგალითო შეუპოვარი მებრძოლები.

უზრუნველყავით თქვენი მუშაობით მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი შრომა.

გ. დევდარიანი.

1 2 4

დღეს ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა ზეიმით ხვდება თავის მორიგ გამოშვებას. ის წითელ არმიას აძლევს **124 მეთაურს, პოლიტხელმძღვანელს.**

რიგით, ეს მეოთხე გამოშვებაა. ჩვენი მეთაურების წინაშე ისმება საკითხი, შესძლებენ თუ არა ისინი მათზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას? შესძლებს თუ არა მორიგი გამოშვება ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხების სასურველად მოგვარებას?

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სამხედრო სკოლა დღიდან თავის წარმოშობისა აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში: მისი ისტორია გადანასკვულია საბჭოთა საქართველოს ისტორიასთან. 1922 წელში სკოლას უხდება ხევსურეთის გლეხობის მიშველება ცნობილ ბანდიტ ჩოლოყაშვილის თავდასხმისაგან. 1923 წ. რაზმი თავზარს სცემს გურიაში საექსკურსიოდ გამოსულ ყაჩაღების ბანდას. 1924 წ. კი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მენშევიკურ ავანტიურის ჩაქრობის საქმეში. ყველა ამ ექსპედიციებში სკოლამ პირნათლად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. კურსანტების თავდადებაში მოჩანდა აშკარა კლასიური შეგნება და სიმტკიცე.

მეორეს მხრივ დიდი იყო ის თავდადებაც, რომლითაც კურსანტები სამხედრო-თეორეტიულ მომზადებას შეხვდენ. ისინი მათთვის კუთვნილი ენერგიით შეეცადენ დაეძლიათ ყოველივე წინააღმდეგობანი ამ გზაზე და კიდევაც მიაღწიეს მიზანს.

სამხედრო ცოდნა მათთვის დამოუკიდებლად არ არსებობს. ისინი ამ ცოდნას საზოგადოებრივ პოლიტიკურ საკითხების ცოდნით აძლიერებენ. დაირღვა ცბიერი ფორმულა: „არმია პოლიტიკის გარეშე“ და დღეს ჩვენი კურსანტები თანაბარი ინტერესით ეკიდებიან როგორც სამხედრო სტრატეგიას, ისე მებრძოლ პროლეტარიატის სტრატეგიასა და ტაქტიკას, რომლის საუკეთესო გამომხატველი ლენინიზმია.

დამახასიათებელია აგრეთვე ამ გამოშვების სოციალური სახე, რომელიც შემდეგ სურათს იძლევა: ფეხოსან ნაწილში: მუშები—7,5 პროც., გლეხები—92.5 პროც., სხვები სულ არ არიან. ცხენოსანთა შორის: მუშები—33 პროცენტი, გლეხები 85 პროც., სხვები 4 პროც.

დასკვნა ასეთია: კარგი სოციალური სახით, მნიშვნელოვან გამოცდილებით და საჭირო სამხედრო - პოლიტიკური მომზადებით ისინი ღირსეული მეთაურები იქნებიან ჩვენი წითელი არმიისა.

გაუმარჯოს ქართ. გაერთიანებულ სამხ. სკოლის მე-4 გამოშვებას!

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების წითელ არმიას!

გაუმარჯოს მის ხელმძღვანელებს!

ა. გელოვანი.

ასფალტის აღმოჩენა

ნატანების რაიონში აღმოჩენილია ასფალტის დიდძალი მადანი. სამთო-ქიმიურმა კომბინატმა ადგილობრივ გაგზავნა ინჟინერი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია თუ რა რაოდენობის, ან რა ღირსების ასფალტი მოიპოებოდა აღნიშნულ ადგილას.

საკვლევად ჩასულმა ინჟინერმა ამასთანავე აღმოაჩინა, რომ ასფალტის მადნებთან მოიპოება დიდძალი მთის ფისი, საიდანაც ამზადებენ სხვადასხვა ლაქებს ტყავეულობის წარმოებისათვის და ძვირფასი დგმის შესაფერავად.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ასფალტის მადანი მოიპოება მხოლოთ სიზრანის გუბერნიაში თვით ქ. სიზრანის ახლო. იქვეა აგრეთვე ასფალტის დასამზადებელი ქარხანა, რომელიც კვებავს მთელ საბჭოთა კავშირს. მაგრამ სიზრანის ასფალტი იმითაა უხერხული წარმოებისათვის, რომ მასში ნაკლები რაოდენობით მოიპოება ქვიშა და სამაგიეროთ ბევრია კირნარი.

ჩვენებურ ასფალტში კი, პირიქით, ქვიშა საკმაოა, მხოლოდ კირნარი ცოტაა. ამიტომ საჭირო იქნება ჩვენებური ასფალტისათვის კირნარის მიმატება, რაც ტეხნიკურათ ძლიერ ადვილი საქმეა.

სამთო-ქიმიურმა კომბინატმა შეადგინა ასფალტის საექსპლოატაციოთ სათანადო ხარჯთაღრიცხვა.

◆

სოცდაზღვევა

სოცდაზღვევი საბჭო

ამიერ-კავკასიის ცაკმა დაამტკიცა ამიერ-კავკასიის სოციალურ დაზღვევა საბჭოს შემადგენლობა. საბჭოში შედიან შემდეგი წარმომადგენლები: თითო წევრი ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატიდან, ფინ. სახ. კომისარიატიდან, რკინის გზის სამმართველოდან, ამიერ-კავ. რკინის გზის პროფსაბჭოდან; თითო წევრი ამ.-კავ. რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოდან, ჯანსახკომიდან, პროფსაბჭოდან და ორი წარმომადგენელი ამ.-კავკასიის პროფსაბჭოდან.

სოცდაზღვევის საქმე

სოციალურ დაზღვევის სამმართველოს უკანასკნელ ცნობებით, მთელ საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკებიანათ) მიმდინარე წლის მეორე ნახევრისთვის ითვლებოდა 6.700 დამზღვევი წარმოება - დაწესებულება და მეურნეობა.

ამ ორგანიზაციებში ამავე დროსთვის ირიცხებოდა 99.617 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე. მათ შორის 80.740 მამაკაცია და 18.877 ქალი.

რაც შეეხება პენსიონერებს, სულ იყო 3.336 შრომის ინვალიდი და 1378 ქვრივ ობოლი.

დაზღვეულ უმუშევართა რიცხვი, რომლებიც დახმარებას იღებდენ დამზღვევ სალაროებიდან აღწევდა 6748; მათ შორის იყო 5.213 მამაკაცი და 1.535 ქალი.

ახალი ქარხანა

ახლო ხანში სავსებით დამთავრდება მარელისის გრეხილ - ავეჯეულობის ქარხნის მოწყობა, რის გამო თბილისში არსებული გრეხილ - ავეჯეულობის ქარხანა ნოემბრის დასაწყისში გადატანილი იქნება მარელისში.

უკვე დაიწყო ქარხანასთან დროებითი ბინების მოწყობა თბილისიდან გადაყვანილ მუშებისათვის. შემდეგში შეუდგებიან მუდმივი ბინების აგებას..

სატყეო მრეწველობის ტრესტმა შეადგინა სპეციალური კომისია მარელისში გასაგზავნ მუშების გადასარჩევად და ახლების მისაღებათ. მარელისის ქარხანა მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით.

ლის ბაზა, რომელიც ყოველ წლობით ფართოვდება; მაგრამ ამასთან ერთად არის მრეწველობის ისეთი დარგები, რომელნიც უმთავრესად მუშაობენ შემოტანილ ნედლეულზე და მიწოდება მათთვის ამ ნედლეულისა სულ უფრო და უფრო რთულდება.

ასე მაგალითად, ზეთისა და საპნის წარმოება, რომელიც სავსებით არის დამოკიდებული აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან ბამბის თესლისა და ჩრდილო-კავკასიიდან მაგარი ცხიმეულის (სალომასი) მიღებისაგან.

მიმდინარე წელში მრეწველობის ეს დარგი სავსებით იყო უზრუნველყოფილი ბამბის თესლით, მაგრამ მომავალ წელში, როცა ამუშავდება საპნისა და ზეთის სახდელი ახალი ქარხნები განჯასა და სომხეთში, საქმე შეიძლება ისე შეტრიალდეს, რომ მრეწველობის ეს დარგი ნედლეულის უქონლობის გამო სავსებით ჩაკვდეს.

რაც შეეხება მაგარ ცხიმეულს, მისი მიღების საკითხი ამჟამადაც სდგას ისე მწვავედ, რომ 1926—27 წლის პროგრამა ითვალისწინებს საპნის წარმოების მნიშვნელოვნად შემცირებას.

უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფება ნედლეულის მიწოდების მხრივ ლითონის ტრესტი, რომელიც უმთავრესად შემოტანილ ნედლეულზე მუშაობს და რომელიც ამ საკითხს აგვარებს მხოლოდ იმის მეოხებით, რომ მას ჰყავს წარმომადგენლობა ქარხ. „წითელი ოქტომბერი“; სწორედ ეს წარმომადგენლობა აძლევს საშუალებას მას, რომ მრეწველობის საჭიროებისათვის გამოიყენოს ამ ქარხნის საწყობების მარაგი ამიერ-კავკასიაში.

აუცილებელია შევეხოთ ტყავეულის ტრესტსაც. მართალია, ჩვენი ტყავეულის მრეწველობა უმთავრესად ემყარება ადგილობრივი წარმოშობის ტყავის ნედლეულს, მაგრამ მხოლოდ საქართველოს ტყავეულის რესურსები არაა საკმაო ტყავ-ტრესტის ყველა წარმოებათა სრული დატვირთვისათვის და მთელი ამიერ-კავკასიის ტყავის ნედლეულის გამოუყენებლად ვერ იარსებებს ჩვენი ტყავეულის მრეწველობა. მთელი ამიერ-კავკასიის და მასთან საქართველოს რესურსები ირიცხება მთელი საკავშირო ტყავეულის მრეწველობის ბალანსზე და აზერბეიჯანიდან ტყავის ნედლეულის გატანის უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ ტყავეულის სინდიკატს, რომელსაც ზედმეტი ნედლეული გააქვს ცენტრალურ გუბერნიაში.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა საიმპორტო მასალების საკითხში—სალანჩო ტყავისა და სათრიმლო ექსტრაქტებისა.

ამიერ - კავკასიას, კერძოდ საქართველოს არ აქვს საკუთარი სათრიმლო ექსტრაქტები, ტყავეულის სინდიკატი, რომელსაც გადაცემული აქვს ყველა ლიცენზიები, უარს ამბობს, რომ სათრიმლო ექსტრაქტები მიაწოდოს ჩვენს ტყავეულობის მრეწველობას; ამის მოტივად მოჰყავს ის, რომ ამ ნედლეულის მთელი რაოდენობა თვითონ მას სჭირდება.

თამბაქოს ტრესტის დაბრკოლებანი ნედლეულის ნაკლებობის გამო, მოსპობილ იქნება იმით, რომ იგი შევა საბჭოთა კავშირის თამბაქოს მრეწველობის ყრილობათა ბიუროში, რომელიც ახლო მომავალში შესდგება.

ახალ შენობათა აგებასთან ერთად, რომლის შესახებაც ქვემოდ იქნება ლაპარაკი, აუცილებელია ყურადღება მიექცეს გეოლოგიურ-საძიებელ დაზვერვითი მუშაობას. მომავალში, საქართველოს მრეწველობის ერთი ძირითადი დარგთაგანი უნდა იყოს სამთო-საქარხნო მრეწველობა; ჩვენ აუარებელი მთამადნეული გვაქვს, მაგრამ ამასთანავე საკმაო გეოლოგიური და ციფრობრივი ცნობები არ მოგვეპოვება.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებულ გეგმის მიხედვით, გეოლოგიურ —დაზვერვითი მუშაობა 1926-27 წლისათვის შემდეგი პროგრამითაა გათვალისწინებული.

1) ჩათახის რკინის მადნეულის დეტალური გამოკვლევა მადნის მარაგის გამორკვევისათვის.

2) უფრო დეტალური სახით გაგრძელება იმ მუშაობისა, რომელიც დაწყებულია კახეთში სპილენძის მადნეულის გამოსაკვლევად.

3) გაგრძელება იმ მუშაობისა, რომელიც დაიწყო 26 წლის ზაფხულში ზოგიერთი სამთა-მადნო სიმდიდრის შესასწავლად (კაჟ-ქვათი, კვარცი, ქარსი (ქვაღალდი), ქანსილი, წერნაზში და სხ.) მუშაობას აწარმოებენ სახელმწ. უნივერსიტეტის პროფ. თვალჭრელიძე და სმირნოვი.

4) საერთო გეოლოგიური გამოკვლევა მძიმილოს (ბარიტი) მადნებისა დასავლეთ საქართველოში.

5) გამოკვლევა სპილენძისა და თუთიას მადნებისა აჭარისტანში.

6) დეტალური გეოლოგიური გამოკვლევის გაგრძელება და სატყეო მეურნეობის მოწყობისა და სხვა პროექტების შედგენა.

7) პროგრამაში შედის აგრეთვე სახდელი ქვების ამოთხრა და ამობურღვა გურიის ნავთიან ადგილებში.

ყველა ამ სამუშაოებისათვის საჭირო იქნება 823.948 მან. საჭიროა ზომების მიღება იმისათვის, რომ ფულის ნაწილში მთელი პროგრამა შეუმოკლებლად იქნას მიღებული.

ამ სამუშაოების გარდა საბჭოთა კავშირის გეოლოგიური კომიტეტი დაიწყებს დევდორაკის მადნეულის დეტალურ გამოკვლევას, რომლისთვის არის შედგენილი 500.000 მან. ხარჯთაღრიცხვა (სამწლიური). ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების აგება და მრავალ რიცხოვანი მთა-მადნეულის დამუშავება დაკავშირებულია გზატკეცილებისა და რკინისგზების ქსელის განვითარებასთან. გზების უქონლობა შეასუსტებს ახალი მრეწველობის განვითარების ტემპს და სრულიად გააძნელებს მადნეულის ექსპლოატაციას.

მსხვილი ფაბრიკებისა და ქარხნების აგებასთან ერთად ჩვენი ყურადღება ეხლა მიპყრობილია ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისაკენ.

უახლოეს წლებში, სანამ მსხვილი მრეწველობა ვერ შესძლებს, რომ ბაზარზე გამოიტანოს აუცილებელი საგნები უმთავრეს მომხმარებლისათვის — გლეხთსათვის, ადგილობრივმა მრეწველობამ უნდა შეავსოს ეს ნაკლი, უნდა შეამსუბუქოს საქონლის სიმცირით გამოწვეული კრიზისი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამჟამად ამზადებს საჭირო მასალას და პროექტებს.

ამავე დროს საჭიროა შესწავლილ იქნას არსებული ადგილობრივი სამაზრო მრეწველობა, რომლის შესახებაც ჩვენ არა გვაქვს ასე თუ ისე სერიოზული გამოკვლევა. ადგილობრივი მრეწველობა შეტანილ უნდა იქნას საქართველოს მთელი მრეწველობის საერთო საკონტროლო ციფრებში. დღემდე ადგილობრივ მრეწველობას არა აქვს გარკვეული იურიდიული ფორმები, რაიც, უეჭველია, აბრკოლებს კავშირს როგორც ბანკებთან, ისე მათ საწარმოო მუშაობას საზოგადოდ.

ამასთან ერთად მეტათ მნიშვნელოვანი საკითხია ადგილობრივი მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა.

ჩვენ ვშიშობთ, რომ ის წარმოებანი, რომელნიც მთავრობის დადგენილებით გადაეცა ადგილობრივ აღმასკომებს მალე დაქვეითდებიან და დაილუპებიან. თუ ეხლავე არ იქნება გადაწყვეტილი საკითხი ამ წარმოებათათვის საბრუნავი თანხების მიწოდების შესახებ. ადგილებს გადაეცა მხოლოდ ცარიელი ფაბრიკები, მათ არ ეძლევა ნედლეული და ფაბრიკატები, აღმასკომებს კი არა აქვთ საკუთარი თანხები მათი ექსპლოატაციისათვის.

მრეწველობის ახალი დარგების განვითარების გამო ახლო მომავალში მწვავედ დადგება მუშათა და საბინაო საკითხი.

ჩვენ დაგვჭირდება ასეული კვალიფიციური მუშები. რომელნიც საქართველოში არ არიან. ჩვენ დაგვჭირდება საქმის მცოდნე მუშები. მაუდისა, ცემენტისა და სხ. საქმეში. აუცილებელია ეხლავე შეუდგეთ როგორც კვალიფიციური მუშების, ისე ტეხნიკების კადრების მომზადებას. ამიტომ აუცილებელია, რომ სათანადო საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების პროგრამებში შეტანილ იქნას ცვლილებანი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მის წარმოებებს არ შეუძლიათ იკისრონ ასეთი სამძიმო საქმე, რომ თავის ხარჯით მოამზადოს ამ მუშების კადრი. რაც შეეხება ბინებს, უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ახალი ფაბრიკების აგება არ ითვალისწინებს სახლების აგებას მუშებისათვის. აუცილებელია, რომ თვითო ფაბრიკების აგების ხარჯთ-აღრიცხვაში იმავე დროს შეტანილ იქმნას ის ხარჯებიც, რომელნიც ბინების აგებისათვის არის საჭირო, ვინაიდან ეს ერთი ძირითადი პირობათაგანია შრომის ნაყოფიერების ასაწევად.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძე.

იტალიის საკონსულოს ცნობა

საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან — კარკლინმა იტალიის გენერალურ კონსულის მოვალეობის აღმსრულებლის კუარონისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის მიმართვა:

„ბატონო რწმუნებულო. მაქვს პატივი ამით გაცნობოთ ოფიციალური ცნობის ტექსტი იტალიის მთავრობის თავმჯდომარის ბ. ბენიტო მუსოლინის მოკვლის განზრახვის შესახებ, რომელიც მოხდა ამა სექტემბრის 11-ს.

„11 სექტემბერს, დილით, რომში კალატოზმა ერბეტ ჯიოვანნიმ, 19 წლისა, რომელიც საზღვარ-გარეთიდან ჩამოვიდა, ყუმბარა ესროლა მუსოლინის ავტომობილს. ყუმბარა მოხვდა ეკიპაჟს, გასკდა და მსუბუქი ჭრილობა მიაყენა ოთხ გამვლელს.

მთავრობის თავმჯდომარე უვნებელია. ჯიოვანნინი დატუსაღებულია“.

გაცნობებთ რა ზემო მოხსენებულს, მაქვს პატივი გთხოვოთ, რომ ეს ცნობა გადასცეთ ადგილობრივ პრესას გამოსაქვეყნებლად.

ვსარგებლობ შემთხვევით და გთხოვთ თქვენ, ბატონო რწმუნებულო, რომ გწამდეთ ჩემი თქვენდამი პატივისცემა.

იტალიის კონსულის მოვალეობის აღმსრულებელი.

კუარონი.

◆

აფხაზეთის უჯრედი

აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი 1926—27 წლის განმავლობაში.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უდრის—631.435 მან. დოტაცია კი უდრის **—1.855.745 მან.**

სულ—2.487.180 მან.

ამრიგად მთელი **ბიუჯეტი უდრის**—2. 487.180 მანეთს.

ელექტროფიკაცია

მიმდინარე თვეში მოელიან პირველ საჭიროების საგნების გაცემას ა.-კ. რკ. გზ. საღელტეხილო უბანზე საელექტროფიკაციო სამუშაოების დასაწყებათ; ელექტროფიკაციაქმნილი ხაზი საერთო სიგრძით უდრის 63 კილომეტრს —სადგ. ხაშურიდან სადგ. ზესტაფონამდე.

ელექტროფიკაციისათვის ხარჯთ-აღრიცხვით გამოთხოვილია 14 მილიონი მანეთი; ამ თანხიდან 6 მილიონი მანეთით საზღვარ-გარეთ შეძენილი იქნება ელექტრომავლები. დანარჩენი 8 მილიონი კი მოხმარდება სამუშაოებს: ელგილის ვაყვანას, ტრანსლიაციის, ელექტროსადგურების აგებას და სხვ. მრავალ ხანებში ელექტროფიკაციაქმნილ უბანს მიეწოდება მხოლოდ და მხოლოდ ზაჰესის ენერგია, შემდეგ კი, როცა დასრულებული იქნება ქუთაისის ჰიდრო-ელექტროსადგურის აგება, ელექტრომავლებისათვის ენერგიას მიაწოდებს ეს უკანასკნელი, ზაჰესთან ერთად.

სათანადო სესხის გახსნის შემდეგ, თბილისში ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოსთან დაიწყებს მუშაობას საღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციო-საამშენებლო კანტორა. ამ კანტორისთვის მოწვეული იქნებიან ინჟენრები, ტეხნიკები, მუშები და სხვ.

საღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციო სამუშაოების ხელმძღვანელობა დაევალა ინჟენერ შახბუდაგოვს, არმავირ-ტუაფსეს რკინის გზის ყოფილ მმართველს. შახბუდაგოვის მიერ მოწვეულია სპეციალური ტეხნიკური თათბირი ა.-კ. რკ. გზ. საღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციო სამუშაოების წარმოების გეგმის შესამუშავებლად.

ამ თათბირზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები: ა.-კ. რკ. გზ. ნავთსადენის დაცვა ელექტროლიზისაგან; სად. ხაშურისა და ზესტაფონის დეპოების გადაკეთება ისე, რომ მოსახერხებელი იყოს ელექტრომავლების შეკეთება; საღელტეხილო უბნის ბოლო სადგურებთან, ელექტრიულ წევის შემოღების გამო, მოძრაობის შეწყობა ელექტროფიკაციაქმნილ სასადგურო გზებთან; საღელტეხილო უბანზე მწევ ქვე-სადგურების ტიპის არჩევა; ა.-კ. რკ. გზ. სურამის მტოს ელექტროფიკაცია და სხვ.

◆

სამშენებლო მასალები

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა საამშენებლო მასალების ღირებულების გამოკვლევა; აღნიშნულ იქნა საამშენებლო მასალების, განსაკუთრებით ხე-ტყის სიძვირე. ხე-ტყის მასალის სიძვირე აიხსნება მისი დამუშავების პროცესის სირთულით და მოუწესრიგებლობით.

აგურის ფასებიც ძვირათ არის მიჩნეული; ამის მიზეზია—აგურის პრიმიტიული წესით დამუშავება. საჭიროთ არის ცნობილი აგურის წარმოების შეცვლა მაქსიმალურ მექანიზაციის გატარების მიზნით.

კერძოთ, ცემენტის შესახებ აღნიშნულ იქნა ის გარემოება, რომ საქართველოში ცემენტის წარმოებას კარგი ნიადაგი

ხელფასის საკითხი

საუბარი ა.-კ. პროფსაბჭოს მდივანთან ამხ. შეფტელთან

კოლექტიურ ხელშეკრულებების უმრავლესობის ვადა თავდება ამიერ-კავკასიაში 1 ოქტომბერს. მაგრამ ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ ამ ვადამდე ჩვენ ვერ შევსძლებთ მთელი იმ ცნობების შეკრებას, რომლებიც საჭიროა კოლ. ხელშეკრულებათა გადასინჯვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად. ეს ნაწილათ გამოირკვევა 8 სექტემბერს შემდგარ სატარიფო თათბირზე. ამრიგად კამპანია გაჭიანურდება.

რა უნდა მოვითხოვოთ კოლხელშეკრულებების გადასინჯვის დროს? უფლებრივ ნაწილში ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ არსებულ მიღწევათა შენარჩუნებით. მოგვიხდება მხოლოდ ზოგიერთ პუნქტების უფრო ნათლათ გამოხატვა.

ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს ხელფასის საკითხები. მრეწველობის და საერთოდ, სახალხო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა. არსებული ხელფასის სიჭრელე სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში —არ გვაძლევს ჩვენ საშუალებას დავსვათ საკითხი ხელფასის საერთო მომატების შესახებ.

ჩვენი მოთხოვნილებანი ამ მხრივ უნდა განისაზღვროს ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის მომატებით და აგრეთვე არსებული სიჭრელის შენელებით. (კვალიფიციურ და არა კვალიფიციურ მუშათა ხელფასის შორის დიდი განსხვავების შემცირება, დაბალ ხელფასიანი ჯგუფების წინწაწევით). უკანასკნელი ამოცანის სისწორით გადაჭრა მოითხოვს დიდ სიფრთხილის და დაკვირვებას.

კავშირებმა უნდა შეკრიბონ ყოველი ის მასალა, რაც საჭიროა კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. ეს მასალა კოლხელშეკრულებათა პროექტებთან ერთად უნდა გადაეცეს საერთო კრებებს; უკანასკნელთა მოვალეობაა გაითვალისწინონ წარმოების შესაძლებლობა და საერთო მდგომარეობა, და მხოლოდ ამის შემდეგ წამოყენონ მოთხოვნილებანი ხელფასის აწევის შესახებ.

ინფუზორიტი

ამას წინეთ სამთო-ქიმიურმა კომბინატმა გაგზავნა ინგლისში ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში აღმოჩენილ ინფუზორიტის ნიმუშები. სულ გაიგზავნა 8 მოზრდილი ყუთი.

ინგლისში ინფუზორიტის გაგზავნის მიზანია ფართო ბაზრის გამონახვა; ყველაზე მეტი რაოდენობის ინფუზორიტს იძენს ამერიკა, შემდეგ ინგლისი, საფრანგეთი, ჩეხო-სლოვაკია, გერმანია და იტალია.

ინფუზორიტის რაოდენობა ყველა ქვეყნებში ძლიერ განსაზღვრულია; ჩვენში მომხდარი გამოკვლევებით გამოირკვა, რომ ინფუზორიტი იქმარებს, რამოდენიმე ასეულ წელიწადი.

◆

გვირაბის გათხრა

საქართველოს სამხედრო გზაზე გვირაბის „მაიორშას“ გასათხრელად მიმდინარე წელში განზრახული სამუშაო თითქმის თავდება. გვირაბი კეთდება ყველაზე უფრო სახიფათო ადგილას. (შვავები, ნიაღვრები და სხ.). მუშაობის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ ივლისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის დამდეგამდე. საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს განზრახვა აქვს მთელი მუშაობა გვირაბ „მაიორშას“ გასაყვანად მოათავოს სამი წლის განმავლობაში. გვირაბ „მაიორშას“ გასაყვანი ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია 800.000 მანეთის რაოდენობით.

ქრონიკა

აჭარისტანის ცაკის მილოცვა

საქართველოს კომპარტიის ცკამ აჭარისტანის ცაკის სესიისაგან შემდეგი მისალოცი დეპეშა მიიღო:

„აჭარისტანის ცენ. აღ. კომიტეტის მეორე სესია მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს კომუნისტური პარტიის სახელოვან შტაბს, რომლის ხელმძღვანელობით აღორძინების გზაზე დგას საბჭოთა საქართველო და კერძოთ აჭარისტანი“.

საექიმო ექსპედიცია

საექიმო ექსპედიცია არდონელი ოსის ალექსანდრე დუდიევის თანხლებით დღეს გადაივლის მამისონის უღელტეხილს.

სანადირო გადასახადი

ამიერ-კავკასიის ცაკმა დაამტკიცა მონადირეთა კავშირის წევრთათვის სანადირო გადასახადის განაკვეთი ერთი მანეთი წლიურად.

წითელი მეთაურების გამოშვება

დღეს საქართველოს ნაკრები სკოლა გამოუშვებს წითელ მეთაურებს, რიცხვით 124 კაცს.

უცხოეთის ენების კურსები

საბჭოთა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ნებართვით, უცხოეთის ენების უმაღლეს კურსებთან, ბელგიის ქ., № 8, ეწყობა ჯგუფები შრომის სკოლის მოწაფეებისათვის. მსურველებს შეუძლიათ ისწავლონ ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენები.

მგლებზე ნადირობა

კვირას, 19 სექტემბერს, მონადირეთა კავშირი აწყობს მგლებზე ნადირობას.

ნადირობა დაიწყება ავჭალისა და გლდანის რაიონებიდან ერთ და იმავე დროს. მსურველნი უნდა ჩაეწერონ წინდაწინვე.

ნადირობის მიზანია ცოფიანი მგლის მოკვლა.

თბ. აღმასკომში

— **ბრძოლა ტუბერკულიოზთან.** 19 სექტემბერს ქალაქის ტუბერკულიოზის დისპანსერში შესდგება საგანგებო თათბირი ტუბერკულიოზთან ბრძოლისთვის ახალი ზომების მისაღებათ.

— **ადმინისტრატიულად დაყოფა.** დამტკიცებულ იქნა თბ. მაზრის ადმინისტრატიულად დაყოფის ახალი პროექტი.

— **ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს** გასაფართოებლად და შესაკეთებლად გადადებული იქნა 52.900 მანეთი.

— **ვერის გზატკეცილიდან საბურთალომდე** გაყვანილი იქნება ტრამვაის ახალი ხაზი.

თბ. დამზღვევ სალაროში

— **ღამის სანატორიუმი.** დამზღვევი სალარო ახლო ხანში თბილისში გახსნის ტუბერკულიოზით დაავადმყოფებულთათვის ღამის სანატორიუმს.

— აბასთუმანში დღეს გაიგზავნება ავათმყოფ დაზღვეულების მესამე წყება.

სახალხო განათლება

— **სკოლების შეკეთება.** ზუგდიდის მაზრაში უკვე დამთავრდა სკოლების შენობების შეკეთება.

— **გლეხ-ახალგაზრდობის სკოლის საჭიროებისათვის** ობუჯის თემში გამოიყო მიწის დიდი ნაკვეთი.

— **პედაგოგიურ ტეხნიკუმისათვის** ზუგდიდის აღმასკომი შეუდგა ცენზიან მასწავლებელთაგან შტატის შედგენას.

— **შორაპნის სამაზრო** აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას დაავალა შეაკეთოს სკოლების და ქოხ-სამკითხველოების შენობები.

— **მასწავლებელთა გადაჯგუფება.** ზუგდიდის მაზრაში ამჟამად მუშაობს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ევალება მოახდინოს მასწავლებელთა გაწმენდა-გადაჯგუფება.

სხვადასხვა

— **ამხ. ტროცკის სახელობის** საბინაო ამხანაგობას საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტი აძლევს სესხად 12 ათას მანეთს.

— **მთელ აბხაზეთში** ამჟამად ითვლება პროფკავშირის 7.500 წევრი.

— **ფართლეულობა.** ა.-კ. საგეგმო კომისიამ შეადგინა ფართლეულობის შემოტანის ახალი გეგმა.

— **ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა** სომხეთის ბანკს სარძეო საქმისათვის მისცა სესხად [illegible] ათასი მანეთი.

— **„ჩვენი მეცნიერება“.** რედაქციამ მიიღო სამეცნიერო პოპულიარული კრებული „ჩვენი მეცნიერება“ № 17—18.

— **მათხოჯში.** მათხოჯის სახალხო სახლის შენობაში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონის მოქმედება.

— **გზა.** საკურორტო სამმართველომ დაამთავრა ქუთაისიდან წყალტუბომდე გზატკეცილის გაყვანა.

— **ხე-ტყის ქარხანა.** სატყეო სამმართველოს ახალი ხე-ტყის ქარხანა მცხეთაში, მუშაობას დაიწყებს 1 ოქტომბერს.

— **კერამიკული ქარხანა.** მცხეთაში არსებული კერამიკული ქარხანა, რომელიც დღემდე დაუქმებული იყო, სახ. მეურ. უმ. საბჭომ უკვე აამუშავა.

— **პროპაგანდის მუშაკთა კონფერენცია,** რომელიც დანიშნული იყო 15 სექტემბრისათვის პროფსაბჭოს დარბაზში, გადაიდო 21 სექტემბრისათვის.

— **პროფკავშირის წევრთა რიცხვი** აჭარისტანში ამჟამად აღწევს 12 ათას წევრს.

— **გადასახადი.** მთელი საქართველო სულ დაყოფილია 53 საგადასახადო უბნებათ.

შემთხვევები

თავდასხმა

13 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე, სოფ. მაგნოლიის მახლობლად (ერწოს თემი) თამარა წუკლიშვილს თავს დაესხა ორი ბოროტ-მოქმედი და სიკვდილის მუქარით გაძარცვეს.

წაიღეს 150 მანეთი და ნივთები.

ბოროტ-მოქმედნი მიიმალენ.

— **ფულის გატაცება.** სანდარის მახლობლად წარმოკავშირის მოლარეს მოტაცეს 12.000 მ.

— **ხალიჩები.** 13 სექტ. კომუნ. ქ., № 113, ნიკოლოზ პირადოვის ბინიდან მოიპარეს 800 მან. ხალიჩები.

— **ქურდობა.** 13 სექტ. რეუტოვის ქ., № 83, გაქურდეს მარიამ ბაქრაძის ბინა.

— **სასტუმრო „ორიანტში“** გაქურდეს მომუშავე ბიტ-იონიანი.

— **შეპყრობა.** შეიპყრეს ქურდობისათვის ბარის გუბანოვი.

— 13 სექტ. დააპატიმრეს აფერისტი ბესო რაქელიშვილი.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა

განათლების კომისარიატთან არსებულ ხელოვნების განყოფილებასთან დაარსდა თერმინოლოგიური კომისია; კომისიას დავალებული აქვს ძირითადი თერმინოლოგიის დამუშავება ხელოვნების დარგში.

სახელმწიფო კონსერვატორიაში

ხელოვნების განყოფილება მოსკოვში აგზავნის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს ამხ. ლ. ქუთათელაძეს;

ქუთათელაძეს დავალებული აქვს, მუსიკალური საქმის დაწვრილებითი გაცნობა.

— **წითელ თეატრს** თბ. აღმასკომმა გაუდიდა დახმარება მომავალ სეზონიდან.

— **„მანდრენ“.** კინო „ეთერში“ მომავალ კვირიდან დაიწყება ფრანგული სურათის „მანდრენ“-ის მე-3-4 სერიის ჩვენება.

— **„ჰაიარტუნის“** მუსიკალური სექცია მუშაობას დაიწყებს ამ თვის ბოლოს.

— **ცნობილი სომეხი ლიტერატორი** ტიგრან ნაზარიანი გარდაიცვალა გუშინ ერევანში.

— **„მნათობი“-ს** მორიგი ნომერი გამოვა ოქტომბრის შუა რიცხვებში.

— **თამარ წერეთლის კონცერტი** გაიმართება 26 სექტემბერს ოპერის თეატრში.

— **მსახიობებ გლაგოლევების** გამოსათხოვარი საღამო გაიმართება დღეს ბაღ „არტო“-ში.

— **მოსკოვის სამხატვრო** თეატრის მუსიკალურ სტუდიის პირველი კონცერტი გაიმართება 18 სექტემბერს ოპერის თეატრში.

— **კინო „ოდეონ“-ში** დაიწყო ზენ-საიდის გასტროლები. ზენ-საიდი თავის სეანსებს აჩვენებს ანტრაქტების შორის.

— **„გაფლანგვა“.** უკვე დასრულდა სურათ „გაფლანგვის“ დადგმა. სურათი დასდგა რეჟისორმა პერესტიანმა, ოპერატორი დიომლიშვილი. სურათის ჩვენება დაიწყება შემოდგომის სეზონში.

საბჭოთა საქართველო

დ ე პ ე შ ე ბ ი

ბახმაროს გზა

ოზურგეთი, 14 სექტემბერი. საურმე გზის გასაყვანად ხევიდან ბახმაროს მთამდე, 25 ვერსის მანძილზე, მუშაობს 300 კაცი. საკურორტო სამმართველომ ამ გზის გასაკეთებლად გადასდო 4.000 მანეთი, 140 ფუთი სალაღუმე თოფის წამალი და 3.600 მეტრი პატრუქი.

ტეხნიკურმა კომისიამ, რომელიც ცენტრიდან იყო მივლინებული, 150.000 მანეთად შეაფასა ეს მუშაობა. ამჟამად აწარმოებენ უფრო მძიმე სამუშაოებს:—ქვის კლდეების განგრევას, პატარა და დიდი ხიდეების აშენებას და დატეხილ ქვის დაყრას. სამუშაო სავსებით დასრულებული უნდა იქნეს მომავალი წლის სეზონისათვის.

საავადმყოფო შენობის დასრულება

ოზურგეთი, 14 სექტემბერი. დასრულდა საავადმყოფო შენობის აშენება სოფ. ჩოხატაურში. ამჟამად სწარმოებს სასწრაფო მუშაობა სამი დარბაზის მოსაწყობად, რომლებშიაც ამ შემოდგომაზე საავადმყოფოს განყოფილების ნაწილი უნდა გადმოიტანონ. სხვა ოთახების მოწყობა გადადებულია მომავალი წლისათვის.

ფოთის მოსახლეობა

ფოთი, 14 სექტემბერი. ქალაქის სტატისტიკური ბიუროს ცნობების მიხედვით 1922 წელში მთელ ქალაქში იყო 11.358 მცხოვრები. ამჟამად მოსახლეობის რიცხვი უდრის 12.950 სულს. 4 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 1.592 კაცით.

სამაზრო ბიუჯეტი

ლიუქსემბურგი, 14 სექტემბერი. მაზრკომის პლენუმმა დაამტკიცა 1926—27 წლის ბიუჯეტი 573.676 მანეთის რაოდენობით.

ბიუჯეტში შედის 125.000 მანეთის სუბვენცია.

შვიდწლედის გადაკეთება

ოზურგეთი, 14 სექტემბერი. სოფლებში: აკეთი, კოხაური, სილაური და სუფსაში შვიდწლედი შრომის სკოლები გადაკეთებულ იქნა გლეხური ახალგაზრდობის სკოლებათ.

ამინდი

ლიუქსემბურგი, 14 სექტემბერი. ცივი და ნესტიანი ამინდი დგას, რაც ხელს უშლის ყურძნის დამწიფებას.

აჭარისტანი

ახალი სამკურნალო პუნქტები

ბათომი, 14 სექტემბერი. წითელი ნახევარმთვარის აჭარისტანის კომიტეტი მაზრებში ხსნის 5 ახალ საექიმო პუნქტს. ყველა საჭირო მოწყობილებანი და მედიკამენტები უკვე გაგზავნილია ადგილზე.

სახელმძღვანელო სამაზრო სკოლებისთვის

ბათომი, 14 სექტემბერი. განათლების სახალხო კომისარიატმა, სამაზრო სკოლებისთვის სასწავლო სახელმძღვანელოების შესაძენად გადასდო 10.000 მანეთი.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

მღვდელ - ფოფოდიას „მოღვაწეობა“

(ს. წილკანი, დუშეთის მაზრ.)

გავლენა საზოგადოთ კარგი საქმეა, მაგრამ კიდევ უკეთესია, თუ გავლენის ქვეშ სხვა ვინმე გავლენიანი გყავს. ხუცეს ლაშაურის საქმეც სწორედ ასე მოეწყო. ადგილობრივ პარტუჯრედიდან, რომელიც ხუთი კაცისაგან შესდგება, ოთხი მან თავისი კაცებად გაიხადა. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ წილკანის უჯრედი ისე ცეკვობდეს ლაშაურის დუდუკზე, როგორც ეს თვით მღვდელს მოეპრიანება.

დაიწყო მღვდელმა და მისმა ცოლმა კოოპერატივიდან და გაათავა საექიმო პუნქტით. სულ კუდით ქვა ასროლინეს სოფლის კულტურულ და მოწინავე მუშაკებს. ლაშაური დღეს გამარჯვებას ზეიმობს. მაზე უფრო ძლიერი კაცი წილკანში აღარავინაა.

ჯერ კიდევ მენშევიკების დროს განიზრახეს წილკანელ გლეხებმა კოოპერატივის დაარსება შეკრიბეს ფული, საპაიო ვადასახადიც შეაგროვეს და გახსნეს სავაჭრო. არ გასულა დიდი ხანი და გამგეობამ ისე გაანიავა ყველაფერი, რომ გლეხებს თავიანთ კოოპერატივიდან, ენუქას ახდერძი შერჩათ ხელში. ან კი რატომ არ შეჭამდენ, გამკითხავი არავინ იყო.

1923 წელში გლეხებმა ხელ-ახლა დაიწყეს კოოპერატივზე ლაპარაკი. შეაგროვეს საპაიო გადასახადი. მაგრამ სანამ ისინი ფულს აგროვებდენ, იმდენად დაეცა ბონების კურსი, რომ წილკანელ გლეხებს ხელში ორი კვერცხის ფასი კი აღარ შერჩენიათ. არც ამან დაალონა გლეხები. რაკი საბჭოთა მანეთის კურსი განმტკიცდა, ხელახლა დაისვა საკითხი წილკანში კოოპერატივის დაარსების შესახებ. ისევ შეაგროვეს ფული, ისევ შეიტანეს პაი და, როგორც იყო, კოოპერატივის კარები გაიღო. მოკლე ხანში საქმე გაიჩარხა და კოოპერატივი ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ.

მაგრამ არ ეძინა ხუცეს ლაშაურს. დაუკრა დუდუკი და ათამაშდა უჯრედი. აუხირდა წილკანელი პარტიულები კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ბასილაშვილს: „შენ პარტიისა და ხელისუფლების ნდობა ვერ დაიმსახურე, უნდა გამოგვეშვიდობო აქედანო“. კოოპერატივის გამგეს უჯრედმა მასწავლებელი ქალიც მიაყოლა. „არ გამოგვადგაო“. სხვა რაღა დარჩენოდა ორ ათვალწუნებულთ. მიატოვეს მუშობა წილკანში.

სამაგიეროთ წილკანის სკოლის გამგეთ და კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეთ წამოსკუპდა ერთი და ორსახოვანი პიროვნება, გინდ მღვდელი ლაშაური გინდ მელია საქათმეში და გინდ მღვდელი კოოპერატივში. ლაშაური წირვას მიჩვეული კაცი იყო და კოოპერატივის სალაროსაც მალე გამოუწირა.

კოოპერატივისა და სკოლის შემდეგ ჯერი მიდგა საექ. პუნქტის გამგეზე. იმდენი უჩხუკურეს, იმდენი სტანჯეს ის სხვადასხვა ხრიკებით, რომ თავმობეზრებულმა კაცმა „ეშმაკს გადააფურთხა“ და აიბარგა წილკანიდან.

ასეთია მღვდელ ლაშაურის საქმიანობა ამ მოკლე ხნის განმავლობაში, მაგრამ არც მისი ცოლზე ფოფოდიაზე ლაშაურზე ეთქმის კაცს საყვედური „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“, იტყოდენ ძველები. ასეა მღვ.-ფოფოდიას საქმე. ფოფოდია თავის ხაზით მოქმედებდა. მან იერიში მიიტანა ადგილობრივ ჭრა-კერვის სკოლის მასწავლებელ მაისურაძის ქალის წინააღმდეგ, გლეხი-ქალიშვილები აქ ჭრა-კერვას სწავლობდენ, გარდა ამისა მასწავლებელი მათ პოლიტიკურ ანაბანასაც უხსნიდა და გაზეთებს უკითხავდა. ზოგიერთები ამ სკოლიდან კომკავშირშიც კი შევიდენ.

აუხირდა ფოფოდია მაისურაძის ქალს, იმდენი ეცადა, რომ ამ ქალსაც აუკვეთა აქ სიარული. 45 მოწაფისაგან შემდგარი სკოლა დაიშალა. ერთი სიტყვით ხუცეს-ფოფოდიას „წამოიცვეს“ მთელი წილკანი თავზე.

ადგილობრივ ხელისუფლებას თითქოს სალათას ძილით სძინავს. ან კი რა უნდა ქნას მან, როცა უჯრედის წევრი დ. შალიკაშვილი რევოლვერით ხელში დარბის და წარმოდგენის დროს მთელი დარბაზი ვადაქუხებულია მისი იარაღისაგან.

ყველგან ხდება პარტუჯრედების გაუმჯობესება-გაჯანსაღება. ჩვენთან კი უჯრედი უკან მიდის. „იესო ქრისტესაკენ“ იხევს. ვფიქრობთ, აქაც მოსწვდება პარტორგანიზაციის მძლავრი ხელი, რომელიც ბოლოს მოუღებს წილკანში არსებულ საზიზღროებას.

ოფოფი.

კაცის მეგობარი ჭია

(ზუგდიდის მაზრა)

საერთოთ საქართველოში და კერძოთ ზუგდიდის მაზრაში მეაბრეშუმეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მას აქ ეტანება თითქმის ყველა შეძლების გლეხკაცობა. ეს ერთათ ერთი დარგია მეურნეობისა, რომელიც არ თხოულობს დიდ ხარჯებს. აბრეშუმის თესლის მიღების დროს გლეხი არ იხდის მის საფასურს და იხდის მხოლოთ პარკის განაღდების შემდეგ; ვისაც პარკი არ მოუვა, ის სულ არაფერსაც არ იხდის.

მეაბრეშუმეობა არის ისეთი დარგი, რომელიც არ თხოულობს დიდ დროს. ჭის ზრდაში ჩაბმულია სოფლის ისეთი ნაწილი, რომელიც მხოლოდ მსუბუქ სამუშაოზე გამოდგება: ქალები, ბავშვები და მოხუცები. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ეს არის ერთათ ერთი დარგი მეურნეობაში, რომელიც ყველაზე ადრე აძლევს გლეხს შემოსავალს და რომელიც ადვილი გასაყიდია, ნამეტურ ეხლა, როდესაც პარკს ყიდულობს საზოგადოება „აბრეშუმი“, სადაც გლეხს არც წონაში ატყუებენ და არც ფასის გამონაგარიშებაში.

სამწუხაროთ მეურნეობის ამ დარგს დიდ ყურადღებას არ აქცევენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც სხვა მეურნეობას, ისე მეაბრეშუმეობასაც მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და ამ დარგმაც წინ წაიწია. წელს მივიღეთ პარკის ისეთი მოსავალი, რომ ამ ახლო წარსულში ასეთი მოსავალი არავის გაუგონია. ზუგდიდის მაზრამ წელს მოგვცა ნედლი პარკის მოსავალი 29.000 ფუთი და დაიჭირა მთელ საქართველოში მესამე ადგილი. (პირველი ქუთაისის, მეორე ოზურგეთის).

სამწუხაროთ ზუგდიდის მაზრაში ბევრმა არ იცის აბრეშუმის ჭიის კვება და მოვლა. ბევრსაც არა აქვს, როგორც ბინა, ისე საკვები ფოთოლი. მომავლისათვის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მიწათმოქმედების კომისარიატი მოსახლეობას გაუგზავნის მრავალ ინსტრუქტორებს, რომელნიც მათ შეასწავლიან ჭიის კვება-მოვლას და აგრეთვე დაურიგებენ გლეხებს სახელმწიფო სანერგეებიდან თუთის ნერგებს. წელს, თუმცა ცოტა დაგვიანებით, ზუგდიდის მაზრაში იყო გამოგზავნილი მეაბრეშუმეობის ინსპექციიდან ინსტრუქტორი ქალი, რომელიც დადიოდა სოფლათ, უხსნიდა გლეხ-ქალებს ჭიის მოვლას და აძლევდა შესაფერ დარიგებას.

ჩვენი აზრით მომავლისათვის, თესლის დარიგების დროიდან უნდა იქნენ გაგზავნილი მაზრებში ინსტრუქტორები და პარკის ახვევამდი უნდა ასწავლიდენ ხალხს ჭიის მოვლას; რაც მეტი იქნება ამისთანა პირები, მით უკეთესია საქმისთვის.

კ. კაკაბაძე.

სოფლის ქრონიკა

— **საგზაო კომისიები.** შორაპნის მაზრის ყველა თემ-სოფლებში არსდება საგზაო კომისიები.

— **ხე-ტყის დამუშავება.** სვანეთის სამაზრო აღმასკომმა მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ მაზრას მიეცეს დაუბრკოლებლად ტყის დამუშავების უფლება.

— **ზუგდიდის** მაზრის ყულის თემში გზების შეკეთებას შეუდგებიან მომავალ კვირიდან.

— **მილიცია.** სვანეთის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა კილის რაიონში აღადგინოს მილიციის შტატი.

— **შამგონის ქარხანა.** ზუგდიდის აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა, რომ შამგონის ქარხანა გადაეცეს სამაზრო აღმასკომს.

— **შორაპნის** აღმასკომი შეუდგა ქვიათურის შუა ხიდის და დამბის აღდგენას.

— **საექიმო პუნქტების** შესაკეთებლად და შეშის მოსამარაგებლად, შორაპნის აღმასკომმა გადასდო შესაფერი თანხა.

— **ქ. ახალციხის ფარგლებში** მდებარე თავისუფალი მიწის ნაკვეთები ახალციხის აღმასკომის დადგენილებით გადაეცა უღარიბეს მოსახლეობას.

სასამართლო

ა.-კ. რკ. გზ. თანამშრომელთა საქმე

დღეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ამხ. გალუსტიანის თავმჯდომარეობით დაიწყება ამიერ-კავკასიის რკ. გზ. ამკრეფ სამსახურის სამგზავრო ნაწილის და თბილისის რკ. გზ. სადგურის მოლარეთა საქმე.

1924 წლის სექტემბრის თვეში, ამიერ-კავკასიის რკინიგზის ამკრეფ სამსახურში აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი ბოროტმოქმედებისა, რომელიც ჩაიდინათ სამგზავრო სალაროების მოლარეებს ბილეთების გაყიდვის ნიადაგზე; ამ ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ამკრეფ სამსახურის თანამშრომლები და სადგურის მოლარეები მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმებით.

დაიწყო ეს საქმე იმით, რომ აღმოჩენილ იქნა სიყალბე თბილისის რკინიგზის № 16 სალაროს მოლარე ნინა დიონისეს ასული ბასიშვილის მიერ სამგზავრო ნაწილში წარდგენილ ანგარიშებში.

ამკრეფ სამსახურის კომისიის და რკინისგზის საგანგებო კომისიის მიერ მოხდენილ გამოკვლევით, ექსპერტიზით და მოწმეთა ჩვენებით გამოირკვა, რომ ბილეთების გამყიდველი მოლარეები და ამკრეფ სამსახურის თანამშრომლები სარგებლობდენ რა ამკრეფ სამსახურის სამგზ. ნაწ. სამსახურის ზოგიერთი დეფექტებით, 1924 წ. განმავლობაში სისტემატიურად ითვისებდენ სახაზინო ფულებს და ამ ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად არდგენდენ ყალბ საბუთებს.

მთავარი სახე ბოროტმოქმედებისა იყო გატაცება და შეღავათიან ბილეთების განმეორებით გამოყენება, ანგარიშებში ბილეთების ნომერაციის გამოტოვება და ბილეთების თავის სასარგებლოდ გაყიდვა.

ამგვარად ბრალდებულებს ამ გზით დაუმზადებიათ და გაუსაღებიათ დაახლოებით—30.000 მანეთის სამგზავრო ბილეთები.

ამის გამო პასუხისგებაშია მიცემული სადგურის მოლარეები: ევგენია თეიმურაზის ასული თოფურია, ნინა დიონისის ასული ბასიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე თევზაძე, სერგო ალექსის-ძე დოლიძე, არსენ სპირონის-ძე ქავთარაძე; გზის სამსახურის თანამშრომლები: მიხეილ კალენიკეს-ძე ელოვატი, დავით ერმალოს-ძე ჟღენტი, გიორგი ანდრიას-ძე იაკობაშვილი, გაბრიელ დიმიტრის-ძე კუპრაძე, ფილარეტ კონსტანტინეს-ძე ამაშუკელი. პასუხისგებაშია აგრეთვე მიცემული ამიერ-კავკასიის რკინისგზის ამკრეფ სამსახურის ნაწილის უფროსი ადოლფ კონსტანტინეს-ძე დეკაპრილევიჩი და სამგზავრო ნაწილის თანამშრომელი ნიკოლოზ არტემის-ძე ვარდანაშვილი.

ევგენია თოფურიას, ალ. თევზაძეს, დოლიძეს და გელოვანს ბრალდებათ ყალბი სამგზავრო ბილეთების დამზადება, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, სამსახურისადმი გულგრილი მოპყრობა და სხვა; (ბრალდება დათვალისწინებულია ს. ს. კოდექსის 18, 95, 119 და 116 მუხ. II ნაწ.).

ნინა ბასიშვილს, ელენტს, იაკობაშვილს, კუპრაძეს, ვარდანაშვილს, ამაშუკელს და ქავთარაძეს ბრალდებათ მითვისება და გაფლანგვა, ყალბი ანგარიშების შედგენა და დაუდევრობა; (ბრალდება გათვალისწინებულია ს. ს. კოდექსის 18. 119 და 116 მუხ. II ნაწ.).

დეკაპრილევიჩს ბრალდება სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობა, რასაც შედეგათ მოჰყვა მთელი სამუშაო აპარატის მოშლა: (ბრალდება გათვალისწინებულია ს. ს. კოდ. 113 მუხ.)

სახელმწიფო ბრალმდებლათ გამოდიან ამხ. ამხ. რონინაშვილი, ლ. ჟღენტი და გაბუნია.

ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **ღვამიჩავა, თოდუა, ყანჩელი, პოლუმორდვინოვი, ბარათაშვილი, ქელბაქიანი, ბოკერია, ფაჩულია, დიდებულიძე, დოლუხანოვი** და სხ.

საქმეზე გამოწვეულია 57 მოწმე და 6 ექსპერტი.

სასამართ. პროცესი გასტანს რამოდენიმე დღეს.

ციხისთავის საქმე

გუშინ სასამართლოს შემადგენლობა გაემგზავრა მკვლელობის ადგილზე—(სასტუმრო „ნოე“-ში) ადგილობრივ დასათვალიერებლად.

მანუფაქტურის მოყვარულნი

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **გაბუნიას** თავმჯდომარეობით და პროკურორ **კაკაბიძის** მონაწილეობით გაირჩა **არონ სარქისიანცის,** დრასტამატ **არუთინიანცის** და არშალუის **ოგანესიანცის** საქმე.

ყველა ჩამოთვლილ პირებს ბრალდებოდათ საბარგო რონოდიდან მანუფაქტურის მოპარვა. ამა წლის 17 მარტს, ბრალდებულებმა გაიცნეს ერთმანეთი და დამეგობრდენ. ხშირათ ხვდებოდენ ერთმანეთს და ერთად ქეიფობდენ. შემდეგ გადასწყვიტეს, თითქოს სამუშაო შოვნის მიზნით, წასულიყვნენ ჭიათურაში. არ გასულა დიდი ხანი, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. თავიანთი მატერიალური მწვავე ხვედრის „შესამსუბუქებლად“ ბრალდებულებმა სად. ჭიათურა გასტეხეს საბარგო რონოდა და წაიღეს მანუფაქტურა და სხვა ნივთები.

გუშინ სასამართლოს პროცესზე ბრალდებულებმა თავი სცნეს დამნაშავედ და დასძინეს, რომ ქურდობა ჩაიდინეს ოჯახური მდგომარეობის ნიადაგზე.

სასამართლოს კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ ბრალდებულების მიერ ქურდობა ჩადენილი იყო წინასწარი განზრახვით.

სასამართლომ სარქისიანცს, არუთინიანცს და ოგანესიანცს მიუსაჯა სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

რკინისგზაზე

ახალი ძრავი

ა.-კ. რკინისგზების თბილისის ელექტროსადგურზე იდგმება ახალი 120 ძალიანი ძრავი.

მატარებლების განათება

არსებულ მოძრავ ელექტრო—სადგურების გარდა, სამგზავრო მატარებლების განათების გაუმჯობესების მიზნით, რკინისგზების სამმართველო სექტემბერში გამოუშვებს 5 ახალ მოძრავ ელექტრო — სადგურს.

ვაგონების დაჯახება.

სად. ბაქოში ქარით გატაცებული ვაგონები დაეჯახა მომავალ მატარებელს. ერთი ვაგონი დაიმსხვრა; სამი დაზიანდა.

სად. თბილისის ტელეფონიზაცია

ა.-კ. რკინისგზების სამმართველოს აქვს თავისი ტელეფონის სადგური, რომელიც აერთიანებს 300 აბონენტს. ვინაიდან ეს სადგური სიძველის და სიშორის გამო ვერ აკმაყოფილებს სამმართველოს ორგანოებს, და კერძოთ სად. თბილისის მოთხოვნილებას, განზრახულია სადგურის გაფართოვება 640 წერტილამდე.

უკვე მიღებულია 400 წერტილისათვის საჭირო აპარატები და მოწყობილობა. ამ მოკლე ხანში მიღებული იქნება ახალი კომუტატორი. მისი დადგმა და აბონენტების ახალ ქსელთან შეერთება დამთავრდება 1927 წლის 1 იანვრამდე.

ფიზკულტურა

მოტო-გადარბენა თბილის-როსტოვს შორის

ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო აწყობს მოტო-გადარბენას თბილის-როსტოვს შორის. გადარბენას წმინდა სასპორტო ხასიათი აქვს. გადარბენის დროს ხდება შეჯიბრი როსტოვის მოტო-მრბენებთან. მოტო-გადარბენაში მონაწილეობას მიიღებენ ა.-კ. რესპუბლიკების საუკეთესო მოტო-მრბენლები, კერძოთ საქართველოდან 6 კაცი. გადარბენა მოეწყობა სექტემბრის ბოლო რიცხვებში.

მოტო-დღე

თბილისის ავტოკლუბთან არსებულ მოტოსექციას განზრახვა აქვს ახლო ხანში მოაწყოს იპოდრომზე მოტო-დღე. ამ დღეს შესდგება შეჯიბრი თბილისის პირველობაზე მოტო-მრბენელებს შორის. დღის პროგრამაში შედის სხვადასხვა მნიშვნელოვანი თამაშობანი. ამავე დღეს თავისუფლების მოედნიდან მოეწყობა მყურებელთა გადაზიდვა მოტო-მანქანით იპოდრომზე. მთელი შემოსავალი მოხმარდება თფილის-გროზნოს და უკანვე მოტო-გადარბენის მოწყობას.

სპორტდარბაზის შეკეთება

თბილისის ფიზკულტურის საბჭო 15 სექტემბრიდან ჰხურავს მოჭადრაკეთა საზაფხულო კლუბს. მოჭადრაკეთა წრეების მუშაობა გადაიტანება კლუბის საზამთრო დარბაზში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) **თბილისის კომიტეტის** საკლუბო საბჭოს სხდომა შესდგება ხუთშაბათს, 16 სექტემბერს, დილით 9 საათზე ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

საქართველოს ახალგ. ლენინურ **კომკავშირის თბილისის კომიტეტის** პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს, 15 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე; ქართული ჯგუფის—ს. ალ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საპროპაგანდო კაბინეტში. (კირკის № 7) და რუსული ჯგუფის—განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის № 3).

ლენინის რაიონის განათლების მუშაკთა № 24 **კომუჯრედის ბიურო** იუწყება, რომ პარასკევს 17 სექტემბერს. საღამოს 6 საათზე, მე-3-ე საბავშვო სახლის შენობაში (პლეხანოვის 166) შესდგება **უჯრედის დახურული კრება.**

წევრების გამოცხადება სავალდებულოა.

„საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბ. კომ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თვითგანვითარების ბიუროს სხდომა შესდგება, ოთხშაბათს 15 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე. აგიტ-პროპ მუშაკის ცენტრალურ კაბინეტში.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ციცინო ზურაბის ასული, შვილები: კლიმენტი, ანდრო (ჯონდო), მიშა, გაიანე, დომნა (ცირუ) და მინა; რძლები: შურა და ანიჩკა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 11 სექტემბერს, გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

პეტრე ანდრიასძე ქოიავა

დაკრძალვა მოხდება დ. აბაშაში (სენაკის მაზრა) 16 სექტემბერს, დღით ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე. 3642 2—1

გულდამწვარი ძმა ალექსი ანდრიასძე და მეუღლე მისი თებრონე ლევან თოფურიას ასული, ძმის შვილები: ალექსანდრე (საშა), ზინა, სიმონი (სოსიკო), მირიანე, ალექსანდრა (თათუშა) და ვენერა ქოიავები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობრებს, რომ 11 სექტემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პეტრე ანდრიასძე ქოიავა

3685

ღრმად დამწუხრებულნი სევერიანე დიმიტრისძე და მეუღლე მისი კატუშა ქოიავები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 11 სექტემბერს, გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი გამზრდელი ნათლია

პეტრე ანდრიასძე ქოიავა

დასაფლავება მოხდება დ. აბაშაში (სენაკის მაზრა) 16 სექტემბერს, დღით ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე. 3642

სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის მსმენელები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას 12 სექტემბერს, მძიმე ავადმყოფობით. გარდაიცვალა ამავე ფაკულტეტის მე-4-ე ჯგუფის მსმენელი და ახ. კომკავშირის წევრი

ზინობი კირილესძე ეზიეშვილი

ცხედარის გამოსვენება რესპუბლიკის (ყოფ. მიხეილის) მთავარ საავადმყოფოდან, ხუთშაბათს, 16 სექტემბერს, დღის 3 ნახ. საათზე. შესავალი პლეხანოვის პროსპექტიდან დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. 3675

ნინო აპოლონ მიქელაძის ასულ
ჯორჯიკიასი

ორმოცი დღის სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება, შაბათს 18 სექტემბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე. საკუთარ ბინაზე (ფერმა, ქ. ქუთაისი). 1773

სააქციო საზოგადოება
„ზაკკნიგა"
სახელმძღვანელოები

1. ჯგუფი

1. ვ. ძიძიგური და ა. გვახარია—„პირველი წიგნი"—ფერად სურათებიანი; ანბანის შესასწავლი და ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი. ფასი 1 მან. 80 კაპ.
2. მოძრავი ფერადი ანბანი—
3. ნ. მგელაძე, ნ. შაფაქიძე და ნ. კვინიკაძე—„არითმეტიკა შრომის სკოლაში" ნაწ. 1-ლი (მასწავლებელთათვის). ფასი 90 კაპ.
4. ანბანის შესასწავლი პლაკატი

2. ჯგუფი

1. მასწავლებელთა ჯგუფი—„შრომა და ცოდნა"—მეორე, შესწორებული გამოცემა. ფასი 1 მ. 50 კაპ.
2. ნ. ძიძიგური და პ. აფხაძე—„ჩირაღდანი"—სამუშაო წიგნი.
3. ნ. მგელაძე, ნ. შაფაქიძე და ნ. კვინიკაძე—„არითმეტიკა შრომის სკოლაში" ნაწ. მე-2 (მასწავლებელთათვის). ფასი 80 კაპ.

3. ჯგუფი

1. ტ. და შ. თაბუკაშვილები—„აისი" ნაწ. 1-ლი (საკითხავი წიგნი). ფასი 1 მ. 60 კაპ.
2. გ. ჟუმბურიძე—„ცისკარი"—ქართული ენის სახელმძღვანელო. ფასი 1 მან. 40 კაპ.
3. პ. ზუმბაძე და ა. გვახარია—„ბუნება და შრომა"—ქართული ენის სახელმძღვანელო. ფასი 1 მან. 60 კაპ.
4. დევიძე, ლორთქიფანიძე და ხარაბაძე—„არითმეტიკულ ამოცანათა კრებული". ფასი 80 კაპ.
5. მასწავლებელთა ჯგუფი—„ჩვენი მხარე"—სამუშაო წიგნი.
6. ს. ოცხელი და წულუკიძე—„არითმეტიკულ ამოცანათა კრებული".
7. ფურცელაძე—„ჟივაია სტრუიკა"—რუსული ენის სახელმძღვანელო.
8. შაფაქიძე—„თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია" ნაწ. 1-ლი. ფასი 80 კაპ.
9. მასწ. ჯგუფი—„ჩეტირიოხლეტკა". ფასი 1 მან.

4. ჯგუფი

1. ტ. და შ. თაბუკაშვილები—„აისი" ნაწ. მე-2-რე. ფასი 1 მან. 40 კაპ.
2. ზუმბაძე და გვახარია—„ბუნება და ცოდნა"—ქართული ენის სახელმძღვანელო. ფასი 2 მან.
3. გ. ჟუმბურიძე—„თაიგული"—ქართული ენის სახელმძღვანელო.
4. ა. დევიძე, ს. ლორთქიფანიძე და ა. ხარაბაძე—„არითმეტიკულ ამოცანათა კრებული". ფასი 80 კაპ.
5. ფურცელაძე—„ჟივაია სტრუიკა"—რუსული ენის სახელმძღვანელო.
6. შაფაქიძე—„თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია" ნაწ. 1-ლი. ფასი 80 კაპ.
7. დონდუა—„ჩვენი მხარე, ქართლი"—დამხმარე წიგნი. ფასი 2 მან.
8. ნ. ძიძიგური აფხაძე და გობრონიძე—„საზოგადოებათმეცნიერების სახელმძღვანელო".
9. მასწ. ჯგუფი—„ჩეტირიოხლეტკა". ფასი 1 მან.
10. ვოლფსონი—საზოგადოებათმეცნიერებათა ნარკვევები (მოკლე კურსი) ფასი 65 კაპ.

5. ჯგუფი

1. მეტრეველი და ჩიქობავა—„ახალი ქვეყანა"—ქართული ენის სახელმძღვანელო. ფასი 1 მან. 75 კაპ.
2. ხარაბაძე—„არითმეტიკულ ამოცანათა კრებული". ფასი 1 მან. და 20 კაპ.
3. ნ. შაფაქიძე—„თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია", ნაწ. მე-2-რე. ფასი 1 მან. 50 კ.
4. ს. იაშვილი—„სასოფლო-მეურნეობის ქვეყნები" (აზია, აფრიკა და ავსტრალია). ფასი 1 მან.
5. იაშვილი—„ბოტანიკა" (ბუბლიკოვის წიგნის მიხედვით შედგენილი).
6. ა. ჩხენკელი—„ბუნება" (არაორგანიული). ფასი 1 მან.
7. თ. ჟუმბურიძე—„საზოგადოებათმეცნიერება"—5 და 6 ჯგუფისათვ. ფასი 1 მან. 75 კაპ.
8. ი. გოგებაშვილი—„რუსკოე სლოვო" (რუსული). ფასი 1 მან. 10 კაპ.

6. ჯგუფი

1. გორგაძე და შ. თაბუკაშვილი—„წითელი კანდელი".
2. იაშვილი—„ბოტანიკა" (ბუბლიკოვის წიგნის მიხედვით შედგენილი).
3. მენი და ტვისი—„ელემენტარული ფიზიკა და მისი პრაქტიკული გამოყენება"— თარგმ. ა. სვანიძის.
4. მასწავლებელთა ჯგუფი—„სამუშაო წიგნი მათემატიკაში".
5. ივ. გომელაური— „ქართველი მწერლები" ნაწ. მე-2. ფასი 2 მან.
6. თ. ჟუმბურიძე—„საზოგადოებათმეცნიერება"—5 და 6 ჯგუფისათვის. ფასი 1 მან. 75 კაპ.
7. შარაშიძე სვანიძე და კანდელაკი—ალგებრულ ამოცანათა კრებული 1 ნაწ. ფასი 1 მან. 25 კაპ.

7. ჯგუფი

1. ს. გორგაძე და შ. თაბუკაშვილი— „ხომლი" ნაწ. 1-ლი სალიტერატურო ქრესტომატია.
2. ” ” ” ნაწ. 2-რე.
3. უჩანეიშვილი და ძიმისტარიშვილი—„საქართველოს ისტორია" ნ. მე-2 (დამხმარე წიგნი). ფ. 1 მ. 50 კ.
4. მენი და ტვისი—„ელემენტარული ფიზიკა"—ნაწილი 2-რე. ფასი 1 მ. 50 კაპ.
5. ქუთათელაძე—„საქართველოს გეოგრაფია"
6. ყავრიშვილი—„სვანეთი" (დამხმარე წიგნი) ფასი 60 კაპ.
7. მასწავლებელთა ჯგუფი—„სამუშაო წიგნი მათემატიკაში"
8. ქუთათელაძე— „ზოოლოგია" ფასი 1 მან. 50 კაპ.
9. ცეცხლაძე— „ადამიანის ფიზიოლოგია" (დამხმარე წიგნი). ფასი 1 მან. 20 კაპ.
10. თ. ჟუმბურიძე—„საზოგადოებათმეცნიერება". ფასი 1 მან. 75 კაპ.
11. კუკულესკო—ქიმია ფასი 1 მან. 40 კაპ.
12. ზედგინიძე და ჯაფარიძე—„მეტოდიჩესკაია ქრესტომატია" (რუსული) 4 ნაწ. ფასი 80 კაპ.

8 და 9 ჯგუფი

1. მასწავლებელთა ჯგუფი—„ახალი ქრესტომატია" ნაწ. 1 (დამხმარე წიგნი) ფასი 3 მან. 75 კაპ.
2. ” ” ” ” ” 2 ” ფასი 4 მან. 50 კაპ.
3. ” ” ” ” ” 3 ” ფასი 2 მან. 75 კაპ.
4. ს. გორგაძე—„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია". ფასი 2 მან.
5. კ. სულაქველიძე—„სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია".
6. ა. დევიძე და ა. ხარაბაძე—„სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია" მესამე, შესწორებული გამოცემა.
7. ექ. ს. ლოსაბერიძე— „ჰიგიენა" ფასი 75 კაპ.
8. ვოლფსონი— „საზოგადოებათმეცნიერება" (სრული კურსი). ფასი 2 მან.
9. ჯანაშვილი—„საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია".
10. ს. ბერეჟიანი და ყიფშიძე—„ფიზიკური გეოგრაფია". ფასი 1 მან. 50 კაპ.
11. ა. ჩხენკელი— „ბიოლოგია". ფასი 1 მან. 50 კაპ.
12. სოზონოვი და ვერხოვსკი—„ქიმია". ფასი 1 მან. 50 კაპ.
13. ბოგდანოვი—„პოლიტიკური ეკონომია". ფასი 1 მან.
14. კოვალენკო—„პოლიტიკური ანბანი" (დამხმარე) ფასი 75 კაპ.
15. ბერდნიკოვი და სვეტლოვი—„პოლიტ. ცოდნის კურსი" (დამხმარე)
16. სტანჩინსკი—„პოლიტანბანი"—(დამხმარე) ფასი 2 მან.
17. ტიუმენევი—„შრომის ისტორია" (დამხმარე). ფასი 1 მან. 20 კაპ.
18. კ. ბერიძე—„ლოგარითმების ცხრილი".
19. ოცხელი და ეზიკაშვილი— „გეომეტრიულ ამოცანათა კრებული".
20. სოზონოვი და ვერხოვსკი—„პირველი მუშაობანი ქიმიაში" (დამხმარე). ფასი 1 მან.
21. ბეხტმანი— „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია" (დამხმარე). ფასი 1 მან. 50 კაპ.
22. კორნილოვი—„ფსიქოლოგია".
23. ქავთარაძე— „პირველი მუშაობანი მიკროსკოპით". ფასი 60 კაპ.
24. ნათაძე—„საქ. ისტორია".
25. ლუკინი— „დასავლეთ ევროპის უახლოესი ისტორია" (დამხმარე). ფასი 2 მან.
26. პოკროვსკი— „რუსეთის ისტორია" (დამხმარე) ფასი 1 მან. 40 კაპ.
27. გ. გიორგაძე—„ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში" (დამხმარე) ფასი 2 მან.
28. მაკალათია—„საზოგადოებრივ ფორმათა განვითარება" (დამხმარე)
29. ლესჰაფტის—ფიზიკური გეოგრაფია ფასი. 1 მან. 25 კაპ.
30. ზინოვიევი—რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორია. ფასი 1 მან.
31. სტუჩკა—საბჭოთა კონსტიტუცია ფასი 45 კაპ.
32. კოსტავა—ქიმია ფასი 1 მან. 20 კაპ.
33. მოტილიოვი—პოლიტეკონომიის კურსი.

ტეხნიკუმ., პარტსკოლ., და მუშფაკებისათვის

1. ჩხენკელი— „ბოტანიკა" ფასი 1 მან. 50 კაპ.
2. ბაჩეჩილაძე—„მეტეოროლოგია" (გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისათვის). ფასი 1 მან. 60 კაპ.
3. კვინიკაძე, მგელაძე და შაფაქიძე— „მათემატიკა". ფასი 1 მან. 50 კაპ.
4. პ. ჩარექიშვილი—„მათემატიკა" ფასი 1 მან. 50 კაპ.
5. გულისაშვილი—„მანქანების ნაწილები" ფასი 75 კაპ.
6. ბ. ჰიჭინაძე—„ორთქლის ქვაბები".
7. ვ. კაკაბაძე— „ელექტროტეხნიკა". ფასი 1 მან.
8. ცეცხლაძე—„ადამიანის ფიზიოლოგია". ფასი 1 მან. 20 კაპ.
9. ბრიშინი— „პოლიტიკური საუბარი".
10. შ. ტაბიძე—„ბავშთა კომუნისტური მოძრაობა".
11. გ. გიორგაძე— „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში" (დამხმარე). ფასი 2 მან.
12. მაკალათია—„საზოგადოებრივ ფორმათა განვითარება" (დახმარე).
13. ბორევი—„სოციალიზმის ისტორია" (დამხმარე). ფასი 3 მან. 50 კაპ.
14. ბეხტმანი—„მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია". ფასი 3 მან. 50 კაპ.
15. ბაჩეჩილაძე და კ. ბერიძე—„ფიზიკა" (გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისათვის).
16. პ. საყვარელიძე—„ჩინეთი" (დამხმარე).
17. კ. კორნილოვი— „ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო".
18. ექ. თუმანიშვილი— „გინეკოლოგია".
19. პ. ქავთარაძე—„პირველი მუშაობანი მიკროსკოპით" (დამხმარე). ფასი 60 კაპ.
20. ახვლედიანი და ზანდუკელი—„რუსკაია ხრესტომატია" (რუსული). ფასი 1 მან. 50 კაპ.

შეკვეთები პროვინციისათვის სრულდება დაუყოვნებლივ ბეს მიღებისთანავე. წიგნების სავაჭრო ორგანიზაციებისათვის შეღავათიანი პირობები ანგარიშის გასწორებისა და ფასდაკლება.

ყველა შეკვეთით მიმართეთ სააქციო საზ—გა ,,ზაკკნიგა''-ს ცენტრალურ მაღაზიას, თბილისი, რუსთაველის პრ., № 24

ნის. 1769

ამ დღეებში
რემონტის დასრულების შემდეგ გაიხსნება

კინო-სოლეი
ეკრანზე საუკეთესო სურათი
,,აბრეკ ზაური"
კინო-მოთხრობა 10 ნაწ.
კავკასიის ახალი წარსულიდან.

მთავარ როლებში: საქ. სახალხო მსახიობი—ვ. გუნია, დამსახურებული მსახიობი— კრიგერი, ბესტავა, თაყაიშვილი, ჩეჩელაშვილი, ნ. სანოვი და სხვ.

თვალყური ადევნეთ გახსნის დღეს
1774

პირველ სახელმწიფო
საბუხჰალტერო კურსებზე

სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დილისით 1—2 საათამდე, საღამოთი 6—7-დე.

კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის მელიქოვისა) № 12.

3—1 3652 კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი.

1926 წ. 18 სექტემბერს დილის 11 საათზე
თბ. აღმასკომის შენობაში
მე-316 ოთახში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა

ყოფ. სასტუმრო „ნოე"-ში მდებარე სარესტორანო დარბაზის თავისი კაბინეტებით და მოწყობილობით. ყოველგვარი პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე სასტუმროს კანტორაში, პლეხანოვის პრ. № 103 და აღმასკომის შენობის ოთახი № 310. 1778 3—1

ქ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ხუთშაბათს 16 სექტემბერს სასახლის ქ. № 3 დღის 2 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა

სახელმწიფო გადასახადების ასანაზღაურებლათ. გაიყიდება ხალიჩები, ფარდაგები, კამოდები. შიფონერკები, ბუფეტები, სარკეები, კედლის საათები და მრავალი საოჯახო ნივთები.
1775

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

0—1

სამხედრო ფონდბიუროს გასასყიდათ აქვს დიდი რაოდენობის
ეკლიანი მავთულები
ცნობების მიღებისა და შეკვეთებისათვის უნდა მიმართონ ბიუროს რწმუნებულს: თბილისი, ჯორჯიაშვილის ქ. № 10.
ნ. 1757 2—1

მიმდინარე 1926—27 წლის სეზონისთვის
სახელმწიფო დრამაში
საჭირო არიან თანამშრომლები
(ჯამაგირზე)

პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანტორაში.
აქვე მიიღება განცხადებებიც.
განცხადებები მიიღება 20 ენკენისთვემდე.

2—1 ნ. 1765 დრამის დირექცია.

კონტრაგენტების საყურადღებოდ
გაზ. ,,კომუნისტი''-ს
მთავარი კანტორა

აცხადებს ყველა კონტრაგენტების საყურადღებოდ, რომ 15 სექტემბრისათვის აუცილებლივ უნდა დაბრუნებულ იყოს დარჩენილი, გაუყიდავი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, ჩვენ მიერ გასასყიდათ გადაგზავნილი.

თუ აღნიშნულ ვადამდე გადმოგზავნილი არ იქნება გაუყიდავი ლიტერატურა იგი ჩაითვლება გაყიდულათ და შემდეგ უკან აღარ მიიღება კანტორის მიერ.

7—1 უფ. გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

გაზ. ,,კომუნისტი''-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს**, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 უფ. მთავარი კანტორა

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 17 სექტემბერს, 1926 წ. დილის 11 საათზე სოღანლუღში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ელდაშლანიკ მოძრავ ქონებას: სეპარატორს და სხვა ნივთებს. შეფასებულს 517 მ. 89 კ. აზოტ ისავერდოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახალხო სასამართლოსაგან 4 სექტემბერს 1926 წ. თარიღით, № 2207 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3667

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

ნ. 1745 0—6

დღეს ეკრანზე საუკეთესო ამერიკული სურათი
ქორწინების კომედია
მხატვრ. დრ. 7 ნაწილად.
მთავარ როლში—მილტონ სილსი.
კინოში ბილეთის მყიდველნი ბაღში შესვლისათვის ფასს არ იხდიან.

დიდი წარმატების გამო გრძელდება სურათის ჩვენება
„მანდრენ" 1 და 2 სერია ერთად
უამინდობის შემთხვევაში სურათი გაგრძელდება „არფასტოში"

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 16 სექტემბერს, დილის 10 საათზე ადგილობ. ქ. ქუთაისში ზდანოვიჩის ქუჩაზე დანიშნულია მეორე **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება ნოე იაკობისძე ბაზაძის უფლება მესამედი ნაწილი ქვის და ხის შეტკეჩილი სახლისა, დახურული ყავრით, საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის ქუთაისის საწყობის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება შეფასებული ფასიდან 207 მან. 50 კ. ან შეძლეული ფასიდან. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. 1770

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ლერმონტოვის ქუჩაზე დუქნებში №№ 74 და 79 დანიშნულია 24 სექტემბერს 1926 წ. დილის 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** კოწია ქებულაძის და კონსტანტინე ჯოოხაძის ქონების—ორმოცდა თხუთმეტი წყვილი ქალის ჩუსტების, ოცდა ათი წყვილი ქალის ჩუსტების დაუმზადებელი და ორმოცდაათი წყვილი ქალის ჩუსტების შეფასებულის სულ 256 მან. გასასყიდათ. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან; ქონება გაიყიდება საურთიერთო საზოგადოების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. 3681

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 25 სექტემბერს დილის 10 საათზე ადგილობ. ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** უმემკვიდროთ გარდაცვალებულის ვასილ გიორგისძის ბარამბიას შენობების და მოძრავი ქონების, მდებარის იმავე ნინოშვილის ქუჩაზე; შენობები შეიცავს ქვიტკირის ერთ თვალ დარაბას, ერთ თვალ ოთახს, ორ პატარა ხის ოთახს და ერთ ხის ფარდულს, დახურული დარაბა და ოთახები კრამიტით და ფარდული ყავრით, მოძრავ ქონებას, ორ ცხენს, „სტოიკას", შკაფებს და სხვ., შეფასებულს 943 მან. ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე შეფასებული თანხიდან ან ერთად—ივლიანე ალხაზაშვილის, თეო ტურაშელიძის და ლავრენტი დარსაველიძის ვალების დასაკმაყოფილებლად. ქონება გამოცხადებულია ბეითალმანათ. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში (შენობების ყიდვაში) უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. 1773

ზუგდიდის და ხობის უბნებთა სახ. სასამართ. აღმასრ. ი. დგებუაძე

აცხადებს, რომ 20 სექტემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე ქ. ზუგდიდში მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბიქტორ მიგინეიშვილის მოძრავ ქონებას ექვსი ბოჭკებს, შეფასებულს 127 მანეთად ისიდორე ბულიას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ზუგდიდის 1 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 16 თებერვალს, 1926 წ. თარიღით № 563 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3683

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი კ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ის 18 სექტემბერს, დღის 12 საათზე, ანჩისხატის ქუჩა, სახლი № 17, მელიქ იაროვის ბინაზე გაყიდის მე-2-რე **საჯარო ვაჭრობით** მელიქ იაროვის და სარქის ტერ-სიმონიანცის შემდეგ ქონებას, რომელიც გასასყიდათ შეფასებულია 156 მანეთათ: ნოხი, კამოდი, სპილენძის სამოვარი, წყვილი ფეხსაცმელი, დიშლა, ხამუტი, მამაკაცის საზამთრო პალტო, ტუჟურკა, პიჯაკი და სხვ. 3670

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 17 სექტემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 16 რტიშჩევის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ ლაპაჩევის (ლაფაჩიძის) მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას შეფასებულს 200 მანეთად, სვიმონ სულაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 31 აგვისტ. 1926 წ. თარიღით, № 2213 ვაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 3686

ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი კონსტანტინე ვართანოვი

ამით აცხადებს, რომ 18 სექტემბერს 1926 წ. დილის 9 ს. ადგილობრივ ნორაშნის ქ. № 4 პირველ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება იაკობ და ლიუბა ხიზანოვების მოძრავი ქონება, რაც შესდგება სახლის ავეჯეულობისაგან და მედიკამენტებისაგან, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს ა-წ. 29 მარტის № 503 გაცემულ აღმასრულებულ ფურცლისა დასაკმაყოფილებლათ გაბრიელ გატაევისა. 3673

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
,,სილამაზის ინსტიტუტი''

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი **შ უ ხ მ ა ნ ი**

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—

ექიმი
მეზრაბიანცი
ფილტვების, ელექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

ურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი
ლ. ა. სარალიძე

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87.
25—

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. 2 საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კამდეტ. კორპ. უკან. 25—

წყლებით სამკურნალო
(ბაზნის ქ. № 1)

ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით'

ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა

პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.

25—3 ნ. 1650

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

ხიდის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

ვარდა საექიმო, **სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.** ავადამყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

გერმანული ენის გაკვეთილები ჯგუფებათ და ცალ-ცალკე, როგორც დამწყებთათვის აგრეთვე საშუალო მცოდნეთათვის. სტუდენტებს და მოწაფეებს შეუძლიანთ ისარგებლონ შეღავათიანი პირობებით. ჩაწერა ყოველ-დღე 5-დან 6—საათამდი. კლასიკური ქუჩა, სახლი № 14, მესამე სართული. 3593

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 3548 25—1

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
ტელეფ. № 4—82.
3574

ქალაქიდან გამგზავრების გამო თავის უფლდება და
იყიდება განცალკევებული სახლი (3 ოთახი, სამზარეულო და სარდაფი). საუფლისწულო ქ. ტერსკის შესახვევი სახ. № 14. გაგება შეიძლება დილის 8 საათიდან საღ. 7 საათ. 3674

დაკარგვები პირადობის მოწმობა № 1754 და საალრიცხვო ბარათი № 3571 ალექსანდრე იოსებისძე გორდელაძის სახელზე, ჩ. გ. 3677

დაკარგვები მეტრიკული ამონაწერი № 2226, სოფიო შიოს ასული შახნაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 3685

დაკარგვები პირადობის მოწმობა № 1073 და კომ. ბანკის გორის განყ. საწევრო ქვითარები № 559 და 1029 იოსებ კალლავაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3679

დაკარგვები უვადო პასპორტი. მიღებული თბილისის მეორე რაიონის მილიციიდან და სოფლის მოწმობები № 475, № 841 ნოშრევან საჩინოს-ძე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 3680

დაკარგვები შორაპნის მაზრის ქ. ჭიათურის გემოკვების კავშირის წიგნაკი № 46 ივანე ილიას-ძე მაზმანიდის სახელზე, ჩ. გ. 3682

დაკარგვები სამთა-მადნო პროფკავშირის წიგნაკი № 2565 ბაგრატ პეტროსოვის სახელზე, ჩ. გ. 3678

დაკარგვები დაბადების მეტრიკული ამონაწერი 1912 წ. № 359 ზენობია სოლომონის ასული ბერიანიძის სახელზე, ჩ. გ. 3684

დაკარგვები აბაშის ცხრაწლედის მეცხრე ჯგუფის მოწმობა ალექსანდრე გიორგის-ძე ბახტაძის სახელზე, ჩ. გ. 3684

დაკარგვები ქ. სამტრედიის დამზღვევ სალაროს მიერ მოცემული დაზღვევის წიგნაკი № 149, ნესტორ ლაზარეს-ძე სართანიას სახელზე, ჩ. გ. 3684

დაკარგვები სამტრედიის ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა ელისაბედ გიორგის ასული ბახტაძის სახელზე ჩ. გ. 3684

დაკარგვები გოდოგნის თემის საბჭოს წევრობის მანდატი № 484, არსენ გიორგის-ძე აბესაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1770

დაკარგვები კოოპერაცის წიგნაკი № 7952, გიორგი ბარათაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1760

დაკარგვები სამხედრო საალრიცხვო ბარათი, მოცემული ჭიათურის უბნის სამხედრო მაგიდის მიერ ვალერიან ნადირაძის სახელზე, ჩ. გ. ნ, 1771

დაკარგვები საწევრო წიგნაკი, გაცემული ქიმიკოსთა კავშირის მიერ № 1337, გაბრიელ ლობჯანიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1772

დაკარგვები მოწმობა № 343, შვიდწლედის დამთავრების შესახებ კუხის თემში სერგო სილიბისტროს-ძე კოსტავას ახელზე, ჩ. გ. ნ. 1773

ვეძებ
გერმანულ ენის გამოცდილ
მასწავლებელს
მისამართი: „კომუნისტი"-ს კანტორა.
ნ. 1767 3—

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, 48 25—1

ექიმი
ბ-ტ ი. მირიანაშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.

მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.

ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74 ნე- საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის. ახლოს. 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ(გაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 31—63. 25—1
მსურს ავიყვანო

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ვაქი-მოწაფეები
სრულ კმაყოფაზე. ცნობების მიღება ყოველ დღე—დიდუბე ქუთაისის ქ. № 27 საკ. სახლი. იქვე იყიდება კაბინეტის საკერავი მანქანა. 3637

დაკარგვები მეტრიკული ამონაწერი № 1707 გიგო ნიკოლოზისძე მირიმანოვის სახელზე, ჩ. გ. 3674

დაკარგვები პროფკავშირის წიგნაკი № 15393, დავით სასოსძე ონიანის სახელზე, ჩ. გ. 3669

დაკარგვები პირადობის მოწმობა № 305 სოსო ტურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3671

დაკარგვები პირადობის მოწმობა № 30 გიგო ტურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3671

დაკარგვები სამხედრო აღრიცხვის ფურცელი № 3888 გიორგი პელიძის სახელზე, ჩ. გ. 3672

დაკარგვები სამხედრო პირადი წიგნაკი № 3054, მიღებული 1-ლი უბნის კომისარიატიდან შალვა თევდორაძის სახელზე, ჩ. გ. 3665

დაკარგვები სოციალური მდგომარეობის მოწმობა, მოცემული თბილისის მე-9-ე კომისარიატიდან ალექსანდრე ჯუღელის სახელზე, ჩ. გ. 3666

დაკარგვები პროფ-კავშირის წიგნაკი მოცემული „ზაკგოსსტრახის ადგილკომიდგან" № 8232. სრ. საქ. სახ. დაზღვევის მოწაფე არჩილ ახალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3668

დაკარგვები დაზღვევის წიგნაკი № 24 და პირადი ბარათი № 30 ლოლა ფოჩიანის სახელზე, ჩ. გ. 3669

დაკარგვები კავშირის წიგნაკი № 13380, პირადობის მოწმობა ელექტრო ტეხნიკუმის № 115, მიხეილ ივანეს-ძე წულაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1773

დაკარგვები თვითმშრომელთა კავშირის წიგნაკი № 244. დუბლიკატი, ბათუმის საბაჟოს მიერ მოცემული ქუთაისში საქონლის გადმოზ. გამო თათოზ თემურაზის-ძე კუპავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1773

დაკარგვები მოწმობა ხარების საკუთრების მოცემული 2 სექტემბერს რიონის თემაღასკომის მიერ, ერმილე მელიტონის-ძე მაღლაფერიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1773

დაკარგვები პროფკავშირის წიგნაკი, დროებითი კომკავშირის მანდატი და მეტრიკული ამონაწერი გრამიტონ ამბაკოს-ძე იამანიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1773

დაკარგვები სამგზავრო სასურსათო წიგნაკი № 0780330, 1926 წ. 29 აგვისტოს მოცემული სამსონ ჭეიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1773

დაკარგვები პირადობის მოწმობა ივანე ბოლქვაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1773

დაკარგვები კავშირის წიგნაკი № 6114, მოცემული თბილისის განათლების კავშირიდან ალექსანდრე დავითის-ძე ბარათაშვილის სახელზე, ჩ. გ. უ.

დაკარგვები კავშირის წიგნაკი, მოცემული ჭიათურის სამთო-მადნო კავშირისა შოთა დავითის-ძე ბარათაშვილის სახელზე, ჩ. გ. უ.